

საერთო გაზეთი

№25 (337) • 15 ივლისი, 2015 წელი • გამომცემი: მოსწავბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1 ლარი



„მოჯადოებული წრე“ განათლების სამინისტროში და მორიგი წარუმატებლობისთვის განწირული რეფორმა

ღაჰან ლოტიჰიჟანიძე:



„ტროიკა“ და ბერძნული ტრაგედია...

ჰანტანო ხარჩილაძე:

მარკ ტვენისა არ იყოს, ხეაბი რევი გარდასვალების შესახებ ზედმეტად გაზვიადებულია...



კლესანოველი ქენია პრიმაკოვი თანასწორთა მეგობრობა... რანგების მიღმა

სპეციალური რეპორტი

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დიდი აღმშენებლობის ხანა დაიწყო



ღაჰან შონია -

სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში:

ნებისმიერ მსურველს შეუძლია ანალიზი გააკეთოს 25 წლის განმავლობაში გაკეთებული საქმეების და ორი წლის ნამუშევრის. 956 პროექტის განხორციელება ორ წელიწადში არ არის პატარა საქმე.

იჩაკლი

ლაჩიზაშვილი -

საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

სამარგალოქ ნოხოლე ოკო ქენაუნას საქორთუოს! სამარგალოქა ქუმოფრთი დო საქორთუო ქობირია - დიდი საქორთუო! - „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე — დიდი საქართველო!“ - ეს ილია ჭავჭავაძემ თქვა, როდესაც სამეგრელოს მიწაზე დადგა ფეხი. თქვენ, მეგრელებმა, იცით სამშობლოს ფასი, იცით ერთიანი საქართველოს ფასი, დამოუკიდებლობის, თავისუფლების ფასი, და ამას თქვენ ყოველთვის, ყველა დროში ადასტურებდით!
ზუგდიდი, 18 მაისი, 2014 წ.

საერთო გაზეთი

— გაზეთი ელექტრონული მედიისთვის



ვახტანგ ხარჩილავა

მარკ ტვენისა არ იყოს, ხმები ჩემი გარდაცვალების შესახებ ზედმეტად გაზვიადებული აღმოჩნდა და, ვისთვის სამწუხაროდ და ვისთვის სასიხარულოდ, როგორც ხედავთ, ცოცხალი ვარ.

ამ ინფორმაციას ისიც უნდა დავამატო, რომ ეს არ იყო ჩემი „გარდაცვალების“ პირველი და ერთადერთი შემთხვევა – მსგავსი ხმები ადრეც დაუყრიათ სხვადასხვა ვარიაციებით და სხვადასხვა ნიუანსებით, ასე რომ, მსგავს „ხუმრობებს“ შეჩვეული ვარ.

ჩემი ბოლო „გარდაცვალების“ ამბავი ჩემს ერთ წერილს უკავშირდება, რომელიც „საერთო გაზეთის“ მე-20-ე ნომერში დაიბეჭდა და რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ქართველი კაცი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს უკადრებელს აკადრებს, ან დიდი უნამუსოა ან დაქირავებული პროვოკატორი“.

მიუხედავად იმისა, რომ წერილში კონკრეტული პიროვნებები საერთოდ არ დამისახელებია, უნამუსოებსა და პროვოკატორებში თავიანთი თავი საკუთარი ინიციატივით მაინც ამოიციან ვიღაც-ვიღაცებმა და ჩემს წინააღმდეგ სოციალურ ქსელებში დიდი ბრძოლები გააჩაღეს, ყველაფერი კი იმით დაავიწყდინეს, რომ ერთ-ერთი საიტის ადმინისტრატორს დაფარული ნომრიდან ჩემი სიკვდილის ამბავი შეატყობინეს.

თქვენ არ მოუკვდით თქვენს პატრონს, თქვე წუნკლებო და წუბაკებო, ასეთი სულმდაბლები და ასეთი ბოროტები როგორ ხართ?

დარწმუნებული ვარ, ამის გამკეთებლები ეკლესიაშიც შედიან, პირჯვარსაც იწერენ, სანთლებსაც ანთებენ და, ალბათ, დიდ პატრიოტობასაც იჩემებენ, თუმცა ამოა ეს ყველაფერი, როცა შიგნიდან სიძულვილით ხარ გაუ-

ლენთილი და გაბერილი. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ქართველი თავის თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, ჩვენში მაინც იმდენი სისასტიკე და იმდენი უღმერთობაა, იმდენი ფარისევლობაა, გაცოდები და შეძრწუნდები.

შეიხედეთ სოციალურ ქსელებში ანუ ფეისბუქში და დარწმუნდებით: რაღაც დიდი უბედურება გეჭვირს!

ეროვნული ტრაგედიის ტოლფასი დიდი სულიერი და ზნეობრივი კატასტროფის მიმანიშნებელია ის, რაც ფეისბუქში ხდება.

შემადრწუნებელია იმის ყურება, როგორ ესხმიან თავს მიზანში ამოღებულ მსხვერპლს მგლების ხროვასავით ერთად შეკრებილი ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც ხროვის უჩინარი ბელადი მართავს.

ქართული ფეისბუქსივრცე ეს ნამდვილი სასაკლაოა, სადაც ლინჩის წესით უსწორდებიან ადამიანებს, პასუხის მომთხოვნი კი არავინაა.

„საერთო გაზეთმა“ არაერთხელ იწვინა თავის თავზე მის წინააღმდეგ ფეისბუქსივრცეში დაგეგმილი ფსიქოლოგიური ტერორი, თუმცა „ტერორისტებისთვის“ თითოც კი არავის დაუქნევია იმ სტრუქტურებიდან, ვისაც ამის გაკეთება კანონით ევალება.

იქ, სადაც დაუცველია ერთი ადამიანი, დაუცველია ყველა და უფრო მეტიც, დაუცველია თვითონ სახელმწიფოც, რადგან სახელმწიფო ამ თითო-თითო ადამიანის ერთობაა და მეტი არაფერი.

რაც შეეხება იმ წერილს, რომლის გამოც ვიღაც-ვიღაცებმა იმქვეყნად ნაადრევად გასტუმრება მომინდომეს, ახლაც იგივეს გავიმეორებ, რაც მაშინ ვთქვი: ქართველი კაცი, თუ ის ნამდვილად ქართველია და ამ ქვეყნის შვილად მიიჩნევს თავს, არ შეიძლება ბიძინა ივანიშვილს უშვერი სიტყვებით ლანძღავდეს, რადგან ივანიშვილს იმდენი სიკეთე აქვს საქართველოსთვის გაკეთებული, ამის დაუნახაობა და ამის გაბიაბრუება მართლაც დიდი უნამუსობაა.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ, გნებავთ, ბიძინა ივანიშვილს, გნებავთ, ნებისმიერი სხვა პიროვნების, გნებავთ, ხელისუფლების მიმართ კრიტიკული მოსაზრებები არ უნდა გამოითქვას, მაგრამ, როცა ეს კრიტიკა ზნეობისა და მორალის ჩარჩოებს სცილდება და ღია მტრობასა და აგრესიაში გადადის, აშკარაა, რომ აქ უკვე რაღაც სხვა პროცესთან გვაქვს საქმე და არა საქვეყნო პრობლემებით ნაკარნახევ მოსაზრებებთან.

როგორც ჩანს, „ნაციონალები“ და მათ მიერ დაქირავებული სატელიტური ჯგუფები ხელისუფლებისა და ბიძინა ივანიშვილის წინააღ-

მელთა მოსაზრებები ვერ ჯდება „ნაციონალების“ მიერ შემოთავაზებული შეფასებების ტრაფარეტსა და ჩარჩოში: „ეს ხელისუფლება უნიათოა“, „ბიძინა ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია ქვეყნისთვის“, „ივანიშვილმა დაპირებები არ შეასრულა“, „ქვეყანა კულისებიდან იმართება“, „მთავრობას ეკონომიკური კრიზისისკენ მიჰყავს ქვეყანა“ და ა.შ.

აი, ამ კლიშეების არასრული ჩამონათვალი, რომლებსაც გამუდმებით უმეორებენ და უმეორებენ „ნაციონალები“ საქართველოს მოსახლეობას, რასაც სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა ძალაობა ადამიანების ცნობიერე-



მდეგ მიმართული საინფორმაციო ომის ახალ ეტაპზე გადავიდნენ და იერიში იმ ადამიანებზე და იმ მედიასაშუალებებზე მიიტანეს, რომლებიც არ აჰყენენ „ნაციონალისტების“ მიერ შემოგდებულ დემაგოგიას.

„ნაციონალები“ ცდილობენ, კარგად ორგანიზებული ფართომასშტაბიანი ფსიქოლოგიური ტერორით დაამინონ, დააკომპლექსონ და გააჩუმონ ის ადამიანები, რო-

ბაზე, ადამიანების დაზომილება მუდმივი ფსიქოლოგიური წინების გამოყენებით.

ვინც ზომბირებას არ ექვემდებარება, ვინც ფსიქოლოგიურ ტერორს არ ებუება, ისინი სხვა მეთოდებით უნდა გატეხონ და გაანადგურონ, ეს მეთოდები კი, ჰოი, საოცრებაა, რატომღაც ძალიან ჰგავს იმ ინსტრუქციებს, რომლებიც „სიონის ბრძენთა ოქმებიდან“ ამოგვიკითხავს...

ბოლოს კი ერთ მცირე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ ზემოთნახსენები ჩემი წერილიდან და ამით დავამთავრებ: „ისტორიის ბელუკულმართობის გამო ქართველი მეფეები ზოგჯერ იძულებულნი ხდებოდნენ, ჩალმა დაეხურათ თავზე, რომ ქართული საქმეების კეთება შეძლებოდათ.

საბჭოთა პერიოდშიც ბევრ ქართველს ეხურა თავზე წითელი ვარსკვლავით დამშვენებული „ჩალმა“, მაგრამ შიგნით, გულის სიღრმეში ქართველობა არ დაუკარგავთ და თავისი სამშობლოსთვის არ უღალატიათ.

დღესაც იგივე სიტუაციაა საქართველოში...

მართალია, წითელვარსკვლავიანი ჩალმის დახურვას არავინ გვაიძულებს, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა ჩალმას გვაზომებენ თავზე.

დროა ისეთი, რომ ყველაფერს ვერ იტყვი და ვერ გაშიფრავ, რადგან ამით შეიძლება საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც ძალიან დიდი ზიანი მიაყენო.

ამიტომაც უნდა ისწავლოს ქართულმა საზოგადოებამ ქვეტექსტის ამოკითხვა და სიტყვებიდან დაშიფრული შინაარსის გამოტანა.

თუ რაღაც ისე ვერ კეთდება, როგორც ჩვენ გვინდა, იმწამსვე საქართველოს ხელისუფლები-საკენ ან ბიძინა ივანიშვილისკენ კი ნუ გავიშვერთ თითს, ცოტა სხვა მიმართულებითაც გავიხედოთ.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლამდეც, პოლიტიკაში მოსვლის და პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც, ქართულ საქმეს აკეთებდა და აკეთებდა არა სპონტანურად, არამედ კარგად გააზრებული და აწონილ-დაწონილი გეგმის მიხედვით. პერსპექტივაზე გათვლილი ამ გეგმის მასშტაბები, რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი და ნათელი ხდება.

ეს საქართველოს გადარჩენის გეგმაა და, დარწმუნებული ვარ, ის აუცილებლად განხორციელდება ბოლომდე, თუ ჩვენ, ქართველები, არ შევეშლით ხელს ჩვენი სულსწრაფობით და სულმოკლეობით...“

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საზოგადოებრივი სერვისი „საერთო სიჭკვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (სოც) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჰვირის ვალაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იზიარება შპს „გამომცემლობა საზოგადოებრივი“; ტელ.: 599 95 31 90
ამ ნომრით აღიზნებულია სარედაქციო მასალა.

„თუ გინდა იყო ყველა დროში ნაკრებებულნი, ყველა დროში იყავი უნაგუსო და უსირსხვილო!“



ზოგად, ქართულ მედია-სივრცეს პატრონი არ ჰყავს! უფრო ზუსტად კი, სწორედ რომ ჰყავს პატრონი, ოღონდ, უხილავი, ისეთი, რომელმაც უპატრონოდ და უზნეოდ აქცია...

მაგანს რა აქვს ჩაფიქრებულნი, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ „გამოუტყვინებელ საზოგადოებაში“ აღმასწავლებლად მკაცრი რეაქცია მოჰყვა GDS-ზე შურნალისტ-პროპაგანდისტების, დატრინინგებული „ნაც-ფურნალისტური დესანტის“ გამოჩენას, მათ ჩვეულ, დემაგოგიურ საუბრებს დაყენებული ტონით, მიმიკებითა და უმარღვო შუბლით.

ჯერჯერობით სრული სპექტრი არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ვინც უკვე იყვნენ გადაცემაში წამყვანებად თუ სტუმრებად, მათ კარგად იცნობს საქართველო. მათი უმრავლესობა ის ურნალისტები არიან, რომლებმაც „საანის ურნალისტიკა“ დაამკვიდრეს, „ურნალისტურ თავზე“ ხელი აიღეს და ავტორ-დემოკრატორებად ჩაეწერნენ ნაც-ამქარში; ეს ის ურნალისტები არიან, რომელთაგან, მიხეობა გამო, ზოგად დროებით ფეიკ იცვალა; ზოგი – ისევე ძველ ამბულანსა ახალი შეფუთვით; ზოგი – სად შეებრა და ზოგი – რომელ ჩირგვს ამოეფარა; ეს ის ურნალისტები არიან, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ნამდვილი ურნალისტიკის სიკვდილს და იმ ტაკიმასხარაობად აქციეს, რასაც დღეს ვხედავთ ყველა მედია-საშუალებებში; ეს ის ურნალისტები არიან, რომლებიც არა მხოლოდ 9 წლის განმავლობაში „აპარებდა“ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, არამედ თვითონ მონაწილეობდნენ იმ რეჟიმის შექმნაში პირდაპირი ჩართვით, დიად, საკვებოდ, ურნალისტურ საქმიანობას ამოფარებულები; ეს ის შუბლისხაღვრულნი ურნალისტები არიან, რომელთაც საფუძველი დაედო არ ჩაუძახია სინდისის ხმას, რომ პირი გააღონ და თქვან სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, რა შავ საქმეებს სწავლიდნენ და ვისი მითითებით (რაც, სხვათაშორის, ნამუსიან ურნალისტებს არ გაჭირვებიათ ჯერ კიდევ სააკაშვილის დიქტატურის დროს!); ეს ის ურნალისტები არიან, რომლებსაც ღვარად გადმოსდიოდათ ნიანგის ცრემლები როცა მათი კოლეგები მიახვრიტეს (დღემდე გამოუძიებელია ეს საქმეები). მათი მხრების აჩქვავა, საგარეოდ, ვინ შეიძლება დაინტერესდეს ყოფილიყო რომელიმე კონკრეტული კოლეგა-ურნალისტის მკვლელობით, რა მოტივითა თუ მიზეზით, მხოლოდ ერთს ნიშნავს – რატომ უნდა დავირღვიო აწყობილი მდგომარეობა, მე ხომ ძალიან კარგად ვარ? ეს ის ურნალისტები არიან, რომლებიც აბსოლუტურად აუღელვებლად ასაღებდნენ (საჭიროების შემთხვევაში, წარსულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, კვლავაც გაასაღებენ) შავს თეთრად და პირიქით; ეს ის ურნალისტები არიან, რომლებიც წარსულიდან მომდინარე დავალებუ-

ლები არიან გარკვეულ პირთა ან პირთა ჯგუფის წინაშე და უბრალოდ, „სხვაგვარად არ ძალუთ“, სადაც იდგნენ, მუდამ იქ უნდა დადგნენ!

აი, ეს ადამიანები ქადაგებენ როგორი უნდა იყოს ურნალისტიკა, ურნალისტი და მედია-სტანდარტი!

არადა, ისე ტკბილად ჟღერებულა, ისე ალაღად საუბრობენ, ისეთი წრფელი გამოხედვა აქვთ, ისე კარგად იციან როგორი უნდა იყოს ურნალისტიკა...

უკვე რამდენიმე გადაცემა იყო ეთერში გასული, მაგრამ ხალხს არანაირი ინტერესი და შესაბამისად, რეაქცია არ ჰქონდა თავისი არსით მართლაც საინტერესო გადაცემაზე, რეაქციამ და ისიც უარყოფითმა, ახლავა მიაღწია მაღალ ზღვარს, რადგან „გადაცემა-პროდუქტი“ იმ სახეობისაა, საზოგადოების ფართო სპექტრი რომ არ „მიირთმეოს“, მხოლოდ ფეისბუქ-გადახილის შემდეგ მოჰყვა დაინტერესება.

დღემდე გასული გადაცემების წამყვანთა და მოწვეულ სტუმართა მოკლე ჩამონათვალით თუ ვიმსჯელებთ, ძირითადად „საქართველოს ურნალისტური ეთიკის ქარტია“, ურნალი „ლიბერალი“, „რუსთავი-2“ და „საია“ ასწავლის სხვას რა არის მედია-სტანდარტი – ღმერთო, შენ გვიმეგლე!

„თუ მაყურებელი იქნება უფრო მეტად კრიტიკული, ოღონდ ჯანსაღად კრიტიკული; იქნება უფრო მეტად მომთხოვნი და ამავე დროს მედიაწიგნიერი, ის ლოგიკურად, მიიღებს უკეთეს ურნალისტიკას“ – ასე დაგვემდინარე მორიგი ბოლო წამყვანი. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მედია-ურწიანური მაყურებელი რასაც ითხოვს, ის არის ქართული მედია და ტყუილად ნუ შარობთ!

მაშასადამე, ქართველი მაყურებლის მოთხოვნა ყოფილა, რომ მედიამ (ყველა სახის) მიაწოდოს

დემოკრატია; გამოდგებით ხედავთ ტყუილის ტირაჟირება; შეხედულებისამებრ ან დაკვეთით ლაფში ამოსვარონ ცალკეული ადამიანები ან პირთა ჯგუფი; ღია ეთერში ერთმანეთი ავიცილებინო (ზოგჯერ, გალახინონ კიდევ) მიწვეულ სტუმრებს; ჩაატარონ პროპაგანდა-ავტორიტეტი სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის აუცილებლად სექსუალურ გადახრებზე და თვალსაჩინოებისთვის სტუდიაშიც შემდეგდაგვარად გამოსახონ და ა.შ. რასაც პირიქით, მაყურებლის მხრიდან ლანდლა-ვიცა მოსდევს...

ტალიანდის სამხედრო ხუნტის ხელმძღვანელი პრაიუტ ჩან-ოჩა



სანამ სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდოდა, ამბობდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ნებისმიერ იმ მედია-საშუალებას დახურავდა, რომელიც სიმართლეს არ ამბობდა, ანუ სიცრუეს ავრცელებდა. „არ არის აუცილებელი ხელისუფლების მხარეს იყო, თქვენ სიმართლის მხარეს უნდა იყოთ“ – ასე განუმარტა მან ურნალისტებს ურნალისტიკის დანიშნულება, ხოლო როდესაც ჩაეძინა, რას მოიმოქმედებდა ქვეყნის ხელისუფლება იმ ურნალისტების წინააღმდეგ, ვინც სიმართლეს არ იტყოდა, ანუ სიცრუის ტირაჟირებას განაგრძობდა, გენერალმა მოკლედ უპასუხა: „უბრალოდ, სიკვდილით დასჯით!“

სხვათაშორის, ცნობილი ამბავია – ფაშისტურ გერმანიაში გამოდიოდა გაზეთი „დერ შტურმერ“ იულის შტრაიხერის რედაქტორობით. კონკრეტულად შტრაიხერს არასდროს და არავინ დაუხვრეტია; არც დახვრეტის ბრძანების გამცემთა სიაში იყო; არც არანაირ სამხედრო მოქმედებებში ჩაიხილა არასდროს და არც ვინმე აუწიო-

კებია, ივდა კაცი თავისთვის, მშვიდად, თავის რედაქციის კაბინეტში და უშვებდა გაზეთს, არადა, ნიურბერგის პროცესზე ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის მიზეზი მხოლოდ ერთი იყო – „ფაშისტური რეჟიმის „გაპარაება“! (უფრო კარგად და ზედმიწევნით გასაგები რომ იყოს ვიდაცებისთვის)

შტრაიხერის ადვოკატმა კლიენტის დაცვა მის შურაცხადობაზე აავთ. საბრალდებო დასკვნაში ჩაიწერა, რომ ბრალდებული ნამდვილად იყო შეპყრობილი ფიურერის თავგანისცემის აკვიატებული იდეით, მაგრამ სწორედ ამიტომ, არ შეიძლება მისი ავადმყოფური ფსიქიკა გამდარიყო შეწყალების საფუძველი!

როგორც სასჯელის აღმასრულებელი იხსენებდა, ჩამოხრჩობისას, თავზე ტომარაჩამოცმული შტრაიხერი, უბრალოდ ერთი გაზეთის რედაქტორი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მხარს უჭერდა ქვეყნის ფაშისტურ მმართველობას, სიკვდილის დადგომის ბოლო წამამდე გაიძახოდა: „პილ ჰიტლერ!“

არავის უნდა ნებისმიერი ადამიანის სიკვდილით დასჯა და არც „სამარცხვინო ბოძზე“ გაკვრა, მაგრამ როდესაც ცნება „სირცხვილი“ გამოიხსენება მოსპეს, მსმელია კი ხილულ დანამაჰვედ ადგას

საზოგადოების მოთხოვნა, გავილტროს ქართული მედია-სივრცე და რეაქცია ქართული მედიის კონკრეტული წარმომადგენლებისა და კონკრეტული სატელევიზიო გადაცემების მიმართ, ბუნებრივია, რადგან სირცხვილის გრძობის დაკარგვამ აბსოლუტურად შიშვლად წარმოაჩინა ყველა „შტრაიხერი“!

ურნალისტის მხოლოდ ის მოთხოვნა, რომ თბილეთურად გააშუქოს მიმდინარე მოვლენები; არ დაამახინჯოს ინფორმაცია და ა.შ. რაც შეეხება მხარეს, მხოლოდ სიმართლის მხარეს უნდა იყოს! ხოლო თუ ეს არ შეუძლია მიხეობა გამო, სხვა საქმით დაკავდეს, დაუბრუნდეს მშობლიურ კერას რომელიმე რაიონში და მოიყვანოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ბოლო-ბოლო, შეიძლება მინც გაზარდოს ჯანმრთელ ადამიანებად!

სწორედ გამრუდებული ფსიქიკის მქონე ურნალისტების მეშვეობით მოდის კოქსაპირულად მედიდან სიცრუე, სიმახინჯე, გარყვნილება, ადამიანების ერთმანეთზე წაკიდება-დაპირისპირება, ყოველივე მშობლიურის მასხრად ადგება და ქვეყნის წარსულის, აწმოსა თუ მომავლის მაქსიმალურად დაკნინება-წაშლა...

სიცრუე, სიცრუე და სიცრუე! სწორედ ამიტომ ჰკონიათ ქართველ ემიგრანტებს, რომ მიშას დროს საქართველო ყვაოდა, ახლა კი იქცევა; მიშას დროს ქვეყანაში გამალებული შენება მიმდინარეობდა, ახლა კი – ყველაფერი გაჩერებულია; მიშას დროს წინ მივდიოდით, ახლა კი გამოქვამულისკენ ვქენით პირი...

სიტყვას მოჰყვა და – შარშან, წლის ბოლოს, ეწ კონკურსის „ოქროს პერგამენტის“ ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიაზე „2014 წლის ურნალისტიკაზე“ დასახელებულ გიორგი გაბუნია („რუსთავი-2“) და ინგა გრიგოლია („იმედი“). აქციის გენერალური სპონსორი სანაპიროზე, საპატრიარქოს გვერდზე წამოჭობილი კაზინო „შანგრი ლა“ იყო, საინფორმაციო მხარდაჭერა კი „რუსთავი-2“, ანუ გიორგი გაბუნია დაჯილდოება საკითხავი აღარ იყო, ხალხს მხოლოდ ის აინტერესებდა, გრიგოლია რატომ დაჯილდოვდა, როდესაც მაყურებლისგან მხოლოდ გინება ჰქონდა მიღებული მთელი წლის განმავლობაში. თვით გრიგოლიას კი, ადექატური რეაქცია, მცირედი სისხარულიც არ ექერა სახეზე. მაყურებელმა ბევრი იფიქრა თუ ცოტა, დაასკვნა, რომ „ნაცვებმა“ გრიგოლია „ლაშაზად ჩაუშვეს“, ანუ კიდევ ერთხელ „ლაშაზად დაამუნათეს“ – რა გაახარებდა; ან ვანო მერაბიშვილისა და გივი თარგამაძის მიერ შექმნილი „წუმპე-ქემ-ს“ წვერობის შემდეგ მსგავს „წვერილმანებზე“ აღარ რეაგირებს...

დევნი, რომლითაც ჩვენი ურნალისტიკის დიდი ნაწილი ხელმძღვანელობს, შეიძლება ასე ჩამოვყავდით: – თუ გინდა იყო ყველა დროში წარმატებული, ყველა დროში იყავი უნაგუსო და უსირცხვილო!

გიორგი ჩხეიძე

ინტერნეტ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გვესაუბრება პოლიტოლოგი ლევან ლორთქიფანიძე:

– ლევან, მსოფლიოს ყურადღება საბერძნეთისკენაა მიპყრობილი. მოდით, ვითარებაში უკეთ გასარკვევად მარტივი კითხვით დაიწყოთ – რამ გამოიწვია საბერძნეთის კრიზისი?

– ეს სულაც არაა პრიმიტიული, პირიქით, ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა, რაზეც პასუხი ბევრს არ აქვს. რა მოხდა რეალურად? – ყველაფერი 2008 წლიდან დაიწყო, როცა ეკონომიკური კრიზისი მოელს მსოფლიოში გავრცელდა. ყველა დიდი მეცნიერი თუ პოლიტოლოგი 2008 წლის საერთაშორისო, გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს სწორედ იმ პოლიტიკას უკავშირებს, რომელიც 1980-იანი წლებიდან მოელს მსოფლიოში ტარდება. ესაა ერის, სახელმწიფოს ფუნქციების, რეგულაციების შემცირება და ფინანსური ბაზრების, ბანკების, საერთაშორისო კორპორაციების აბსოლუტური, შეუზღუდავი ძალაუფლების წინ წამოწევა. ანუ, 1980-იანი წლებიდან სახელმწიფოს როლი მსოფლიო ეკონომიკაში შემცირდა, ხოლო საერთაშორისო კორპორაციები, ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები აბსოლუტურად, შეუზღუდავად საქმიანობდნენ, რამაც 2008 წელს გლობალურ ეკონომიკურ კრიზისამდე მიგვიყვანა. კრიზისში ჩაჯარნილ საბერძნეთს, ბუნებრივია, ეკონომიკური დახმარება დასჭირდა იმიტომ, რომ 2004 წელს მან ოლიმპიადა ჩაატარა, რისთვისაც ძირითადად, გერმანული და ფრანგული ბანკებისგან ცალკე სესხები აიღო. 2008 წლის შემდეგ, უნდა გადაეხდა არამხოლოდ ეს ვალები, არამედ შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებაც დაერეგულირებინა. 2010 წლამდე საბერძნეთმა დიდი საერთაშორისო ვალების გარეშე გაძლო, მაგრამ მერე, უკვე ასე გაგრძელება შეუძლებელი გახდა და მან კრედიტორების მიება დაიწყო. მთელი უბედურება იცით რა არის? – საერთაშორისო ასპარეზზე, გაჭირვებული ქვეყნებისთვის, ერთადერთი კრედიტორი, დამხმარე არსებობს, ესაა ე.წ. ტროიკა, რომელშიც ერთიანდება „ევროპის ცენტრალური ბანკი“, „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ და „ევროკომისია“. როცა ბაზარზე ერთადერთი მოთამაშეა და გაჭირვებული სახელმწიფოს დამხმარეა მხოლოდ მას შეუძლია, ვგულისხმობ, ე.წ. ტროიკას, იგი, თავისი ერთადერთობით,



ლევან ლორთქიფანიძე:

„ტროიკა“ და ბერძნული ტრაგედია, როგორც შიდაგადასახლება მალე ქართული თეატრის სცენაზე დაიდგას

განუმეორებლობით სარგებლობს და სახელმწიფოებს კუთხეში იმეფვდეს. ტროიკამ ისარგებლა იმით, რომ საბერძნეთს სხვაგან წასასვლელი არსად ჰქონდა. მან შესაბამისი ვალები, კრედიტები გასცა, რასაც თან მოაყოლა თავისი წესებიც – კრედიტი გასცა, მაგრამ მიუთითა – ბერძნულ კომპანიას კი არ ააშენებინოთ ინდუსტრიული საწარმო, საკუთარ კომპანიებს კი არ დაუტოვოთ საბერძნეთში არსებული ქიმიური მრეწველობის საწარმოები, სოფლის მეურნეობაში მხოლოდ თქვენი ფერმერები კი არ ამუშაოთ, არამედ ჩვენი მხარდამჭერები, ბანკები, საერთაშორისო კორპორაციები, მათ გააკეთონ საქმე და გაცემული ვალებით მოგება ნახონო. ანუ, უპირატესობა მათ პარტნიორ ორგანიზაციებს: „ფოლცვაგენს“, „სიმენსს“, „სოსიე-დე-ჟენერალს“, „ლოინე ბანკს“ უნდა მიენიჭებოდა. ანუ, საბოლოო ჯამში, საბერძნეთმა ვალები აიღო და ნაცვლად იმისა, რომ ეს ვალები ადგილობრივ ეროვნულ ეკონომიკას, ინდუსტრიის განვითარებას, მცირე მეწარმეებს, დასაქმებულებს, შიდა ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებას მოხმარებოდა, ამის ნაცვლად, ბერძნები ვალს იმისთვის იღებდნენ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები დაეფინან-

სასენიანო. ანუ, საბერძნეთი იღებდა კრედიტს, რომლის უდიდესი უმრავლესობა, მოგების სახით, ამ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ქვეყნიდან გაჰქონდათ, თანხის ნაწილი კი ადგილობრივ ელიტებს რჩებოდა. საბერძნეთისთვის გაცემული კრედიტების უდიდესი უმრავლესობა წაიღეს ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა და ადგილობრივმა ელიტებმა, ბერძენ მოქალაქეს, დასაქმებულს, მასწავლებელს, ამ კრედიტის ნარჩენები დარჩა. დღეს, ეს „ტროიკა“ საბერძნეთს არამხოლოდ იმ ნარჩენების გადახდას სთხოვს, არამედ პასუხისმგებლობას აკისრებს იმ მოგებაზეც, რაც ამ კორპორაციებმა ქვეყნიდან გაიტანეს. გარდა ამისა, როცა საერთაშორისო კრედიტორი ქვეყანასთან ხელშეკრულებას აფორმებს, გამოთქვამს პროგნოზებს – როგორ განვითარდება პროცესი და ა.შ. ამ პოლიტიკის შედეგად, საბერძნეთში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სიღარიბის დონემ 30%-ს მიაღწია, 3 მილიონი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმაა, 25%-ით შემცირდა მილიანი შიდა პროდუქტი, ახალგაზრდებში უმუშევრობის დონემ 60%-ს მიაღწია. ბერძნები უმძიმეს მდგომა-

რეობაში არიან. ამ პროგნოზზე პასუხისმგებლობა ვინმემ წინასწარ აიღო? როცა ხელშეკრულება აფორმდებოდა, იქ, გარკვეული პროგნოზებიც უნდა გაწერილიყო, საბერძნეთისთვის არავის უთქვამს, რომ სავალ ურთიერთობის პირობებში, იგი, ამ დონეზე გადაირბიდა. კიდევ ერთი მთავარი მოთხოვნა, რასაც საბერძნეთის ხელისუფლებას საერთაშორისო კრედიტორები უყენებენ, ესაა ე.წ. ქამრების შემოჭერის პოლიტიკა ოლონდ, ეს ნაკლები პრემიის გა-

რიკის ქვეყნებზე, რომლებიც სავალუტო ფონდის მიერ მილიანადაა გაძარცვული. იგი, დღეს, აფრიკის ტერიტორიას როგორც საცდელ ველს ისე იყენებს, სადაც ყველაზე მავნე ნივთიერებების გამოყენებას ქარხნები გადააქვს, ასევე, ხელს უშლის ადგილობრივი ინდუსტრიის და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და მილიანად ახდენს აფრიკის და განვითარებადი სამყაროს ქვეყნების ექსპლუატაციას. აღარც იმაზე შეგვჩერდები, რა გააკეთა სავალუტო ფონდმა საქართველოში 90-იან წლებში. მისი მიზანი იყო საქართველოში ადგი-



ცემას, ან ჯიბის ყიდვაზე თავის შეკავებას არ გულისხმობს, როგორც ჩვენთან ესმით. ქამრების შემოჭერის პოლიტიკას „ტროიკა“ შემდეგს ეძახის: თუ გიჭირს და შემოსავალი არ გაქვს, მასწავლებელს ისედაც მიზერული ხელფასი უნდა შეუძმცირო, სტუდენტს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა არ დაუფინანსო, ტურისტში რომ ჰყვავის, მას დამატებითი გადასახადი დაუწესო და ა.შ. ევროკავშირის კიდევ ერთი მთავარი მოთხოვნა ქამრების შემოჭერა, ანუ, ხალხის სამსახურიდან გაშვება, ხელფასების, პენსიების შემცირება იყო. სხვათა შორის, ბოლო ხუთი წლის მანძილზე, საბერძნეთში პენსიები 20-25%-ით შემცირდა, საპენსიო ასაკი კი 67 წლამდე გაიზარდა. საბოლოო ჯამში, ასეთი ვითარება მივიღეთ – გაიცა ვალი, მისი უდიდესი ნაწილი, მოგების სახით, ტრანსნაციონალური კორპორაციებისკენ წავიდა, რომლებიც ძირითადად, გერმანული და ფრანგული წარმოშობის არიან, თანხის მეორე ნაწილი ადგილობრივმა კორუმპირებულმა ელიტებმა შეჭამეს, რომელთაც დღეს, საქმე დასაჭერად აქვთ.

ლობრივი მრეწველობა არ განვითარებულიყო და ჩვენი ქვეყანა ამ საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციების მორჩილი გამხდარიყო. არც იმაზე საუბრით შეგაწყვენი, თუ რას აკეთებს სავალუტო ფონდი აზიის ქვეყნებში. ამაზე ტომებია დაწერილი, თუ როგორ ახდენს სავალუტო ფონდი ტრანსნაციონალური კორპორაციების სასარგებლოდ მთელი მსოფლიოს რესურსების ექსპლუატაციას. მაგრამ საბერძნეთი უნიკალური მაგალითია შემდეგი მიმართულებით – იგი, ამდენ დამონებულ, ექსპლუატირებულ, გაღარიბებულ ქვეყნებს შორის პირველი აღმოჩნდა, რომელმაც ხმა ამოიღო და თქვა – ჩვენ, ამ ტიპის საკრედიტო ურთიერთობებში დარჩენას არ ვაპირებთ. საბერძნეთმა მოითხოვა, ადგილი ვალი მათ განათლებაში, მეცნიერებაში, ინოვაციურ ტექნოლოგიებში, ადგილობრივი ინდუსტრიის, ტურისტების, მცირე მეწარმეების განვითარებაში დაიხარჯოს და არა აქედან მოგება „ფოლცვაგენმა“, „სიმენსმა“, „ლოინე ბანკმა“ ან „სოსიე-დე-ჟენერალმა“ ნახოს. ეს აბსოლუტურად, ლეგიტიმური და მამაცი მოთხოვნაა, რაც „ტროიკის“ წინააღმდეგ საბერძნეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ დააყენა.

– „ტროიკის“ ერთ-ერთმა წევრმა საქართველოსაც დაატყო უკვე თავისი კვალი...

– დიან, მსოფლიო სავალუტო ფონდი ასეთ უბედურებებს, დღეს, მოელს მსოფლიოში ახორციელებს. აღარაფერს ვამბობ აფ-

– ლევან, საბერძნეთის თემასთან დაკავშირებით, სხვადასხვა





მოსაზრებები ვრცელდება, ზოგი მიიჩნევს, რომ ბერძნები ზარმაცი ხალხია და ღირსნი არიან რაც დაემართათო. თქვენ რას ფიქრობთ?

– ამ ფაშისტების არ მჯერა. ქართველ ლიბერალებს ფაშისტური მიდგომა აქვთ – ღიახ, ისინი ამბობენ: ბერძნები ზარმაცი ხალხია, არ უყვართ მუშაობა, გონებრივად ნაკლებად განვითარებულნი არიან, ამიტომ, ახია რა მდგომარეობაშიც არიან, ღიახ, ბოლომდე უნდა აგონ პასუხიო. არადა, სტატისტიკის მიხედვით, ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ბერძენი რიგით გერმანელ დასაქმებულზე 3-4 საათით მეტს მუშაობს. კიდევ ერთი, რასაც ეს ქართველი ლიბერალები ამბობენ ისაა, რომ ბერძნებს ცუდი მთავრობები ჰყავთ და ყველაფერი ამის ბრალიაო. წინა მთავრობები ნეოლიბერალურ კურსს ატარებდნენ, ისინი ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მონა-მორჩილნი იყვნენ და ნებისმიერ ღირეტივას რომელიც ტროიკისგან მოდიოდა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ასრულებდნენ. ამ ფონზე, საბერძნეთის ამჟამინდელი მემარცხენე მთავრობა პატივისცემას და საერთაშორისო მხარდაჭერას იმსახურებს. მათ მხარდასაჭერად ინტელექტუალური მოძრაობა შეიქმნა. ამბობენ, თითქოს აქ, ძირითადად, ულტრაგანსწობების მქონე ადამიანები ერთიანდებიან ანუ, ძალიან რადიკალი მეცნიერებით.



ბით, მსოფლიო სავალუტო ორგანიზაციაში. მათ არ აქვთ ჰუმანური მგრძობლობა, ადამიანების შეგრძნება, არ აინტერესებთ განვითარდება თუ არა საქართველო, ექნება თუ არა ინდუსტრია. მხოლოდ ის აინტერესებთ, რომ მათ ირგვლივ მყოფ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს კიდევ უფრო მეტი მოგება ჰქონდეთ. ეს მხოლოდ მოგება ხომ არ არის? აქ, ლაპარაკი არაა მხოლოდ ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებზე – მეტი მოგება, ქვეყნის შიგნით მთელი საკუთრების პრივატიზება და ხელში ჩაგდება, ამავდროულად, არამხოლოდ კაპიტალის მოზიდვას, გაორმაგებას, არამედ პოლიტიკურ ძალაუფლებასაც ნიშნავს.

ძალიან მიკვირს და მეცინება, როცა საქართველოში ვიდაცები ამბობენ: ვაიძე, მასონები მოდიან და მსოფლიოს მართავენო. მეგობრებო, ყველაფერი ზედაპირზე დევს, არანაირი ლოყები, მითიური შეთანხმებები და შეთქმულებები არ არსებობს. ეს ორგანიზაციები ოფიციალურად არსებობს – „მსოფლიო სავალუტო ფონდი“, „ევროპის ცენტრალური ბანკი“, ვიმეორებ, ეს ოფიციალური დაწესებულებებია. ნიუ-იორკში ვოლსტრეიტის ქუჩაზე უამრავი კომერციული დაწესებულებაა, რომელიც ოფიციალურად, ღიად, გამჭვირვალედ საქმიანობს და ღიად ამბობს: ღიახ, ჩვენ ვართ ჰომოფობები, ღიახ, ჩვენი მიზანია გავადარბოთ სხვა, ღიახ, ჩვენი მიზანია ათმაგი მოგება გვექონდეს, ღიახ, ჩვენი მიზანია ამ მოგების საფუძველზე მსოფლიოზე კონტროლი. დღეს, სწორედ, ისინი აკონტროლებენ მსოფლიოს. საბერძნეთი არის ქვეყანა, რომელიც ამ საერთაშორისო ავანტიურისტებს დაუპირისპირდა.

– მოდით, ისიც ვთქვათ, რა გავლენას მოახდენს ყოველივე საქართველოზე?

– რაც შეეხება საქართველოზე გავლენას, რეფერენდუმის შემდეგ ნებისმიერი გზა რაც არ უნდა აერჩია საბერძნეთს, ურთულესი იქნებოდა და იქნება. უბრალოდ, არას თქმით, საბერძნეთმა

სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებს მაგალითი უჩვენა. საბერძნეთმა, ჩვენ, მაგალითი მოგვცა. კერძოდ, ვალს რომ ავიღებთ, ეს, რომელიმე საერთაშორისო ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ ორგანიზაციას არ უნდა მოვასხმართო, რომლის წარმოშობა არ ვიცით, მას, ჩვენი კრედიტები არ უნდა ვაჭამოთ, არამედ თანხა ჩვენს უნივერსიტეტს, ინდუსტრიას უნდა მოვახმაროთ. იმასაც ამბობენ, რომ საბერძნეთის ამ პოზიციის შედეგად, საქართველოში გადმორიცხვები შემცირდებაო. ცხადია, გადმორიცხვები შემცირდება და საქართველო უმძიმეს დღეში აღმოჩნდება იმიტომ, რომ ჩვენ ემიგრანტები გვარჩენენ. მაგრამ რეფერენდუმზე კი რომ ეთქვათ, მაშინ ქაძრების შემოჭრა გაგრძელდებოდა. ეს რას ნიშნავს? – რომ იქ არსებულ პენსიონერებს თავიანთი პენსია კიდევ უფრო მეტად შეუმცირდებოდათ. შესაბამისად, მეორე გზა, საქართველოსთვის, უფრო სახიფათო იქნებოდა. დღეს, გაამართლებს თუ არა არ ვიცით, მაგრამ შანსი არსებობს, რომ საქართველომ საერთაშორისო გადმორიცხვები შეინარჩუნოს.

– წელან ახსენეთ, ევროპა მძიმე დღეშიაო. ჩვენც გეზი ევროპისკენ გვაქვს, მაგრამ რამდენად გვაქვს ევროკავშირში შესვლის ვალდებულება, ეს ხომ ეკონომიკურ-ფინანსური ერთობაა, რომელსაც ევროპულ ღირებულებებთან, ფასეულობებთან საერთო არაფერი აქვს. თანაც, რამდენად მზად ვართ ის რეკომენდაციები შევასრულოთ, რასაც იგი გავწვრიანებულ ქვეყნებს უყენებს და რამაც მათ უმრავლესობას სერიოზული პრობლემები შეუქმნა?

– ძალიან საინტერესო შეკითხვაა. ახლა, ჩვენ, ევროკავშირის უარყოფით მხარეებზე ვსაუბრობთ, მაგრამ მას ხომ უამრავი პოზიტიური მახასიათებელიც აქვს, იგივე, განათლების, ჯანდაცვის, საპენსიო სისტემის, სოც.უზრუნველყოფის სახით და ა.შ. მაინც ვფიქრობ, რომ ევროკავშირში შესვლა უაღტერნატივო არჩევანია. მაგრამ აქ იწყება მთავარი მაგრამ. ევროპაში შევდივით შევიდა, მაგრამ მას თავის კონაზე უარი არ უთქვამს. მან თქვა: ევროკავშირის წევრი ვარ, მაგრამ ჩემი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა გავატარო, მიუხედავად ევროკავშირის მიმართ პატივისცემისა, ჩემი სტანდარტები და წესები მაქვსო. ევროკავშირიდან გამოსვლას არ ითხოვს არც „პოლემოსი“ და სხვა მემარცხენე ძალები, უბრალოდ, ისინი ევროკავშირის რეფორმირებას

ითხოვენ. ევროკავშირის სტრუქტურას კრიტიკულად უყურებენ და ამბობენ, რომ იქ, საერთო ევროპულ ღირებულებების მონაწილეობა, თავისუფალი არჩევნები ძალიან დაკნინებულია, დემოკრატიული ინსტიტუტები ბიუროკრატიული და კომერციული სტრუქტურებითაა ჩანაცვლებული. ისინი ამის წინააღმდეგ იბრძვიან. ევროკავშირის რეფორმა რომ საჭიროა, ამას ანგელო მერკელიც აღიარებს. იგივეს აღიარებს ევროპის ყველა ლიდერი, მაგრამ ეს არ კმარა. ევროკავშირს რეფორმა სჭირდება, თორემ ყველა სტრუქტურა თავზე შემოემსხვრევა, უამრავი საშინელება მოხდება. ჩვენ, ევროკავშირში გავწვრიანებისთვის უნდა ვიბრძო-



ლოთ, მაგრამ უფლება გვაქვს ალტერნატიულ ევროპაზე ვიფიქროთ, უფრო დემოკრატიულ ევროპაზე, რომელიც ნაკლებმომსახურებულ ქვეყნებს რომელიცა ბანკებისა და კომერციული დაწესებულებების მოგების ხარჯზე არ ჩაგრაავს. უნდა ვთქვათ, რომ მივდივართ დასავლეთისკენ, ევროპისკენ, მაგრამ მივდივართ ჩვენი წესებით, სტანდარტებით, კრიტიკული და რეფორმისტული ხედვით და ევროპაში ინტეგრაცია ჩვენთვის არ ნიშნავს იმას, რომ უსიტყვოდ დავაჩნით ყველაფერზე თავი. ჩვენთვის, ის ქვეყნები, რომელთაც თავიანთი საკრედიტო სუვერენიტეტი დაიცვეს, ვვულისხმობ, შევლეთს და ა.შ., მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს.

– ლევან, ხშირია მოსაზრება, რომ ჯერ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ რეჟიმში ვიცხოვროთ და ევროკავშირში მერე შევიდეთ.

– დიდი მადლობა, ძალიან საინტერესო შეკითხვაა. ახლა, ევროკავშირში ვერ შევალთ, ჯერ ერთი არც გვიშვებენ არა იმიტომ, რომ არ ვუყვარვართ, არამედ მა-

თი სტანდარტების დაკმაყოფილება არ შეგვიძლია, არ გვაქვს იმ დონის სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა, რომელიც იმეკარი რეგულაციების მომსახურებისთვისაა საჭიროა, არ გვაქვს შესაბამისი შრომითი რესურსები, რომლებიც იმ ეკონომიკურ რეალობას მოერგება, არ გვაქვს იმ წესების შესაბამისი ცოდნა, რომელიც ევროკავშირშია დამკვიდრებული. ამიტომ, ევროკავშირში ნელ-ნელა უნდა წავიდეთ. თანაც, არამხოლოდ მათი წესები უნდა ვაღიაროთ და მივიღოთ, სტანდარტები დავაკმაყოფილოთ, არამედ როცა ეს წესები სამართლიანად არ მიგვანია, ხმა უნდა ამოვიღოთ ისე, როგორც ეს ბერძნებმა გააკეთეს. რაც შეეხება თავისუფალ ეკონომიკურ რეჟიმში ცხოვრებას, ამ რეჟიმში უკვე ვცხოვრობდით, როცა სახელმწიფო ოფიციალურად და კანონით, არაფერში არ ერეოდა. სახელმწიფოს თავის კარტელები, მონოპოლიები, ბიზნესები ჰქონდა, რომელთა საქმიანობაში არ ერეოდა და მათ გამარცხვს ქვეყანა, არანაირი რესურსი არ დაგვრჩა, სინდის-მანუსის გარდა, ყველაფერი გაიტანეს, გაყიდეს. რკინიგზა ძლივს გადავარჩინეთ. ფოთის პორტი, ენერგოსისტემა, ჰიდრორესურსები, სხვა სტრატეგიული ობიექტები გაყიდულია. ეს მოგვიტანა იმ ე.წ. თავისუფალმა რეჟიმმა. საჭიროა, სარეგულაციო კულტურა რომელიც ევროკავშირში არსებობს, სახელმწიფოს ჩარევა ოღონდ, კა-

ნონიერი საშუალებებით. ამას დრო სჭირდება. ასოცირების ხელშეკრულების შინაარსიც სწორედ ეს არის, რომ მოაშხალოს ადგილობრივი მოსახლეობა, ბიზნესი, ეკონომიკური აქტორები იმისათვის, რომ ის სარეგულაციო კულტურა, რაც ევროკავშირში არსებობს, ჩვენთვისაც მისაღები და გასათავისებელი იყოს. ასოცირების ხელშეკრულება გაფორმდა, ეს პოზიტიური ნაბიჯია, მაგრამ ვინმემ საზოგადოებას მისი ანალიზი შესთავაზა? იქნებ, მასში, ბერძენთა მსგავსად, რაღაცების შეცვლა მოგვეთხოვა, რომელიც ჩვენს შიდა ეროვნულ ეკონომიკას უფრო მეტად დაიცავდა. ყველაფერს ბრმად ვაწერთ ხელს, რაც არ ვარგა. კი, გავწვერიანდეთ ევროკავშირში, მაგრამ არა ბრმად, არა ჩვენი მოთხოვნების გარეშე, არა ყველაფრის უარყოფის ფასად. თუ თავზე ნაცარს ღვაყრით ისე მოგვექცევიან როგორც არასერიოზულ, მეორეხარისხოვან სახელმწიფოს. საკუთარი თავის პატივისცემის მიმართულებით უნდა ვიაროთ.

თამარ შამლიძე
555 23 28 04

ინტერნეტ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

„რა არის იგი სინათლე, რასასა ახლავს ბნელია...“



აველინა ლაპილიანი

„მოჯადოებული წრე“ განათლების სამინისტროში და მორიგი წარუმატებლობისთვის განწირული რეფორმა

„სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“ და ა.შ. 2005-06 წლებში განხორციელებული განათლების რეფორმის შედეგებზე, ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებულ იმედებზე და სამომავლო გეგმებზე „ქართული აკადემიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ქალთა სამოქალაქო მოძრაობა „თამარიონის“ ხელმძღვანელს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი სპეციალისტს **აველინა ლაპილიანს** ვესაუბრეთ:

2007 წლის 12 აპრილს, თბილისში არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული აკადემიის“ პრეზენტაცია გაიმართა. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ ვრცელ დოკუმენტში სხვა საკითხებთან ერთად, საუბარი იყო იმდროინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის დამანგრეველი შედეგებზე, რომელმაც ქვეყანაში განათლების დონის დაცემა გამოიწვია. „მეცნიერებისა და განათლების სფეროში მიმდინარე ფსევდორეფორმა ერთი მხრივ, იწვევს საქართველოს მხედრულ პოტენციალის გაფანტვას, საქვეყნოდ აღიარებული სამეცნიერო სკოლების და კულტურის კერების მოსპობას და შეუძლებელს ხდის ახალი, კვალიფიციური კადრების მოზადებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.“ – ეწერა დოკუმენტში. თანამოაზრეთა ჯგუფის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას, რომელიც მოსახლეობას ხელისუფლების დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოფიზიკის კათედრის გამგე და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ სანაძე ხელმძღვანელობდა. „ქართული აკადემიის“ ბაზაზე, მალე ხელისუფლებასთან დაპირისპირებული სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებებიც გამოჩნდნენ. „ზნეობრივი ფორნტი“ და მის საფუძველზე შექმნილი ქალთა სამოქალაქო მოძრაობა „თამარიონი“, რომელსაც თენგიზ სანაძის მეუღლე და კოლეგა აველინა ლაპილიანი ხელმძღვანელობდა,

– 2006 წლამდე, სანამ წინა ხელისუფლების დამანგრეველი განათლების რეფორმა დაიწყო, ვიყავი დოცენტი, 35 წლის სტაჟის მქონე მასწავლებელი და ჩემი საქმე ძალიან მიყვარდა. როცა რეფორმები დაიწყო, დიდი ექსპერტული ნიჭი არ იყო საჭირო იმისთვის, რომ დაგენახა, რა ჰქონდათ ჩაფიქრებული. მახსოვს, რომ „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე, საუნივერსიტეტო გახეთქილ დაფუძნებულ ვრცელი სტატია სათაურით „ვარდში ეკალი შევნიშნე“. სტატიაში რეფორმის ანალიზი და სამომავლო პერსპექტივაზე საუბარი იყო. რედაქტორმა მითხრა, დიდი ბოდიში, მაგრამ რევილიციის წლისთავზე, ასეთი სათაურით სტატიას ვერ დაუბეჭდავთო. აშკარა იყო, რომ ნაციონალები ძალიან ცუდ საკანონმდებლო ბაზას ქმნიდნენ, რომელიც განათლებისა და მეცნიერების განვითარებას ვერ წაადგებოდა, მაგრამ უარესი ის იყო, რომ საკუთარ, ძალიან ცუდ კანონებსაც არღვევდნენ. კანონით, აკადემიურ თანამდებობებზე შესარჩევის კონკურსის გამოცხადებამდე, უნდა ჩატარებულიყო აკადემიური და წარმომადგენლობითი

საბჭოების არჩევნები. მე რე უნდა შემუშავებულიყო კომისიის წესდება და კრიტერიუმები. ამათმა პირიქით, 1937 წლის დროინდელი „ტროიკების“ მსგავსად, სამეულები დანიშნეს და სრული პროფესორები ხელისუფლების მიმართ გამოვლენილი ლოიალობის ნიშნით შეარჩიეს. იმისთვის, რომ კანონით დადგენილი წესით გამოგვეთხოვა კონკურსთან დაკავშირებული საბუთები, სასწრაფოდ შევქმენით საუნივერსიტეტო არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“. ამის საშუალებით გავიგეთ, ვის რა საბუთები და სილაბუსები ჰქონდა შეტანილი, მაგრამ შედეგი არავითარი – ძალიან ყვეს, ქარავანი მიდისო – ასე პასუხობდა კახა ლომაია ჩვენს პროტესტს.

– თქვენი აზრით, ეს რეფორმა კახა ლომაიას აკვიატება იყო?

– არა. ჩვენ გვქონდა განვითარებადი ქვეყნის სტატუსი, რაც გარკვეული დონის ზემოთ, განათლების განვითარებას კატეგორიულად გამოიწვევდა. ამას ემატებოდა პათოლოგიურ რაკურსში აყვანილი ლიბერალური ღირებულებები. მე ლიბერალურ ღირებულებებს არ ვებრძვი და ვაღიარებ, რომ პიროვნება მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია პიროვნებისა და ერის და ეროვნული ინტერესების დაპირისპირება. რეფორმატორებმა ლიბერალური ღირებულებები ძალიან თავისებურად და ცუდად გაიგეს და „ახალი ქართველის“ შექმნა გადაწყვიტეს. ადამიანის, რომელსაც არაფერი ეროვნული არ აწუხებს და ყველაფერი სულერთია. ამას მოჰყვა ქვეყნის მთავარი უნივერსიტეტის ნგრევა. მაშინ, როცა ყველა წამყვან უნივერსიტეტში საგანთა დიფერენციაცია ხდებოდა, ჩვენთან 2007 წელს შვიდი ფაკულტეტი გაერთიანდა: ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ბიოლოგიის, მატემატიკის ფაკულტეტები საბუნებისმეტყველო ფაკულტეტში გაერთიანეს და პროფესორ-მასწავლებლებთან 80% სახლში გაუშვეს.

– თქვენი აზრით, რეალური საფუძველი ჰქონდა იმდროინდელი ხელისუფლების მიერ უნივერსიტეტში გამეფებულ კორუფციასა და საუბარს?

– ვერ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტში, განსაკუთრებით იურიდიულ და ეკონომიკის ფაკულ-

ტეტებზე, კორუფცია საერთოდ არ არსებობდა. არ იყო სპორტული სიები და ა.შ. მაგრამ სხვა სასწავლებლებთან შედარებით, ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს სენი ნაკლებად იყო გავრცელებული. რომელ კორუფციასა და საუბარს, როცა ფიზიკისა და მატემატიკის ფაკულტეტები ნიჭიერ აბიტურიენტებს რაიონებში ეძებდნენ და მათემატიკურ სკოლაში უფასოდ ამზადებდნენ? უნივერსიტეტი სწორედ ამ ფაკულტეტებით იყო წარმატებული და სწორედ ამ ფაკულტეტებს „დაარტყეს“



პირველად. ყველაზე კორუპირებულს კი ნაკლებად შეეხენ. 2006 წელს ლონდონში ბოლონის კონფერენცია ჩატარდა, სადაც ყველა ქვეყანა აბარებდა ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ. მოხსენება წინასწარ ქვეყნდებოდა, ამიტომ მისი შინაარსიც და კახა ლომაიას გამოსვლის ზუსტი დროც ვიცოდით. სწორედ მინისტრის გამოსვლის დროს, ლონდონში გაგვზავნეთ ფაქსი, რომ ყველაფერი რასაც საქართველოს განათლების მინისტრი ამბობდა, სიცრუე იყო. ლომაია ამტკიცებდა, რომ საქართველოში მოხდა დეცენტრალიზაცია, ამ დროს საბავშვო ბაღებიდან დაწყებული, აკადემიის 60 ინსტიტუტის ჩათვლით, ყველაფერი განათლების სამინისტროს დაექვემდებარა. ამბობდა, საქართველოში დემოკრატია ყვავისო, როცა 2006 წელს უნივერსიტეტის დარბაზში შეკრებილ 300 პროფესორს ჰაერი და წყალი გადაგვიკეტეს და პოლიცია შემოგვასიეს. განათლების ხარისხი ავამაღლეო და ამ დროს ხარისხი ნულზე იყო დასული. შვიდ ფაკულტეტს რომ გაერთიანებ, რომელ ხარისხზეა საუბარი? კვანტურ მექანიკას კითხულობდნენ და კლასიკური

მექანიკის წამკითხავი აღარ ჰყავდათ. კახა ლომაიამ ხმა ვერ ამოიღო, როცა უთხრეს, თქვენ ერთს ამტკიცებთ და თქვენი ქვეყნიდან მოსულ ფაქსში, სრულიად საპირისპირო წერიაო. ჩვენი ბრძოლის მიუხედავად, ჩანდა, რომ პოლიტიკური ნების გარეშე არაფერი გამოვიდოდა ამიტომ სათავეში უნდა მოსულიყო ძალა, რომელიც ეროვნულ ინტერესებს გაატარებდა.

– ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, გაერთიანებული ფაკულტეტების გამოყოფა და უნივერსიტეტიდან გაშვებული პროფესორის უკან დაბრუნება არ მომხდარა.

– ჩვენ იმედი გვქონდა, რომ უნივერსიტეტი გადავიღოდა საჯარო იურიდიულ სტატუსზე, რაც მთავრობას დროებითი მმართველის დანიშვნის საშუალებას მისცემდა, რომელიც არ ჩვენებს მოამზადებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და დარჩა

იგივე აკადემიური საბჭო, რომელმაც უნივერსიტეტის თანამშრომელთა 80% ქუჩაში გაუშვა. ჩვენ ყოველთვის ვითხოვდით, რომ მომხდარიყო რეფორმის შეფასება. ჯერ მარგველაშვილის და შემდეგ სანიკიძის სამინისტრო ვაღებდით იყო გაკეთებინა სამართლებრივი შეფასება და საზოგადოებისთვის ეთქვა, როგორი განათლების რეფორმა ჩატარა წინა ხელისუფლებამ. პატივცემულ პროფესორას ხულოგონის მუხლით რომ ასამართლებენ, ამის სამართლებრივი შეფასება არ უნდა მოხდეს? მართლა ხულოგონები იყვნენ მათ ნათამე, თენგიზ სანაძე, ავთო არაბული და თუ არა? ეს მთავრობა მთავრიდან ხომ არ ჩამოვიდა? ეს მდგომარეობა ხომ მემკვიდრეობით მიიღო? ვინმე რამეზე პასუხი ავო? იგივე ხალხი, რომელიც ჩვენი თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ანგრევდა, 2016 წლამდე ხელშეუხებელია და ამ დროს, ჩვენი პროფესორა „ქუჩაშია“. ვინმეს ციხეში ჩასმას და რეპრესიებს კი არ ვითხოვთ, უბრალოდ, გვითხრან და აღიარონ, რა გაკეთდა ამ რეფორმის დროს ცუდად და კარგი რა იყო. ერთ მაგალითს მო-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გიყვანთ. 2008 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტიდან მოვიდა დაკვეთა — თქვენი მომზადებული სტუდენტები ძალიან წარმატებულები არიან, ამიტომ ფულს გადავიხდით და 10 სტუდენტი ფიზიკოსი მოგვიმზადეთო. იცით რა უპასუხა ხუბუამ? უკაცრავად, რეფორმა ჩავატარეთ და ის პროფესორა, რომელიც ამ სტუდენტებს ამზადებდა, აღარ გვყავსო. ბატონი ლალო ვიცი, რომ ძალიან წუხს და განიცდის ამ მდგომარეობას, მაგრამ..

— როგორც ვიცი, უნივერსიტეტის მიღმა დარჩენილ პროფესორას გარკვეული სახის ფინანსური დახმარება დაენიშნება.

— დიახ, ვინც გადარჩა.. ამ რეფორმამ როგორც ჩემი მეუღლის მსგავსად, ბევრ ადამიანს დაუჩქარა სიკვდილი. 2008 წლამდე 70 ადამიანი შეეწირა.. როლანდ ტყეშუაშვილს გული გაუსკდა, ერთმა ადამიანმა თავი დაიწვა, რომელი ერთი ვთქვა.. ეს იყო ძალიან სტრესული სიტუაცია, იმიტომ, რომ უნივერსიტეტი ჩვენთვის დაწესებულია კი არა, მეორე სახლი და სალოცავი ტაძარი იყო. სხვათა შორის, ჩემი მეუღლის დამსახურებაა, რომ ამ ტაძრის პირველი და მეორე კორპუსები ვერ გაყიდეს ან გაეროს არ გადასცეს. როცა ამის საფრთხე დაინახა, თენგიზმა განგაში ატეხა და მეცნიერებათა აკადემიის საეკონომიკური კომისია შექმნა მოითხოვა. რაც შეეხება უნივერსიტეტის მიღმა დარჩენულ პროფესორას, ძალიან დიდი ბრძოლა მოგვიხდა იმისთვის, რომ მათ რაღაც სახის ფინანსური დახმარება გაწეოდათ. თავმოყვარე ადამიანები არიან და არ იმჩნევენ, რომ შიმშილობენ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ძალიან მძიმე და სავალალო მდგომარეობაში არიან. დიდი ბრძოლითა და ვანო კიდეურაძის უშუალო მცდელობით გადაწყდა, რომ უნივერსიტეტმა თვითონ განკარგოს თავისი ბიუჯეტი, თვითონ გამოიყოს თანხები და დაეხმაროს თავის ყოფილ პროფესორას, ვინც ამას საჭი-



გელა დოლიძე

როებს. სხვა უნივერსიტეტებს ასეთი რეპრესიები არ განუცდიათ. ტექნიკურმა მართალია, ფართი დაკარგა, მაგრამ პერსონალს არაფერი შეხებია და ილიას უნივერსიტეტი საერთოდ ხელშეუხებელი იყო.

ყოფილი ხელისუფლების მიერ წარმოებული საგანმანათლებლო პოლიტიკიდან „ქართული აკადემიის“ წევრი, ფიზიკოსი და ექსპერტი გელა დოლიძე განსაკუთრებულ ყურადღებას ეროვნული გამოცდების სეგმენტზე ამახვილებს. **გელა დოლიძე** დარწმუნებულია, რომ გამოცდების მოდელმა, რომელიც კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით წარმატებული გამოდგა, სასკოლო განათლება მთლიანად უსარგებლო გახდა. ექსპერტის აზრით, უწყებათა შორის კოორდინირებული მუშაობისა და განათლების სისტემის სრული რეფორმირების გარეშე, მხოლოდ საგამოცდო სისტემაში შეტანილი ცვლილებები უშედეგო და არაფრისმოქმადი იქნება.

— პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც არის ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით შემოიღო ვთქვა, ისაა, რომ ამ გამოცდებმა სასკოლო განათლების სრული ნიველირება მოახდინა. სკოლა მთლიანად უსარგებლო გახდა, იმიტომ, რომ მისაღები გამოცდების პროგრამა აცდენილია და არ ემთხვევა

სკოლის პროგრამას. ცალკე მსჯელობის საგანია ზოგადი უნარები, რომელიც განმსაზღვრელ დისციპლინად აქციეს. ეს არსებითად, გამოცდაა ლოგიკურ აზროვნებაში, რომელსაც სკოლაში არ ასწავლიან. ვითომ ამერიკულიდან გადმოიღეს, მაგრამ ამ დროს უამრავი რამ არ გაითვალისწინეს. შტატების განათლების სისტემებში პრინციპული განსხვავებებია და ზოგადი უნარების გამოცდა სტანდარტიზაციისთვის შემოიტანეს. თანაც ამ გამოცდის ჩაბარება ყოველთვის სავალდებულო არაა. რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებს, ასეთი მოდელის გამოცდები საფრანგეთშიც ტარდება, მაგრამ იქ დიფერენცირებულია და შეუდარებლად მაღალ დონეზე მიმდინარეობს. კი ბატონო, ამ გამოცდებმა დაძლია კორუფცია, მაგ-



რამ შეიწირა განათლების დონე. გამოვიდა, რომ „ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოფოთ“.

— შშობელი რაში გრძნობს, კორუფციისგან თავისუფალი სისტემის უპირატესობას, ნაკლებების უაზრობას უწევს თუ მისი შვილი უფრო მაღალი ხარისხის განათლებას იღებს?

— ნაკლების გადახდა როგორ უწევს, როცა მინიმალური,

2250 ლარის პირობებში, ბაკალავრიატის სრული კურსი 9000 ლარი ჯდება?

— და მანამდე რეპეტიტორთან მომზადება ერთი ამდენი..

— ჩემი შვილი სკოლის მოსწავლეა. მე და ჩემს მეუღლეს შეგვიძლია მთელ რიგ საგნებში ისე ვამეცადინოთ, რომ პედაგოგი არ აუწყვანოთ, მაგრამ ხშირად აპროტესტებს — არავინ სწავლობს და მართო მე რატომ უნდა ვისწავლოო. სკოლებში იმდენად დაბალი განათლების დონეა, რომ მოსწავლეებმა ელემენტალური საკითხები არ იციან. თუნდაც ისეთი საკითხები, როგორცაა გამრავლების ტაბულა, ევროპის ქვეყნები და მათი დედაქალაქები ან სახეები ნიშნება მარტივ ქვეყნობილ წინადადებაში. რთულ თანწყობილ ან თანწყობილ-ქვეყნობილ წინადადებაზე და მსოფლიოს ქვეყნებზე აღარაფერს ვამბობ. 10-12 წლის წინ, როცა განათლების რეფორმა იწყებოდა, ასეთი უმარტივესი საკითხები თითქმის ყველა მოს-

რება დარქვეს იმას, რომ სხვადასხვა ქვეყნების განათლების სისტემებიდან თითო კომპონენტი ამოგლიჯეს, შეკრიბეს ერთად და საბოლოო ჯამში მიიღეს სრული მარაზმი.

— როგორც ვიცი, საგამოცდო ცენტრში მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის ემზადებიან. თქვენთვის აზრით, რა სახის ცვლილებებს უნდა ველოდოთ?

— ვიცი, რომ 2017 წელს რაღაც უნდა შეიცვალოს, მაგრამ კონკრეტულად რა, არ ამბობენ. კომპლექსური რეფორმების გარეშე, მართო გამოცდების რეფორმა არაფერს მოიტანს. რეფორმას კარგად დაგეგმვა და გააზრება ჭირდება და ეს უნდა მოხდეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად. განათლების სისტემა იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც სახელმწიფოს პერსპექტივაში იგეგმება. განათლების სამინისტროში სწორედ ახლა მიდის მსჯელობა პროფესიული განათლების შესახებ. საუბარია რაღაც პროფესიული კურსების გახსნაზე და საპრეზენტაციოდ ემზადებიან. ეს ყველაფერი საკუთარი წყაროებით გავიგე და დავინტერესდი, იყო თუ არა ეს პროფესიები ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებული. ვთქვამ, ბარმენების ან ზეინკლების კურსებს რომ ხსნიან და ამას სახელმწიფო რომ აფინანსებს, თუ არის შესწავლილი, რამდენი ბარმენი ან ზეინკალია საქართველოში საჭირო და რა ეფექტს მოიტანს ასეთი კურსების გახსნა. როგორც გავარკვიე, მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა და ყოველგვარი კვლევებისა და გათვლების გარეშე აკეთებენ კიდევ ერთ რეფორმას, რომელიც არავინ იცის რა შედეგს მოგვცემს. ზუსტად იგივეს აკეთებენ, რაც 2004 წლიდან მოყოლებული, განათლების რეფორმის ყველა ეტაპზე კეთდებოდა. ვიღაც მაპატიეთ და დეგენერატმა თქვა, კარგი იქნება ამის გაკეთებაო, მერე არანაკლებ დეგენერატმა მოიწონა და მესამე დეგენერატმა მწვანე შუქი აუნთო, მაგრამ შედეგად რა მოჰყვება ბიუჯეტის მილიონების ხარჯვის გარდა, არავინ იცის. იმ რეგენივით გვემართება, რომელიც საკუთარ შეცდომებზეც ვერ სწავლობს, არადა შეცდომები ამ ხელისუფლების დროსაც იყო. გაიხსენეთ, ორი წლის წინანდელი სოფლის მეურნეობის სისტემის რეფორმირება, როცა წინასწარ კადრების მომზადება არ მომხდარა. ნებისმიერი რეფორმა წარუმატებლობისთვისაა განწირული, თუ ქმედებას წინ განათლების სეგმენტი არ ასწრებს. როგორც ვიცი, ამ რეფორმის განხორციელებისთვის 2 მილიარდამდე თანხა გამოიყო, რომელიც უკან არასოდეს დაბრუნდება. ბოლოს გეტყვი, რომ ნებისმიერი რეფორმის ცენტრში განათლება უნდა იდგეს, იმიტომ, რომ ყველაზე დიდი დეფიციტი ამ მიმართულებით გვაქვს. ამის გარეშე, ყველა წამოწყება ცუდად დამთავრდება.

ნელი თორდია
571 35 36 88

ზურაბ აბაშიძე: ე.წ. საოხუჯაციო ხაზთან ბანერების აღმართვის სახითის მხვალები დაჰყენებთ

საოკუპაციო ხაზთან ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების აღმართვა, ეს იქნება ის საკითხი, რომელსაც ჩვენ მთელი სიმწვავეთ წამოვწვეთ წინ და ამაზე გვექნება ძალიან მწვავე საუბარი, — განაცხადა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ თბილისის აეროპორტში, საიდანაც ის პრეზიდენტის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან შესახვედრად გაემგზავრა.

აბაშიძე ვიცე-პრემიერ კახა კალაძის მიერ აბაშიძე-კარასინის შეხვედრის ფორმატის არაეფექტურობაზე გაკეთებულ კომენტარსაც გამოეხმაურა.



„რომელ ნაწილში ვერ გაამართლა ახლა ამ ფორმატმა, სატრანსპორტო კომუნიკაციები არ აღდგა, ექსპორტი არ აღდგა რუსულ ბაზარზე, საგზაო ტრანსპორტის, გადაზიდვების პრობლემა ვერ მოგვარდა, თუ ჰუმანიტარულ საკითხებს ვერ ვაგვარებთ?! მხედველობაში მაქვს ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც ჯამშუშობის ბრალდებით იხდიან სასჯელს. რატომ აქვთ, ასეთი განცდა, რომ ეს ფორმატი ვერაფერს ვერ აგვარებს? რაც ამ ფორ-

მატს ევალება, რაც ჩემი მანდატია, ჩვენ ვაკეთებთ იმას.

რაც შეეხება იმ თემას რაც ხდება გორის რაიონში, აუცილებლად ვიმეორებ, რომ ეს იქნება ის საკითხი, რომელსაც ჩვენ მთელი სიმწვავეთ წამოვწვეთ წინ და ამაზე გვექნება ძალიან მწვავე საუბარი. ვერ აუუღლით ახლა ამას გვერდს“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.



მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ვესაუბრებით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ თამარ კიკნაძეს.

— ქალბატონო თამარ, რას გვეტყვით ვეროკავშირის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ თამარ კიკნაძეს.

— ევროპა დღეს კრიზისულ პერიოდშია. ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის, ეკონომიკური თვალსაზრისით, მკვეთრი დისონანსია. მიმდინარე მდგომარეობა საბერძნეთში, პორტუგალიაში, ესპანეთში, პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. სამაგიეროდ, მდიდრდება გერმანია, საფრანგეთი. განსაკუთრებით, გერმანია. ამიტომაც ამბობენ, რომ ევროკავშირის შექმნით ყველაზე მეტად ამ ქვეყანამ იხიერა. შიდა წინააღმდეგობებია გერმანიასა და ინგლისს შორის, საფრანგეთს, გერმანიასა და ინგლისს შორის; დღევანდელი მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდს მოგვაგონებს, როდესაც მიზანმიმართულად ხდებოდა გერმანიის გაძლიერება. დღეს დაიდგა ამერიკის გავლენით გერმანიისა და რუსეთის დაპირისპირება, თუმცა ისინი ინდივიდუალურ რეჟიმში მანც ახერხებენ ურთიერთობას. აშშ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის რეჟიმში ურთიერთობას გეგმავს. ევროპისთვის ეს რეჟიმი ძალიან წამბებია.

ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები იმის საფუძველზე იქმნება, რომ ზოგიერთი ევროპელი ლიდერი ევროკავშირის ლენტივრაციით არის დაინტერესებული. ევროპისთვის შენარჩუნებული ყველაზე მეტად აშშ არის დაინტერესებული.

ზოგი ევროპელი ლიდერი კარგად ხვდება, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს.

რაც შეეხება საქართველოს შემდგომ წინსვლასა და განვითარებას, შემოიღია ვთქვა, რომ ჩვენთვის ევროპა არ არის ერთადერთი გზა და მიმართულება. ჩვენ გვჭირდება მრავალმხრივი პოლიტიკა. სააკაშვილის პოლიტიკა იმამდემიზაციის და გლობალური კავშირების და გლობალური ძალების ურთიერთობის ადგილი. ჩვენ გვუზღვევია,

ევროპა კვდება, ანაჲს აკეთებს ნებაყოფლობით და თან სიამოვნებას იღებს

რომ 2008 წლის აპრილის 8-ს რუსეთს დასავლეთში, მსხვერპლად დასახლებულ შორის არსებული

დაპირისპირება, თუმცა აპირატმელოზივებით მსოფლიოვას სხვანაირად დაანახეს. საჭიროა რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობების წარმართვა. იქ მილიონობით ქართველი ცხოვრობს. ისინი საქართველოში უამრავ ოჯახს ინახვენ. ვინც ამბობს, რომ ჩვენ რუსეთს არ უნდა ვმლაპარაკოთ, ისინი საქართველოს მტრები არიან. ამ ეტაპზე შენევის ფორმატში კარასინ-აბაშის დიალოგი კომუნიკაციის ერთადერთი შესაძლებლობაა. ამ ფორმატს ეწინააღმდეგებიან ძალები, რომლებიც თავის თავს ოპოზიციონერებს უწოდებენ სინამდვილეში ისინი დესტრუქციული ძალები არიან.

— რა სხვაობაა ევროკავშირსა და საბჭოთა კავშირს შორის?

— მინდა გითხრათ, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის დროს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რესპუბლიკა იყო, ქართველებს სწევდათ თავისი პრობლემების მოგვარება სხვის ხარჯზე, აქაც ეგონათ, რომ ადვილად შევიდოდნენ ევროკავშირში და კვლავ კარგად იცხოვრებდნენ, ასე არ გახლავთ, ევროკავშირი არის სტრუქტურა თავისი საუკუნეობრივად ჩამოყალიბებული პრაგმატული ელიტი, რომელიც არაფერს ტყუილად არ აკეთებს. ნატოსკენ სწრაფვით მივიღეთ ის, რომ გადავიტყუეთ რუსეთი. ჩვენ რუსეთის გამაღვიანების ფუნქცია ავიღეთ ჩვენს თავზე. რისთვისაც გვიხდინენ დივიდენდებს. ზოგიერთმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ კი ძალიან კარგად ისარგებლა რუსეთის ბაზრით და ევროპასთანაც დალაგა ურთიერთობები. ჩვენთვის კი ჯერ ჩრდილოეთიდან ამოდიოდა მზე, ახლა კი ევროპიდან ამოდის. ულტრარადიკალიზმმა საქართველოს კარგი არაფერი მოუტანა.

— ევროპა ხშირად გვთავაზობს რეკომენდაციებს, რითაც

მოხდა ჩვენი ეკონომიკის ნგრევა, ქვეყნის დაკაბლება, გვიწესებენ სტანდარტებს, ამ მხრივ შედეგები როგორია?

— როგორც აღვნიშნე, დასავლური პოლიტიკა ძალიან პრაგმატულია, პირდაპირ არაფერს გვეუბნებიან, თუმცა გამუდმებით პირობებს და კრიტიკიუმებს გვიყენებენ. თუ მათთვის გამართლებულია ამა თუ იმ ქმედების განხორციელება, ისინი ამ ნაბიჯს ღვაძენ, თუ არა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისაკენ მიგვიითებენ. მათ განვითარების გარკვეული საფეხურები გაიარეს და ამიტომ სულ სხვა ცივილიზაციური კოდი აქვთ. ჩვენ სულ სხვა მართ, აღმოსავლური მართიანი ცივილიზაცია. არაფერ იმავი არ ღა-



პარაპოზს, რომ დღევანდელი ევროპა მართიანი ცივილიზაციის მორწმუნეა მისი პოლიტიკის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც პოსტმოდერნულ ევროპას მოსაპოვებს უნდა.

ჯერ კიდევ 1918 წელს შპენგლერმა დაწერა — „ევროპის დასასრული“, სადაც ის ამბობს, რომ ევროპა კვდება, ის ანაჲს ნებაყოფლობით იღებს სიამოვნებას იღებს — ვფიქრობ, ეს ძალიან მიმანიშნებელია დღევანდელ სიტუაციაში. დღეს დასავლეთის ლიბერალური აზრი ნამდვილ კრიზისშია.

— ჩიხში შევიდა დღეს ევროპა?

— რა თქმა უნდა, საერთოდ ლიბერალიზმის იდეოლოგია დღეს ჩიხშია, იგი უკვე ადამიანის თვითლიკვიდაციას იწვევს. ყველაფერი, რაც სიამოვნებას ანიჭებს, მათთვის დაშვებულია, ჩვენი კი ქრისტიანული მორალი ამის ნებას არ გვაძლევს, სხვა ტრადიციის ხალხი ვართ. ადამიანი ცხოველისგან იმით განსხვავდება, რომ არა ინსტინქტებით ცხოვრობს, არამედ მისთვის ზნეობა და მორალია დამახასიათებელი.

— თქვენი აზრით, რატომ დავლო 300-მილიარდიანი საგარეო ვალი საბერძნეთს, რომელმაც ქვეყანა ასეთ კრიზისამდე მიიყვანა, რა გაკეთდა იქ ამ ფულით?

— ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი მიი-

ღვევანდელი ხელისუფლება წინამორბედისგან განსხვავებით, კრიმინალური არ არის, მაგრამ ნამდვილად შესაცვლელია პრიორიტეტები. თავი უნდა დავანებოთ არარეალურ გეგმებს და მივხედოთ ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას და განმტკიცებას, ვაწარმოოთ პრაგმატული, მრავალექტორიანი პოლიტიკა.

— არასამთავრობო ორგანიზაციები ამის საშუალებას არ მისცემენ ხელისუფლებას...

— სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაში გავლენის აგენტების საშუალებით იქმნება საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკა, ადამიანი, რომელიც ფულს უცხოეთიდან იღებს, ვერ დავიჯერებ, რომ ის ეროვნულ საქმეს აკეთებს. არასამთავრობოების გარკვეული ნაწილი დესტრუქციული ფუნქციითაა დაკავებული. ამიტომ სრულიად ვითანხვები ბატონ ბიძინა ივანიშვილს, როდესაც მოითხოვს არასამთავრობოების ლუსტრაციას და მათი საქმიანობას აპრიტიკებს. მაგ., აშშ-ში, არასამთავრობოებს უცხოეთიდან ფინანსდება, მიმდინარეული აქვთ უცხოეთში ახმენის სტატუსი, იქ მათი თითოეული ცენტრი არის აღრიცხული, თუ რაში იღებენ ფულს.

— ჩვენთან რატომ არ ხდება ასე, რატომ არ ააშკარავებენ, ვინ საიდან ფინანსდება?

— არ გახლავთ ამის პოლიტიკური ნება. და საერთოდ, ჩვენ საინფორმაციო ომის პირობებში ვცხოვრობთ. ჩვენი საინფორმაციო საშუალებები ინფორმაციას ტენდენციურად აშუქებენ.

— დღეს აქტიურად ფიქრობენ ევროკავშირიდან გამოსვლაზე ისეთი ქვეყნები, რომელთაც ეკონომიკური გასაჭირი არა აქვთ. მაგალითად, ავსტრია. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რამდენად რეალურია ევროკავშირის დაშლა?

— რღვევის ნიშნები ნამდვილად არის, რაც შეეხება საქართველოს, თითქოს ღმერთი გემყარელოს. მართლაც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და არ გვაღმევენებს ისეთ ნაბიჯებს, რაც ამაზე უფრო რთულ მდგომარეობაში ჩავგვადებდა, სამწუხაროა, რომ, როგორც კი ვინმე თავის აზრს გამოთქვამს ევროკავშირისაკენ სწრაფვის საწინააღმდეგოდ, მაშინვე პრორუსის იარაღებს მიაკერებენ, ესეც ტექნოლოგიაა. ქვეყანაში არ არის ღია მსჯელობის რეჟიმი.

მიმარ კასრელოვილი 599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში www.saertogazeti.ge შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე **საერთო გაზეთი**

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დიდი აღმშენებლობის ხანა დაიწყო



რა ხდება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მას შემდეგ, რაც 9-წლიანი კომსპარი გამოიარა ქვეყანამ და განსაკუთრებით ამ რეგიონმა?! ამის გასაგებად რამდენიმე დღის წინ სამეგრელოში გახლდით. უნდა ითქვას, იქ სიცოცხლე ჩქვს, ყველა კუთხე-კუნჭულში აქტიური მშენებლობებია დაწყებული, ჩამკვდარი და დათრგუნული განწყობის ნაცვლად ოპტიმისტური, აქტიური და პრეტენზიული მოქალაქეები ვიხილეთ, რომლებსაც მეტი სურთ, მეტს ითხოვენ და რაც მთავარია, მომავლის იმედი აქვთ. რეგიონის დღევანდელ დღეზე, მომავლის პერსპექტივებზე და გაკეთებულ საქმეებზე რეგიონის ხელმძღვანელები გვესაუბრებიან.



ლევან უშენია, სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში:

– ბატონო ლევან, როგორ ფიქრობთ, რეგიონის მოსახლეობა კმაყოფილია თქვენი საქმიანობით?

– ხშირად გვემის კრიტიკა ჩვენი მისამართით, რაზეც ჩემი თანამშრომლები წუხილს გამოთქვამენ ხოლმე. მე ვუპასუვებ: ბიჭვებო, ყურადღებას ნუ აქცევთ. ნუ გაგიკვირდებათ, ხალხმა ისეთი რეჟიმი გამოიარა, გასაკვირი არაფერია – ზოგმა დედა დაკარგა, ზოგმა – მამა, მამა, ახლობელი, სახლები გადაუწვეს ადამიანებს. ეს კვალს ტოვებს მათ ფსიქიკაზე.

ჩვენი მთავარი მიზანი დღეს

ისაა, რომ მოსახლეობა, რეგიონი ეკონომიურად უნდა გაგაძლიეროთ. გამოვიყოფ სვანეთის პროექტებს.

თეთნულდის პროექტი ერთ-ერთი მასშტაბური პროექტია, დაახლოებით 4 500 ადამიანი ერთდროულად შეძლებს სრიალს სამთო-სათხილამურო კომპლექსზე. ეს იქნება ძალიან დიდი, მასშტაბური სპორტული პროექტი და

გარდა იმისა, რომ სპორტსმენები იასპარეზებენ აქ, ტურისტებისთვისაც მიმზიდველი იქნება აქაურობა.

სვანეთში სამეგრელოს გავლის გარეშე ვერ მოვხვდებით, ამიტომ ზუგდიდი უკვე ითვლება ტურისტულ ხაზზე ერთ-ერთ მთავარ პუნქტად...

შარშან სვანეთში, დაახლოებით, 280-300 000 ტურისტი იმყოფებოდა. ეს პატარა ციფრი არ არის. სვანეთში მწვევად დგას სასტუმროების პრობლემა. გვინდოდა სვანეთში განგვეხორციელებინა რამდენიმე ახალგაზრდული პროექტი, მაგრამ როგორც გითხარით, სასტუმროები არ გვაქვს ჯერ საკმარისი და ვერ მოვახერხეთ...

თუმცა ნელ-ნელა განვითარ-

რება ტურისტულ ინფრასტრუქტურას სვანეთში.

ივლისში რუხში სავაჭრო მოლი გაიხსნება, რასაც დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს.

– ძალიან კარგია, რომ ყოველივე ეს თქვენი გუბერნატორობის პერიოდში ხდება.

– ეს ინიციატივები მაინც პრემიერს ეკუთვნის, რადგან ჯერ კიდევ მს მინისტრობის პერიოდში, ჩემი სამხარეო პოლიციის უფროსობისას, ბატონი პრემიერი აქტიურად საუბრობდა ამაზე.

რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური მნიშვნელობის თემებია, განსაკუთრებით სავაჭრო მოლის საკითხი; მოგეხსენებათ, აფხაზები ლილოს ბაზრობაზეც დადიან და თუკი აქ გაიხსნება სავაჭრო ცენტრი, ისინი თანხის ეკონომიასაც გაწვევენ და ტერიტორიულადაც ახლოს იქნებიან.

რუხში სამედიცინო ცენტრიც იხსნება. ეს კი ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურება გახლავთ. იქვე გაიხსნება 150-ადგილიანი სასტუმრო.

– აფხაზები თბილისში მოდიან სამკურნალოდ და კარგი იქნება, თუ იქვე ახლოს ასეთი სამედიცინო დაწესებულება იქნება.

– დიას, საავადმყოფოდან 1 კმ-ში სავაჭრო მოლი იქნება, გაიხსნება იუსტიციის სახლიც, საინფორმაციო ბიურო, ფარმაცევტული სავაჭრო ქსელი, საბავშვო გასართობი ცენტრი, კაფე, როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობის ობიექტები, დაიდგება სპეციალური მაცივრები,

ფრაგმენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიკაშვილის გამოსვლიდან (ზუგდიდი, 18 მაისი, 2014 წელი)



სამარგალოქ წოხლზე ოკო ქეწაუნას საქორთუოს! სამარგალომა ქუმოფრთი დო საქორთუო ქობიძრია - დიდ საქორთუო! - „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე – დიდი საქართველო!“ - ეს ილია ჭავჭავაძემ თქვა, როდესაც სამეგრელოს მიწაზე დადგა ფეხი.

ჩემო მეგობრებო! თქვენ, მეგრელებმა, იცით სამშობლოს ფასი, იცით ერთიანი საქართველოს ფასი, დამოუკიდებლობის, თავისუფლების ფასი, და ამას თქვენ ყოველთვის, ყველა დროში ადასტურებდით!

სამეგრელო ყოველთვის ამბობდა თავის სიტყვას და განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში.

სამეგრელო განთქმულია ღირსეული შეილებით, სამშობლოსათვის თავგანწირული გმირებით. სამეგრელოდან გამოსული ყველა გამოჩენილი მოღვაწე ისევ და ისევ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს იდეით სულდგმულობდა.

...აქედან ძალიან ახლოს აფხაზეთია. მთელი ამ წლების განმავლობაში ყველაზე მეტად სწორედ სამეგრელო გრძნობს იმ დიდი ტკივილის სიმძიმეს, რომელიც აფხაზეთს უკავშირდება. მეგრელებსა და აფხაზებს განსაკუთრებული ურთიერთობები გქონდათ ყოველთვის და ამიტომაც, სწორედ აქ, სამეგრელოში მინდა ვთქვა: ჩვენ, ქართველები და აფხაზები ისევ ვილაპარაკებთ საერთო ენაზე! ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენი ძმების ნდობას და ღირსეულ თანაცხოვრებას შევძლებთ! ძალით მშვიდობის დამყარება შეუძლებელია. აფხაზი ძმები საქართველოსკენ ისე უნდა შემოვებრუნოთ, რომ მათ აღარ ჰქონდეთ დარჩენილი არც ერთი კითხვა და საქართველოში თავიანთი უსაფრთხო და სტაბილური მომავალი დაინახონ. ეს მაშინ მოხდება, როცა სამეგრელო აყვავდება, როცა მთელი საქართველო აყვავდება.

სადაც ხილს ჩააბარებენ, გაყინავენ, რომ წაიღონ საზღვარგარეთ გასაყიდად.

რაც შეეხება ზუგდიდს, 130 მლნ-იანი პროექტი იწყება ზუგდიდის 24-საათიანი წყლით მონარაგების უზრუნველყოფისთვის და ამით ასრულდება ზუგდიდის 50-წლიანი ოცნება. საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია მიიღებს ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას.

მაგრამ ფოთი?! ეს არის მომავლის ქალაქი.

მალითაყვის სანაპირო ზოლი უმაღლეს სტანდარტებს დააკმაყოფილებს. მალითაყვის აღორძინების პროექტი გარდამავალია 2,05 მლნ 2,05 მლნ-ით დაიყოფა პროექტი და საკურორტო-სანაპირო ზოლი თანამედროვედ მოეწყობა – სამსახურებით, კაფეებით, ხალხი შეძლებს თანამედროვე პირობებში დასვენებას...

მარტვილში ისეთი გზებია დღეს, დიდ ქალაქებში არ არის ისეთი.

მარტვილის კანიონი დიდ მნიშვნელობას შეიძენს სულ მალე ჩვენი რეგიონისთვის, მთლიანად საქართველოსთვის.

თუმცა, მოდით, კვლავ სვანეთს მიუბრუნდეთ.

– დიას, მაგრამ რა ხდება სვანეთში ასეთი? მითხრეს, რომ კვირაში ორჯერ სვანეთში დადინართ.

– მსოფლიოს ბიზნესმენები ეძებენ ისეთ საკურორტო ზონებს, სადაც თოვლი და ყინული ბუნებრივად იქნება წელიწადის ნებისმიერ დროს. სვანეთი ერთადერთია ევროპაში, სადაც 7 თვე ზამთარია.

ახლა ფიზიკურად დრო არ გვაქვს, რომ ყველაფერი დაგათვალიერებინოთ, რადგან ელექტრონული მუსიკის გრანდიოზულ ფესტივალს ვმართავთ და დიდი მზადება გვაქვს, მაგრამ უკვე დაგვემეთ, უახლოეს ხანებში მედია-ტურს ჩავატარებთ, რომ ჟურნალისტებმა საკუთარი თვა-

9 გვ.

ლით ნახოთ, რა ხდება სვანეთში და სამეგრელოში.

რაც ეხება ანაკლიას, ანაკლია ტურისტებმა „ალმოანინეს“, რაც ნიშნავს იმას, რომ ანაკლიამ უკვე შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა ზედმეტი ძალისხმევით გარეშე, თავისთავად. ამაში დიდი როლი ეკისრება ელექტრონული მუსიკის ფესტივალს და ეს ფესტივალი უფრო მეტს გააკეთებს ანაკლიის, სამეგრელოს, საქართველოს ცნობადობისთვის, ვიდრე დიპლომატიური შეხვედრები.

– ბატონო პრემიერი ხშირად სტუმრობს სამეგრელოს. მისი ისტორიული ფრაზა: სამეგრელო წინ უნდა წარუძღვეს საქართველოსო, ერთგვარი სახელმწიფოებრივი მოქმედების გეგმად შეიძლება ჩაითვალოს.

– პრემიერის გვერდით დგომა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. პროექტები, რაც სამეგრელოში ხორციელდება, პრემიერის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია ანალიზი გააკეთოს 25 წლის განმავლობაში გაკეთებული საქმეების და ორი წლის ნამუშევრის. 956 პროექტის განხორციელება ორ წელიწადში არ არის პატარა საქმე.

ვაპირებთ სპორტის სასახლე ავაშენოთ ზუგდიდში, რომლის მსგავსიც ამერიკაში არ არის იქნება. ვგეგმავთ, აგრეთვე, ახალი თეატრის აშენებას – ამას ექსკლუზიურად თქვენ გაზიარების ვაშობ, რადგან ჯერ პროექტი დამუშავების პროცესშია და საზოგადოებისთვის ჯერ არ გავიცხადებთ ამის შესახებ. ეს მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი იქნება. პროექტებს დიდი მონღომებით და ყურადღებით ვეკიდებთ, თითქმის ერთი წელიწადია, რაც ვმუშაობთ ამ საკითხზე. ყველა დეტალი გასათვალისწინებელია, დასახვეწია, კონკრეტულად არის ყველაფერი შესასწავლი. რაც ჩაფიქრებული მაქვს, ყველაფერს თუ გავაკეთებ, მერე უკვე ვიფიქრებ, რომ შეიძლება ჩემი წასვლა გუბერნატორობიდან. (იცინის.)

– ბატონო ლევან, რაც მე ეს დღეები აქ ვნახე, რაც მოვისმინე



ნე – სამეგრელო, რომ იტყვიან, დღეს, ყველგან მშენებლობებია, უამრავი კარგი საქმე გავიკეთებიათ. ამის შესახებ ბევრმა არ იცის საქართველოში. რატომ „მაღაუთ“ ამ ინფორმაციებს?!

– რა გითხრათ, ჩემო კარგო, უუნარიანობის უმეტესობა მიკერძობულია. ტელევიზიებს რატომღაც საერთოდ არ სურთ კარგი დაინახონ. დღეს მითხრეს, „რუსთავი-2“-ის ვადამდები ჯგუფი ყოფილა ჩამოსული, დადიან და ეძებენ ნეგატიურ ინფორმაციებს. შენი ქვეყნის მოყვარული თუ ხარ, მუდამ ცულზე რომ ლაპარაკობ, კარგიც დაინახე. დღეს და დამეს ვასწორებთ, ვშრომობთ, რაც შეგვიძლია და რა საქციელია ეს?

უამრავი წარმოება გაიხსნა სამეგრელოში, ფოთში, ზობში, ზუგდიდში, სენაკში. არ ლაპარაკობენ ამაზე, მაგრამ, არა უშავს, ჩვენ ვმუშაობთ, საქმეს ვაკეთებთ, იმედია, ჩვენი მოსახლეობა ხედავს ყველაფერს.

– არ შემიძლია არ გკითხოთ ჩაის აღორძინების პერსპექტივაზე, რამდენადაც ვიცი, ჩაის კულტურის დაბრუნებაზე რეგიონში ერთ-ერთი პირველი თქვენ ალაპარაკდით.

– დიახ, დიახ, ესეც ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. ჩვენ გვქონდა საუბარი სოფლის მეურნეობის მინისტრთან ამ საკითხებზე. რეგიონში ჩაის საკითხებით ორი პიროვნებაა დაინტერესებული

ლი, ბატონები სალია და ფიფია, წალენჯიხელები არიან ეს ადამიანები, ჩაის საკითხში კარგად არიან გარკვეულნი, მაგრამ, მოგესხენებათ, ყველაფერს პირობები სჭირდება. უახლოეს ხანებში სოფლის მეურნეობის მინისტრი და მოადგილე ჩამოვლენ, ადგილზე განვიხილავთ ყველაფერს, ვვარაუდობთ, რომ ჩაის კულტურის ამღორძინებებს ტექნიკითაც დავეხმარებით და ბევრი სხვა რამითაც. მე თვითონ ვარ ამ საკითხით დაინტერესებული და სერიოზულ სამუშაოს ვაპირებთ. ამას აუცილებლად გავაკეთებთ. მირჩევნია ქართველები იყვნენ ამ საქმეში ჩართული, ვიდრე უცხოელები. ამას წინათ კარგ ქართულ ჩაის ვეძებდი. მიმასწავლეს და აღმოჩნდა, რომ 1 კგ ხარისხიანი ქართული ჩაი 200 ლარი ღირდა... თუ ავალორძინებთ, ჩაის დიდი მომავალი აქვს, მას სერიოზული მოგების მოტანა შეუძლია რეგიონისთვის. ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოთ შავი, მწვანე და თეთრი ჩაიც.

მოცვის გამრავლებაც დავიწყეთ. შევთავაზე ბიზნესმენებს მიწა ამერიკული ლურჯი მოცვისთვის. ამ კულტურაზე ძალიან დიდი მოთხოვნაა ევროპის ბაზრებზე. ის თვალის დაავადებებისთვის გამოიყენება, მაგალითად, ევროპაში, საბავშვო ბაღებში, 100 გრ მოცვი, ბავშვებისთვის, აუცილებელ მენიუდ ითვლება – კუჭ-ნაწლავის, თვალის

დაავადებების პროფილაქტიკისთვის და ა.შ.

თხილზე აღარ ვლაპარაკობ. იმედი გვაქვს, ორ-სამ წელიწადში მილიარდამდე ტონა გავა რეგიონიდან. სამეგრელომ, 2014 წელს, 400 მლნ ლარამდე მოგება ნახა და აქედან 60-70% თხილის რეალიზაციის შედეგი იყო, ამას ემატება დაფნა, ციტრუსი, კარტოფილი, სიმინდი, კივი, ფეიხოა, დიდი მოთხოვნაა ტყეშიც რუსეთიდან და უკრაინიდან, მაგრამ, როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ტყეში არ არის საქმარისი რაოდენობით. მოჭრა ხალხმა მას შემდეგ, რაც ხილის ჩაბარების პუნქტები გაუქმდა. მოგესხენებათ, რა წლებიც გავიარეთ... სურმაზე არის ძალიან დიდი მოთხოვნა. მარტვილის რაიონში დამზადებული ხურმის ჩირი ყველაზე უკეთესია, მაგრამ, ახლანდელ შემოვიდა რეგიონში იაპონური ხურმის ჯიში, რომელიც დიდძალ ნაყოფს იძლევა ზუგდიდში, სენაკსა და ფოთში და უახლოეს წლებში იაპონური ხურმის ჩირსაც გავიტანთ ბაზარზე.

ასე რომ, მოსახლეობას არ ეშინია შრომის და ფულის შოვნის, რადგან არავინ აპირებს მათ დარეკეტებას, მათი ქონების უკანონოდ დატაცებას და მითვისებას.

ანაკლია-პორტის მშენებლო



სამეგრელო-ჯემო სვანეთის მხარეში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები

● 2 წლის განმავლობაში განხორციელდა 956 პროექტი, რამაც 397 მილიონი ლარი შეადგინა. დასაქმდა 5000-ზე მეტი ადგილობრივი მაცხოვრებელი.

● 2 წლის განმავლობაში გზების მშენებლობისთვის დაიხარჯა 105 მილიონი ლარი განხორციელდა 120 ქუჩის რეაბილიტაცია დასაქმდა 2000 ზე მეტი მოქალაქე. უკვე წელს მიმდინარეობს ახალსოფლის, ინგირის, ცაცხვის, ურთის, ძველი აბასთუმნის გზების მშენებლობა.

● აშენდა ხიდები. რეაბილიტაცია ჩატარდა 110 ხიდს

● სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2 წლის განმავლობაში განხორციელდა 2564 პროექტი. სარგებელი მიიღო თითოეულმა სოფელმა, უბანმა, მოქალაქემ.

2 წლის განმავლობაში რეგიონში რეაბილიტაცია ჩატარდა 218 სკოლას. ხელახლა აშენდა და რეაბილიტირდა 200-ზე მეტი საბავშვო ბაღი.

● წელს რეგიონში 32 ახალი ბაღი შენდება. მათ შორის 10 მეტრის მუნიციპალიტეტში, სრული რეაბილიტაცია უტარდება 12 საბავშვო ბაღს. (მესტია 10 ბაღი: ნაკრილასამულა, აღიში, ჭუბური, მულაჯივი, ეცერი, ბერო, ფარი, ლენჯივი, ჩხუმარი. ზუგდიდი 3 ბაღი: შამგონა, რუხა, ახალკახათი, ქალაქი ზუგდიდი: 1 ბაღი (2 რეაბილიტაცია), წალენჯიხა 2 ბაღი: ფაზულანი, ჯგალი, ჩხოროწყუ 2 ბაღი: აბაშა 6 ბაღი: მარტვილი - 8

● 2015 წელს დაგეგმილია 1337 პროექტი

● დევნილების განსახლების კუთხით, რამდენიმე დღის წინ 320 კეთილმოწყობილი ბინა გადაეცა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ დევნილებს. წელს იწყება დევნილებისთვის ახალი კორპუსების მშენებლობა, რომელიც გათვლილი იქნება 2460 ოჯახზე. სოფლად სახლის პროექტის ფარგლებში საცხოვრებელი შევუძინეთ 100-მდე ოჯახს. სოციალური პაკეტით ისარგებლა 20 ათასზე მეტმა დევნილმა. რომელთა უმეტესობას გადაეცათ გამოსახამორებლად ვაუნჩები.

● ზუგდიდის მუნიციპალიტეტში იწყება უპრეცედენტო პროგრამა. სოციალურად დაუცველ ოჯახებს გამოეცა აუშენებს ახალ სახლებს. წელს იგეგმება 20-მდე სახლის აშენება. პროექტი გაგრძელდება მომავალ წელსაც. გამოყოფილია კომისია, რომელიც შეისწავლის სოციალურად დაუცველთა განცხადებებს და პირველ ეტაპზე მოხდება ყველაზე გაჭირვებული მოქალაქეების დახმარება. პროგრამა გაგრძელდება მომავალ წელსაც.

● წელს დაიწყება კონფლიქტისპირა სოფელ რუხში მოლის მშენებლობა. სოფელ რუხში შენდება ასევე საუნივერსიტეტო მულტიფუნქციური კლინიკა, სადაც აფხაზეთიდან გადმოსული მოქალაქეები უფასოდ იმკურნალდებიან. სოფელ ორსანტიაში, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის ესაზღვრება, შენდება საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი.



ახალი საავადმყოფოს მშენებლობა სოფელ რუხში

ტრი. კონფლიქტისაირა სოფლებში იგება გზა, გაზი, კომუნიკაციები. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფახულანს, სადაც 35 წელია ხალხი იტანჯება გზა არ აქვს, უკვე დაწყებულია გზის მშენებლობა და გარეგანათების მონტაჟი. (იხარჯება 2 200 000 ლარი)

● ანაკლიის დრამაწყოვანი პორტი (გამარჯვებული გამოვლინდება მიმდინარე წლის შემოდგომაზე, დაიხარჯება რამდენიმე მილიარდი დოლარი, დასაქმდება 20 ათასზე მეტი მოქალაქე), გარდა პორტისა ანაკლიაში აშენდება ლოჯისტიკური ცენტრი, აეროპორტი და თხევადი გაზის ტერმინალი.

● ნენსკრაპესი 1 მილიარდი დოლარი იხარჯება (იწყება 2016 წელს)

● მიმდინარეობს და წელს დასრულდება თეთნულდის ტრასის მშენებლობა.

● მიმდინარეობს ანაკლიის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

● ფოთში მალთაყვის სანაპირო ზოლის განვითარება - მოეწყობა ინფრასტრუქტურა. ფოთი მხოლოდ სატრანზიტო ქალაქი არ იქნება.

● მარტვილის კანიონის კეთილმოწყობა

● წელს ზუგდიდში იწყება წყალმომარაგების უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომლის განხორციელების შემდეგაც ზუგდიდს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება. პროექტის განხორციელება 130 მილიონი ლარი ჯდება).

● ზუგდიდში მიმდინარეობს მრავალბინიანი სახლების გადახურვა. 1,3 მილიონი ლარი

● რეგიონში ჩატარდა სამელიორაციო სამუშაოები, რომელიც ათ მილიონზე მეტი ღირსად.

● სპორტული ობიექტებისთვის დაიხარჯა 12 მილიონ ლარამდე. წელს დაიწყება ზუგდიდში ცენტრალური სტადიონის მშენებლობა, სტადიონი ასევე შენდება ფოთში.

● მიმდინარეობს კულტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია: ქალაქ ზუგდიდში მოსწავლე ახალგაზრდობის შენობის რეაბილიტაცია და თეატრის მშენებლობა დაიწყება. უკვე დასრულდა ზუგდიდის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, დასრულდა ფოთის თეატრის რეაბილიტაცია.

● იწყება ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის კეთილმოწყობა.

● რეგიონში განხორციელდა და მიმდინარეობს მსხვილი ინვესტიციის ჩადება. ცაიში შენდება სასაბურთე მეურნეობა, სადაც დასაქმდება 600 მოქალაქე, ჩადება 35 მილიონი დოლარის ინვესტიცია. სასწავლო ინფრასტრუქტურა მოაწყო ფოთში „პეისი ჯგუფმა“, შეიქმნა 100 სამუშაო ადგილი, ასევე 100-მდე მოქალაქე დასაქმდა თხილის საწარმო „ანკა ფეა თრეიდიში“. აბაში მიმდინარეობს მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა, სადაც 38 მილიონი დოლარის ინვესტიცია იდება.

● რეგიონში მესამე წელია იხენება ისეთი მიწები, რომელიც აქამდე არ მუშავდებოდა. საგაზაფხულო სამუშაოებზე დახმარებას იღებს 100 237 ფერმერი. შედგაათიანი აგროკრედიტის პროექტით საბრუნავი და ძირითადი საშუალებების კომპონენტის ფარგლებში გაცემულია 527 სესხი.



ბაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და ეს იქნება ქვეყნის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტი. 20-30 ათასი ადამიანი დასაქმდება, იქნება აეროსპორტი, რკინიგზა, რეგიონში ცხოვრება შეიცვლება, ჰესების მშენებლობა გადამწყვეტ ფაზაში შევა, ინფლაცია შეწყდება... 2016 წელს ძირეულად



დავით კოდლა

შეიცვლება ყველაფერი და სერიოზული აღორძინება დაიწყება. თუმცა მე ვთვლი, რომ ქვეყნის აღორძინება 2012 წლიდან დაიწყო.

— მოსახლეობას რა პრეტენზიები აქვთ, რას ითხოვენ, ძირითადად?

— მოსახლეობა გათავისუფლდა, ამოისუნთქა ხალხმა, არ ეშინიათ, რომ დაიჭერენ, აწაიებენ, შეურაცხყოფენ. მოდიან და ისეთ რამეებს მთხოვენ, ხანდახან ვიფიქრებ ხოლმე — გადავხტები ახლა ფანჯრიდან-მეთქი. (იცინის.) მე აბსოლუტურად გახსნილი ვარ ყველასთვის. ნებისმიერს შეუძლია ჩემთან დარეკვა, ყველა ზარს ვპასუხობ და ყველა შეკითხვაზე მაქვს პასუხი. ზარებზე პასუხი ელემენტარული ზრდილობის საკითხია.

ჩვენი პრემიერიც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდაა და ამხელა საქმეები მხრებზე აწევს, არასდროს ტოვებს უპასუხოდ ზარს, სატელეფონო შეტყობინებას მაინც გამოავაზენის ხოლმე. ღირსეული პრემიერი გვყავს.

დავით კოდლა, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაციაში: აღსანიშნავია, რომ რეგიონში ძალიან ბევრი ახალგაზრდული პროექტი ხორციელდება, ისეთი ღონისძიებები იგეგმება და ტარდება, როგორც მანამდე რეგიონში არ ჩატარებულა. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო ამ დღეებში ჩატარებული სპორტული ღონისძიების — ავტორალის შესახებ, რამაც ჩვენმა სამსახურმა უდიდესი შრომა ჩავდეთ. ცხადია, ვერაფერს გავხდებოდით შესანიშნავი მენეჯერი და ძალიან გონიერი მმართველი, ბატონი ლევან შონია რომ არ ამოგვდგომოდა მხარში.

ბევრი საინტერესო პროექტი გვაქვს დაგეგმილი და დარწმუნებული ვარ, განხორციელდება არ გავევიწყრება თანამოაზრებთან ერთად, რომლებიც ადმინისტრაციამ იტანა. თუმცა მათ გარდა ფოთში, სენაკში, მარტვილში, მესტიაში, სხვაგანაც, მთელ რეგიონში გვყავს მხარდამჭერები, მეგობრები და მათთან ერთად ვახორციელებთ დასახულ გეგმებს და ახალ-ახალ პროექტებს.

ჩვენს რეგიონში არ იყო ავტო-მოტომოტოვარულთა კლუბი. კმაყოფილებით უნდა ვითხრობო, რომ მე დავაფუძნე ეს კლუბი, მოსახლეობა ძალიან გახარებულია, განსაკუთრებით ახალგაზრდები. რამდენიმე დღის წინ ჩავატარეთ გრანდიოზული ავტორალი, გულშემატკივრები იყვნენ მთელი საქართველოდან. ეს იყო ზეიმი, რომლის მოწყობაში ყულევის ტერმინალი, სოკარის ადმინისტრაცია და კოკა-კოლა დაგვეხმარა.

ადმინისტრაციაში რომ მოვედი სამუშაოდ, რეგიონის გუბერნატორს, ბატონ **ლევან შონიას** საერთოდ არ ვიცნობდი. პრობლემები უამრავი დავგზავნი, ჩვენ წინაშე გადაუჭრელ საკითხად იდგა — როგორ მოგვეზიდა დამფრთხალი ინვესტორები?!

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის იყო მარაზმამდე მისული დამოკიდებულება.

დღემდე არ ვგუბები და არც შევეგუბები იმას, რომ სახელმწიფო ხელს აფათურებდეს კერძო საკუთრებაში. რეგიონში 4500 მეწარმეა და მათთან კომუნიკაცია აუცილებელია. ჩვენ მათ ყველა მთხოვნას ვაკმაყოფილებთ, ვეხმარებით წარმოების გაფართოებაში.

თითქმის 24-საათიანი რეჟიმით ვმუშაობთ, რადგან საქმე უამრავია. მეწარმეები შიშით უყურებდნენ თავიდან ჩვენს ინიციატივებს, ყველას კარგად ახსოვდა, აქ ფულით სავსე ჩემოდნებით რომ მოდიოდნენ და თავისუფლებას და წარმოების შენარჩუნებას ყიდულობდნენ ყოფილი ხელისუფლებისგან.

მოსარული ვარ, რომ აქტიურ ფაზაში შევიდა ანაკლიის განვითარების პერსპექტივები. მალე ანაკლია გახდება ადგილი, სადაც მთელი მსოფლიო მოიყრის თავს. 30 ივლისიდან ელექტრონული მუსიკის გრანდიოზულ ფესტივალზე ანაკლიას ესტუმრება ცნობილი დიჯეი არმინ ვან ბიურენი. ეს იქნება უდიდესი ზეიმი, გაიმართება ჯემ-ფესტივალი —

ელექტრონული მუსიკის დღე-სასწაული ანაკლიაში.

წელს ვგეგმავთ 9-დღიან ფესტივალს, თუმცა მომავალ წელს, ვიმედოვნებთ, ის უფრო ხანგრძლივი იქნება.

მსგავსი ფესტივალი ბაკურიანშიც გაიმართება, თბილისში და სვანეთშიც კი... ეს იქნება ინვესტიციების და დიდძალი შემოსავლების ერთგვარი გენერატორი, რომელიც ბევრ ოჯახს სასიკეთოდ წაადგება.

წლების განმავლობაში ოჯახებში ტურისტის მიღება პრობლემას წარმოადგენდა შესაბამისი პირობების უქონლობის გამო. ამ პრობლემას რამდენიმე წელიწადში დავძლევთ. რეგიონის მოსახლეობა ისე გაიმართება წელში, რომ ნებისმიერი ტიპის ტურისტის მიღება შეეძლება თავისუფლად.

გაბრდებით, უახლოეს 5 წელიწადში ანაკლიას ვერ იცნობთ, მაგრამ გვევირდება მხარდაჭერა, სამთავრობო მხარდაჭერა.

დაიხ, ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ტურიზმის განვითარება რეგიონში, მაგრამ ყოველივე ამას სჭირდება საინფორმაციო უზრუნველყოფა. თუ არ გავაპიარებთ, ვერავინ გაიგებს, რა ღირსშესანიშნაობები არის რეგიონში და რა თანამედროვე ინფრასტრუქტურული



ღონისძიებები არის განხორციელებული სტუმრების მისაღებად, ტურისტების მოსაზიდად.

ფოთში მალთაყვის სანაპირო ზოლი შეგვიძლია ისე მოვაწყვიტო, რომ ყველა ვიზიტორისთვის მიმზიდველი გახდეს. იქვე გავაშენებთ ულამაზეს ბულვარს, იქნება სასტუმროები, რესტორნები, კაზინო და ა.შ. ვაპირებთ კატარღებმა იმოდრონ ქობულეთი-ურეკი-მალთაყვას მიმართულებით და ა.შ.

მაგრამ უნდა დავხვეწოთ მომსახურების ხარისხი. მე თვითონ ვაწარმოებ მოლაპარაკებებს გაუ-სთან, ბიზნესპროფილის გადამზადების თაობაზე.

სიახლე, ზოგადად, არ არის ადვილად აღსაქმელი და ჩვენც ერთგვარ წინააღმდეგობას წაგაწყდით ზუგდიდის ცენტრში „მაკლონალდის“ გახსნასთან დაკავშირებით. იყო მოსაზრებები, რატომ უნდა იყოს „მაკლონალდის“ შენობა ქალაქის ცენტრში, რეგიონის ადმინისტრაციის გვერდით?! მაგრამ, წარმოიდგინეთ, ტურისტები, რომელიც ჩამოიდა ქალაქში და თვალში შეეფეთება ცნობილი ბრენდი, ეს მისთვის სასიამოვნო შეგრძობება იქნება, რადგან გაუჩნდება განცდა, რომ არის, მაგალითად, ზუგდიდში, რომელიც თანამედროვე სამყაროს ნაწილია.

ძალიან ბევრი გეგმები გვაქვს. ვაკეთებთ საქმეს, მაგრამ არა ისე, რომ არ გვქონდეს წინასწარ განსაზღვრული, რა მოჰყვება ჩვენს გაკეთებულ საქმეებს წლების შემდეგ. სისუსტეები, სიძლიერეები, შესაძლებლობები და საფრთხეები წინასწარ გვაქვს განსაზღვრული.

მე მოეწონებდა ყველა ბიზნესმენს, რომლებიც უცხოეთში მოღვაწიობენ. დააბანდონ თავიანთი კაპიტალი საქართველოში, გახსნან ქარხნები, საწარმოები, დაასაქმონ ხალხი. ბიზნესმენების და მდიდარი ადამიანების ცხოვრების წესი გახდა თითქოს — საქართველოში ეკლესიებს აშენებენ, ეს ძალიან კარგია, მაგრამ

დღერთი გვეუბნება: დააპურეთ მშვიდი, მიხედეთ ობოლს, ხელი გაუწოდეთ გაჭირვებულს, ესაა ღვთისთვის სასიამოვნო საქმე და არა მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიების მშენებლობა. კარგი იქნება, თუ ჩვენი მდიდარი თანამემამულეები, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ, ჩვენი ქვეყნის და ხალხის სასარგებლო საქმეს თუ გააკეთებენ.

რაც ეხება მიმდინარე პროექტებს — გზები, განათებები, სოფლის განვითარების სხვა პროექტები, მიწისქვეშა კომუნიკაციის პროექტები, საბავშვო ბაღების მშენებლობის პროექტები განსახორციელებელია. ოღონდ აქ, ამ პროექტებში, ნათესავების დასაქმება არ არის გათვალისწინებული. (იცინის.) მაგალითად, ჩემი ოჯახის წევრი, ჩემი სიძე დღემდე უმუშევარია. ჩვენ შესაბამისი საქმიანობების პროფესიონალებს ვარჩევთ. წინა რეჟიმის დროს მომუშავე თანამშრომლებიც გვყავს, რომლებსაც სისხლის

ინილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
 შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

11 გვ.

სამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ და არც არავინ მაშინ არაფერს ეკითხებოდა. ჩვენთან ასეთი ტიპის პროფესიონალები დღემდე მუშაობენ. ჩვენს ახალფეხადგმულ დემოკრატას სჭირდება მცოდნე ხალხი.

ირაკლი გომოხია, ქალაქ ზუგდიდის მერი: ქალაქის შიდა გზების რეაბილიტაცია უმთავრესი საკითხია ჩვენთვის. 475 ქუჩაა ქალაქში, თავისი ჩინებით და ყველა ქუჩაზე მალე იქნება წყალმომარაგება. მიწისქვეშა კომუნიკაციები ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდება. ზუგდიდის ყველა მცხოვრებს ექნება გამართული კანალიზაციის სისტემა და წყალი. შეიძლება, გასაკვირი იყოს, 21-ე საუკუნეში საკითხი ასე რომ დგას, მაგრამ რას ვიზამთ, ფაქტი სახეზეა. 400-ვე ქუჩა უნდა გადაითხაროს, შევიდეს წყალი და კანალიზაციის სისტემები, რის გამოც ქუჩები ორჯერ უნდა გადაითხაროს, ამიტომ 2015 წელს მოსაფლავებაზე უარი ვთქვით.



ირაკლი გომოხია

წყალი, კანალიზაცია, გარე განათება, რომელი ერთი ჩამოვთვალო, პრობლემები უამრავია, 2017 წლისთვის ვეარაუდობთ, ამ პრობლემებს სრულად აღმოვფხვრით. ქალაქის ბოტანიკურ ბაღს 70 წელი უსრულდება. ის თბილისის ბოტანიკურ ბაღზე 3 წლით „უფროსია“, ამ კუთხითაც დიდძალი სამუშაოები არის ჩასატარებელი. ძველთა დაცვის სამინისტროს დახმარებით ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი მთლიანად რეაბილიტირებული იქნება და იმაზე გაცილებით უკეთეს სახეს მიიღებს, როგორც ჰქონდა ოდესმე. იქვეა დადიანების სასახლე – ნიკო დადიანის სასახლე, ეკატერინე დედოფლის სასახლე რეაბილიტაციას სჭირდება და ჩვენ ამას გვაგაკეთებთ.

ზუგდიდის ცენტრი



მწკვედ დგას საბავშვო ბაღების პრობლემა, რადგან ამ შენობების 80% დევნილები არიან შესახლებულნი. ჯერ ეს ოჯახები უნდა გამოვასახლოთ და მერე დავიწყოთ სამუშაოები. ორი 12-სართულიანი კორპუსის მშენებლობა უკვე დაიწყო დევნილებისთვის, სულ მთლიანად დევნილთათვის 412 12-სართულიანი კორპუსი უნდა აშენდეს. 2460 დევნილი ოჯახი მიიღებს ახალ საცხოვრებელ ფართს. ქალაქის ცენტრში ყოფილი სასტუმროს შენობა, ბაღები გათავისუფლდება და დავიწყებთ ამ შენობების რეაბილიტაციას, ეტაპობრივად მოხდება ამ პრობლემის მოგვარება.

ქალაქის აუცილებლობისთვის საჭირო მინიმუმ 20-30 მლნ-ის მზა პროექტები გვაქვს. ახლა ეს თანხა რომ მქონდეს, თავისუფლად შეიძლება ქალაქს მივხედო და გავუკეთო ზუსტად ის, რაც აუცილებლად სჭირდება. ქუჩების კეთილმოწყობა, ქვანაპირები, განათების სისტემები, ეზოების კეთილმოწყობა სჭირდება, კომუნიკაციის დასახლებაში ახალი სტადიონი კეთდება და ა.შ.

მოსახლეობასთან ინტენსიური შეხვედრები გვაქვს. ორშაბათს და პარასკევს ვიცე-მერი და მოადგილეები ხვდებიან მოსახლეობას, ოთხშაბათობით მე თვითონ ვხვდები. იმ დღეს, მინიმუმ, 30-40 ადამიანს ვესაუბრები და აღსანიშნავია, რომ ყოველ მათგანს სოციალური პრობლემები აწუხებს. ამ კუთხით ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს ჩატარებული და კვლავაც ვაგრძელებთ. მოსახლეობას ვეხმარებით შეძლებისდაგვარად.

სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამა ავადმყოფებს ზოგ შემთხვევაში 70% აფინანსებს, ზოგს -100%-ითაც, მაგრამ მოსახლეობას შემოსავალი არ აქვს და 70%-იანი დაფინანსების მქონეებს, ხშირად, თანადაფინანსებას ჩვენ ვუკეთებთ. C ჰეპატიტის მკურნალობის დაფინანსებას

მთლიანად მხოლოდ ჩვენ უზრუნველყოფთ, ძვირადღირებული წამლების შექმნაშიც ვეხმარებით, ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაც აქტიურად მუშაობს მერიის დაქვემდებარებაში, რომელი ერთი ჩამოვთვალო, ბევრი სოციალური შედეგით გვაქვს ჩვენი მოსახლეობისთვის და უნდა ითქვას, რომ ჩვენი თანაქალაქელები უკმაყოფილო არ არიან.

სახელმწიფომ ახალი სასწრაფო დახმარების მანქანები გადმოგვცა, რომელიც უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი. ჩვენი ერთ-ერთი და მთავარი მიზანი არის ხელი შევუწყოთ ინვესტიციების მოზიდვას.

ალბათ, ნახეთ, ქალაქის ცენტრში „მაკონალდის“ შენობა. მსოფლიო ბრენდმა ფეხი მოიკიდა ზუგდიდში. „კარფურთან“ გვაქვს მოლაპარაკებები და უახლოეს დროში მოსალოდნელია ზუგდიდში „კარფურის“ ფილიალი გაიხსნას. მალე „ვენდის“ მაღაზიათა ქსელი გახსნის ქალაქში თავის წარმომადგენლობას.

უახლოეს ხანებში გაიხსნება ახალი საწარმო, სადაც, მინიმუმ, 700 ადამიანი დასაქმდება და მათი საშუალო ხელფასი 1000-დან 1500 ლარამდე იქნება. საწარმო აპირებს ქალაქის და შესაფუთი მასალების წარმოებას.

ერთი თვის წინ ესპანეთში ვიყავით, ქალაქ ესტეპონეში შევხვდით იქაურ მმართველებს. აქტიურ თანამშრომლობას ვგეგმავთ. ასევე ვაპირებთ უნგრეთის ქალაქებს და ვუმეგობრდეთ, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები მივაგვლინოთ უნგრეთის უნივერსიტეტებში და ა.შ.

● 2014 წელს დაიწყო 100 მლნ ლარის ღირებულების თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი, სადაც დასაქმებულთა რაოდენობის 70% ადგილობრივი მცხოვრებია. (საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობის ერთობლივი პროექტი)

● ქ. ფოთში მალთაყვის სანაპირო ზოლის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. პირველ ეტაპზე სახელმწიფო ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 5 მლნ ლარს. (ინფრასტრუქტურის სამინისტრო-რეგონში განსახორციელებელი პროექტების ფონდი).

● მიმდინარეობს ქ.ზუგდიდში და ქ. ფოთში საფეხბურთო სტადიონების მშენებლობა. (ინფრასტრუქტურის სამინისტრო-რეგონში განსახორციელებელი პროექტების ფონდი).

● ქ. ზუგდიდის ცენტრალური წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მშენებლობა. ინვესტიციის მოცულობა 130 მლნ ლარი. დაფინანსების წყარო ევროზონის განვითარების ბანკი. (ინფრასტრუქტურის სამინისტრო-გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია-აზიის განვითარების ბანკი).

● მიმდინარეობს ანაკლიის ნაპირდაცვითი ღონისძიებები. (ინფრასტრუქტურის სამინისტრო-რეგიონული პროექტების ფონდი).

● ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მიმდინარეობს მულტიპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა საპროექტო ღირებულებით 41 მლნ ლარი. (ინფრასტრუქტურის სამინისტრო-ჯანდაცვის სამინისტრო)

● აბაშის მუნიციპალიტეტში დაიწყო მეცხოველეობის ფერმისა და რძის შემკრებ-გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა საერთო ღირებულებით 38 მლნ ლარს. (საპარტნიორო ფონდი).

● აბაშაში მიმდინარეობს მეცხოველეობის ქარხნის („ქართლი რძის ქარხანა“) მშენებლობა საპროექტო ღირებულებით 2,6 მლნ ლარი. (კერძო ინვესტიცია-„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში).

● მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკში ბეტონის ქარხნის (ASAI GEORGIA) მშენებლობა, საპროექტო ღირებულებით 2,2 მლნ ლარი. (გაზაზური კერძო ინვესტიცია).

● ზობის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს საშენებლო მასალების საწარმოს (შპს „ფიგარო“) მშენებლობა. ინვესტიციის მოცულობა 16 60000 ლარი (კერძო-„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში).

● ზობის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს შპს „ხიბლი“-ის მიერ თაბაშირი-მუყაოს საწარმოს მშენებლობა, ინვესტიციის მოცულობა 4, 400000 ლარი. (კერძო-„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში).

● შპს „კოლხა“ ზობის მუნიციპალიტეტში აშენებს ზეთის საწარმოს, ინვესტიციების მოცულობა 2 000 000 ლარი. (კერძო-„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში).

● „სტიმორ ასოსიატე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიში ბოსტნეულის სასაბურთე მეურნეობას აშენებს. ინვესტიციის მოცულობა 5 მლნ აშშ დოლარი. 2016 წლის ბოლომდე აპირებს 35 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული აქვს 35 ჰექტარამდე ჰიდროპონიკური საბურთეების აშენება. (კერძო-„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში).

● ქ. ფოთში შპს „სმარტ დეველოპმენტი“ ახორციელებს სავაჭრო ობიექტისა და მასთან არსებული კინოთეატრის მშენებლობას. ინვესტიციის მოცულობა 3,5 მლნ ლარი. (კერძო ინვესტიცია).

მალთაყვის სასაპრო ზოლი



ვიდეს და თავისუფლად ჰქონდეს ჩემთან ურთიერთობა. ხალხი მოდის, უშუალოდ მესაუბრება. აღარ არის შიშის შეგრძნება. მეც მომწონს ეს უშუალო დამოკიდებულება, რადგან ძალიან დიდი უსამართლობა თვითონ მაქვს გადატანილი წინა რეჟიმისგან. ადამიანის მთავარი მონაპოვარი თავისუფლება და თავისუფალი ურთიერთობებია. მე და ზუგდიდლები ყველა პრობლემაზე თამამად ვსაუბრობთ.

ირაკლი კაკუ-

ლია, ქალაქ ფოთის მერი: ფოთი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქია და ასოცირდება საპორტო, სანავსადგურე ქალაქთან. საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში, 25 წლის განმავლობაში, ნავსადგურთან მიმდებარე განვითარდა ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი.

ფოთს აქვს უნიკალური ადგილმდებარეობა - პალეოსტომის ტბა, შავი ზღვა და მდინარე რიონი განსაკუთრებულ სახეს აძლევს ქალაქს. რიონს კავკასიონიდან ჩამოაქვს ნაშალი ქანები, რომლებიც ზღვის პირას შავ ქვიშად გროვდება. ურეკიდან ყულევაძემ რიონის ნაშანი ქვიშა და ეს არის უნიკალური.

ერთი სიტყვით, ფოთი რეგიონში განსაკუთრებული ადგილია, რომელიც საინტერესოა ტურიზმის თვალსაზრისით.

წინასაარჩევნო პერიოდში იმთავითვე ვპირდებოდი ჩემს მოქალაქეებს, რომ ამ მიმართულებით განვითარებდი ქალაქს.

ძალიან ბევრი საწარმო არის ფოთში. მაგრამ მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისთვის მაინც არ არის საკმარისი.

50 000-იანი ქალაქია და ბიზნესის ბრუნვისთვის, ეს, რამდენადმე, არასაკმარისია. ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ ახალგაზრდების სრულად დამაგრებას ქალაქში.

მალთაყვის უბანი სწორედ ის ადგილია, რომელიც ჩემი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია და ჩემი ხელმძღვანელობის პირველი დღეებიდანვე, რეგიონის გუბერნატორის ბატონი ლევან შონიას ხელშეწყობით, ინფრასტრუქტურის მინისტრის, ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის დახმარებით მივიღეთ თანხა - 120 000 ლარი იმისთვის, რომ გამოგვეცხადებინა კონკურსი მალთაყვის ზოლისა და ბულვარის კეთილმოწყობისთვის. გაიმარჯვა საკმაოდ ძლიერმა კომპანიამ, რომელმაც 105 000 ლარად დადო 18-ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების პროექტი. აქედან 5 მლნ უკვე გამოყოფილია ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისთვის და რამდენიმე დღეში სამუშაოები დაიწყება. ეს ისეთი მნიშვნელოვანია ფოთისთვის, რომ ფოთი დიდი გამოწვევების წინაშე აღდგება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკურორტო ზონა გახდება და თვით ფოთე-

ფოთის თეატრიც კი, რომელიც უნდა დასრულებულიყო, გაჭიმეს და უკვე ჩვენი ხელისუფლების პირობებში, 2013 წელს გამოიყო 2 მლნ ნახევარი ლარი და დასრულდა თეატრის მშენებლობა.

ამიტომაც, მე, თამამად ველაპარაკები ჩემს თანაქალაქელებს. დავიფიქვე ყველაფერი ძველი არჩევნების შემდეგ, აღარ ვლაპარაკობ „ნაცმოძრაობის“ ნამოქმედარზე, მაგრამ ერთ რამესაც ვერ დამისახელებენ ნაციონალები, რომ სასიკეთო გაუკეთეს ქალაქს.

ნავსადგური და მიმდებარე ტერიტორიები უსასყიდლოდ გადასხვისეს. უამრავი კანონდარღვევა აქვთ ჩადენილი. 2008 წელს მაჟორიტარად ვიყრიდი კენჭს ოპოზიციიდან და კარგად ვიცი „ნაცმოძრაობის“ ხრიკები. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა ქართულ პოლიტიკაში, შესაძლებლობა გაჩნდა თანასწორუფლებიანი პოლიტიკური თამაშის და მეც მომეცა საშუალება ერთი ავტური დამელო ჩემი ქვეყნის მშენებლობის საქმეში.



ფოთისთვის სასიკეთო მნიშვნელობას შეიძენს.

ფოთი მართლაც არის ერთ-ერთი განსაკუთრებული ქართული ქალაქი, ძალიან საჭირო ქალაქი, რომელსაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ყურადღება არ ექცეოდა.

ჩვენი, ანუ ხალხის მთავრობის და ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რეგიონის და ქალაქ ფოთსაც მეტი ყურადღება ექცევა.

კომუნისტების დროს დიდძალი თანხები იხარჯებოდა გრანდიოზულ პროექტებზე, მაგრამ ვერც მათ შეძლეს ფოთის კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება. ჩვენი ხელისუფლების პირობებში ტენდერი გამოცხადებულია და მალე, სამწლიანი გეგმის ფარგლებში, ყველა ოჯახთან იქნება სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური კომუნიკაცია. ამას გარდა, რამდენიმე მილიონი ლარი იხარჯება იმისთვის, რომ ქალაქს 24-საათიანი წყალმომარაგება ჰქონდეს, ეს პროექტიც განხორციელდება 2016 წლიდან.

მოსახლეობასთან შეხვედრის დროს წინასაარჩევნოდ ვამბობდი: დავეცხადებო ერთი გაკეთებული საქმე, რაც მიეწერება „ნაცმოძრაობას“, რომ მე ვთქვა მადლობა-მეთქი.

არ არის ასეთი რამ. ერთადერთი, რაც „ნაცმოძრაობის“ დროს დასრულდა, ეს იყო საკათედრო ტაძრის მშენებლობა, რომლის განხორციელებაში თითოეულმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა.

ჩვენი პრიორიტეტია, როგორც ზემოთაც მოვახსენეთ, ეზოების კეთილმოწყობა, საერთო საცხოვრებლებში მძიმე მდგომარეობა, მოსაწესრიგებელია შიდა კანალიზაციის სისტემა. გამოიყო დაახლოებით, 600 000 ლარი. ვაწესრიგებთ ტროტუარებს, გადახურვებს, ვაშენებთ ახალ საბავშვო ბაღს, ვარემონტებთ მუსიკალურ სკოლას, გადავხურეთ მუზეუმი, ქალაქში ვაშენებთ რამდენიმე სტადიონს. წელან მალთაყვა იმიტომ გამოგვავი, რომ ეს არ არის მხოლოდ ფოთელების საკუთრება. ეს არის საქართველოს ტურისტული ზონის გაფართოების შესაძლებლობა. შავი ზღვის პლაჟებს მიემატება, დაახლოებით, 7 კმ სანაპირო ზოლი.

მომავალ წელს ფოთი ტურისტული ნაკადებისთვის სრულად იქნება მზად.

არაერთი ინვესტორი ინტერესდება სასტუმროების მშენებლობის საკითხით.

მალთაყვის გაშენებისთვის უკვე გამოგვეცა სპეცტექნიკა - 420 000 ლარის ღირებულების.

როგორც ქალაქის მმართველს, ხელისუფლებისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

უხერხულად გამოძის, რადგან თვითონ ვარ ამ ხელისუფლების წარმომადგენელი, მაგრამ მადლობას ვამბობ არა როგორც მერი, არამედ, როგორც ერთი რიგითი ფოთელი, რიგითი მოქალაქე.



რამდენიმე ხნის წინ ღონეცკის მხარის გუბერნატორის მოადგილე იყო ჩამოსული ზუგდიდში. მან სურვილი გამოთქვა მეგობრული ურთიერთობების გადრმავებისა და დაიდება ეს საკითხიც, ალბათ.

მეორე მსოფლიო ომის გმირის - ეგოროვის მშობლიური ქალაქის მერი გვსტუმრობდა ახლახან.

აქტიურად მუშაობს ჭადრაკის სკოლა. დავიწყეთ ჭადრაკის სკვერის რეაბილიტაცია. 250 000 ლარი დაიხარჯება და ორსამ თვეში ზუგდიდს ძალიან ლამაზი ჭადრაკის სკვერი ექნება.

კეთდება მიწისქვეშა გადასასვლელები.

პიონერთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს - კონდიციონერით, გათბობით, თანამედროვე აღჭურვილობით მოწყობილი სასახლე ექნება ზუგდიდს.

აღსანიშნავია, რომ 170 წელი უსრულდება ზუგდიდის თეატრს 2017 წელს. ვეშაბდებით, რათა ღირსეულად შევხვდეთ ამ თარიღს.

სტადიონის მშენებლობაც მალე დაიწყება.

ფოთის პორტი



13 gv.

რაც ეხება ფაბრიკა-ქარხნებს. არსებობს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, სადაც ახლა არის საკმაოდ კარგი პირობები. დღე-სგან გათავისუფლებული არიან მეწარმეები და დამზადებული პროდუქცია საზღვარგარეთ დამზადებულის რანგში გადის ბაზარზე.

ქალაქში არის ოთხი თევზის გადამამუშავებელი ქარხანა.

უახლოეს თევზში თურქებთან ერთად რამდენიმე საწარმოს გავხსნით. ერთ-ერთი პლასტმასის საწარმო იქნება და ა.შ.

ჩვენი ობიექტები რომ ამბობენ, რა გაკეთდა 2012 წლიდან?! მინდა ვუთხრა მათ: მოვიდნენ ფოთში, ნახონ, რა გაკეთდა, რა კეთდება, აქედან დაიწყო დათვალიერება და მერე ილაპარაკონ სხვაზე.

5-6 მლნ-იანი რაგების სტადიონი აშენდა ქალაქში ბატონი ბიძინა ივანიშვილის დახმარებით. დღეს ფოთში საკმაოდ კარგი რაგების სკოლაა. ორი ჩვენი აღზრდილი საფრანგეთის A კლასის გუნდებში თამაშობს – დიმა ბასილაია და ზურა ფვანია. სხვა სპორტის სახეობებიც განვითარებულია ქალაქში. ფეხბურთის განვითარებისთვის კიდევ მეტი გვინდა, რომ გავაკეთოთ.

რაც ეხება ოპოზიციას. მეც ვიყავი ოპოზიციასა და მესმის მათი და თუ ზღვარს არ გადავლენ, ყველაფერი ჩვეულებრივ კალაპოტში, ცივილიზებულად წარიმართება.



ედიშერ თორლორია

ედიშერ თორლორია, ზუგდიდის საკრებულოს გამგებელი: 2012 წელს სულ სხვა ეტაპი დაიწყო ზუგდიდის ცხოვრებაში.

კოჰაბიტაცია, რომელიც მტკივნეულად მიიღო მოსახლეობამ, ფაქტობრივად, იმის განმსაზღვრელი იყო, ვისთან შეიძლებოდა თანამშრომლობა და ვისთან – არა. ვინ შეიძლებოდა ჩაგვება ჩვენთან ერთად ქვეყნის მშენებლობაში.

წინააღმდეგობები იყო და არის, მაგრამ შედეგად გვაქვს. ეროვნული თანხმობისკენ გადავდგით ნაბიჯები. ჩვენ ყველას მივეცი თანხა, რომ მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა, ქვეყნის მშენებლობაში გვერდით დავდგომოდნენ, მაგრამ ყველამ საკუთარი გზა აირჩია.

მრავალი სერიოზული პროექტი განხორციელდა ზუგდიდის რაიონის მასშტაბით, იცის საზოგადოებამ, რომ მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, როცა გაიყო ზუგდიდის რაიონის და მერიის ადმინისტრაციები. ყოველივე ამან შრომატევადი სამუშაოები წარმოშვა, მაგრამ ყველაფრის დაძლევა შეიძლება თუ ერთად დავდგებით და რაიონის, ქალაქის, რეგიონის კეთილდღეობისთვის ვიზრუნებთ.

უნდა აღვნიშნო, რომ აქტიურად იყო საზოგადოება ჩართული რაიონში განსახორციელებელი პროექტების განხილვასა და აღსრულებაში.

- ◆ **რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ აღბიომორფი ბიუჯეტით განხორციელებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების საერთო მოსულობა 2012 წლიდან შეადგინა 9,0 მლნ. ლარი**
- ◆ **აღნიშნული პროგრამით დახმარება გაენიჭა 44 971 ბენეფიციარს**
- ◆ **რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში გაიხსნა 9 ახალი სოფლის ამბულატორია**
- ◆ **შეიქმნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუნიციპალური ცენტრები, რომლებიც აღიჭურვა ახალი სასწრაფო დახმარების მანქანებით**
- ◆ **რეგიონს ემსახურება სასწრაფო სამედიცინო დახმარების 30 ბრიგადა**
- ◆ **2014 წლიდან ამოქმედდა ომში დაღუპულთა ოჯახის წევრის ფულადი კომპენსაციის პროგრამა**
- ◆ **რეგიონში ბენეფიციართა რაოდენობა 219 ოჯახია**
- ◆ **2014 წლის იანვრიდან დღემდე გახმარდა 1.3 მლნ ლარის კომპენსაცია**
- ◆ **2015 წლის იანვრიდან კომპენსაციის თანხა 500 ლარიდან 1000 ლარამდე გაიზარდა**



რეგიონში ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა დაფინანსების წყაროების მიხედვით განხორციელებული და მიმდინარე პროექტების რაოდენობამ შეადგინა 956.

პროექტების დაფინანსების წყაროებია: რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდი; მუნიციპალური განვითარების ფონდი; გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია; ადგილობრივი ბიუჯეტი; ენერჯეტიკის სამინისტრო; განათლების სამინისტრო; სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ეკონომიკის სამინისტრო; ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; გარემოს დაცვის სამინისტრო; მთავრობის განკარგულება; ადგილობრივი ბიუჯეტი.

ქვემოთ ვთავაზობთ რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების რაოდენობას კატეგორიების მიხედვით:

გზების რეაბილიტაცია - 123 პროექტი; რეაბილიტირებული და აშენებული იქნა 110 ხიდი.

განხორციელდა წყალმომარაგების 85 პროექტი; წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია - 16 პროექტი

რეაბილიტირებული და აშენებული იქნა 11 საბავშვო ბაღი.

განხორციელდა კეთილმოწყობის 12 პროექტი; გარე განათება მოეწყო 10 ობიექტზე; განხორციელდა ნაპირდაცვითი ღონისძიებების 69 პროექტი;

სანიაღვრე სადრენაჟე სისტემის 26 პროექტი; საორტული ობიექტები - 11 პროექტი; კულტურის ობიექტები - 8 პროექტი; ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია - 42 პროექტი;

შენობების მშენებლობა - 8 პროექტი; დასვენების ობიექტები - 4 პროექტი; ტროტუარების რეაბილიტაცია - 3 პროექტი; სარწყავი არხები - 6 პროექტი; სხვა პროექტები - 122 პროექტი;

ორი წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულია 202 პროექტი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რეგიონში ორი წლის განმავლობაში განხორციელდა 2 564 პროექტი საპროექტო ღირებულებით 14 300 000 ლარი.

სოფლის პროგრამის პროექტები: გზა - 649; კეთილმოწყობა 347; ხიდები და ხიდ-ბოგირები - 293; წყალმომარაგება - 289; ბაღი - 220; სანიაღვრე არხები -101; საორტული მოედნები - 98; სასაფლაოების შემოღობვა - 97; მოსაცდელი - 76; ნაპირსამაგრი -73; წისქვილების მოწყობა -68; ადმინისტრაციული შენობა და კულტურული ობიექტები - 56; სხვა პროექტები 197

საქართველოს მთავრობის მიერ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ განხორციელდა 340 პროექტი.

2015 წელს ზემოთ ჩამოთვლილი დაფინანსების წყაროებიდან, მათ შორის სოფლის პროგრამით დაგეგმილია 1337 პროექტის განხორციელება.

შემუშავდა 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პროექტების რანგირებას პრიორიტეტულობის მიხედვით.

2014 წელს ჩატარდა საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი „ანაკლია 2014“. მსგავსი საინვესტიციო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვა დაგეგმილია სისტემატორად.

შეიქმნა სამეგრელო-ზემო სვანეთის საინვესტიციო ვებ გვერდი www.investinsamegrelo.ge. ვებ-გვერდი ინვესტორებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია. ამასთანავე, ვებ-გვერდზე განთავსებულია როგორც მზა პროექტები ასევე საინვესტიციო წინადადებები.

2015 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთი რეგიონში შეიქმნა „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბი“. კლუბი აერთიანებს რეგიონის ლიდერული თვისებების მქონე ახალგაზრდებს. კლუბის ამოცანაა ისეთი პროექტების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება სამხარეო ადმინისტრაციისთვის, რომელიც რეგიონში შექმნის ახალგაზრდულ პოლიტიკას. ლიდერთა კლუბის წევრებისთვის გათვალისწინებულია სისტემატორული ტრენინგ-სემინარები და საჯარო ლექციები ცნობილი და წარმატებული ვესტ-საბიკერების მონაწილეობით.

რეგიონში შეიქმნა ავტომოწყვარულთა კლუბი სახელწოდებით „WESTERN DRIVERS“, რომელიც აერთიანებს დრაგისა და დრიფტის მოყვარულებს.



ახლა არ არის კონფერენციის დრო.

მე ვიყავი ოპოზიციონერი და ვიცი, რას ნიშნავს ეს, მაგრამ მიემართავ ოპოზიციას – იყავით მეტად კონსტრუქციულნი, კამათის, კრიტიკის უფლება ყველას აქვს, მაგრამ უსაფუძვლოდ და კანონდარღვევით არა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მუხეუმების მართვის სამსახურმა, რომელიც განსაკუთრებით კარგად მუშაობს, მრავალი მივიწვევებული სახელი გაასვენა საზოგადოებას, ჩატარდა ღონისძიებები, შეიქმნა ბუკლეტები, საზოგადოებას ცოცხლად დაუბრუნეს მივიწვევებული სახელები. მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ბევრი სხვა ღონისძიება ტარდება, გაგრძელდება ყოველივე ეს და უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს. ჩვენ მონაწილეობას ვღებულობთ სხვადასხვა საერთაშორისო შეკრებებში, როგორ შემეცნებით, ისე სხვა ტიპის ღონისძიებებში.

ალექსანდრე ბრიბა-ლავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი: წელიწადი სრულდება, რაც მარტვილის გამგებელი ვარ, რაიონში უამრავი პროექტი განხორციელდა ამ ხნის განმავლობაში. ერთ-ერთი არის სენაკი-ბანდა-ხონის შემადგენელი უდიდესი მაგისტრალის მშენებლობა. მარტვილი-აბღათის და ნოქალაქევის შემადგენელი ორი უდიდესი მაგისტრალის მშენებლობაც მნიშვნელოვანი მიღწევა ჩვენთვის. აღსანიშნავია სალხინო-წაჩხურუს გზის მშენებლობის დასრულება. მარტვილის რაიონი ტურისტების მოზიდვაზე ორიენტირებული და ჩვენც ეს მიმართულება ავიღეთ. ამიტომ, პირველ რიგში, გზები კეთილმოვაწყვეთ.

პირველი ეტაპი განხორციელდა ჭყონი-კიწია-ნოდის გზის მშენებლობასთან დაკავშირებით. ამ გზის მშენებლობის მეორე ეტაპი უკვე დასრულდა. სოფელ ბაღდის მამათა მონასტრამდე ასფალტის საფარი უკვე დაგვად, ბაღდიდან სოფელ სალხინომდე



ალექსანდრე ბრიბა-ლავა

გზის მშენებლობები ახლა მიმდინარეობს. სოფელ ბაღდიდან სოფელ ლეცავემდე გაკეთდება გზა და იგი მიუერთდება სოფელ სალხინოს. სოფელი სალხინო ჩვენს რაიონში გამორჩეულია ტურისტების ინტერესის თვალსაზრისით, აქ არის წაჩხურუს ეკლესია და დადიანების სახლ-მუხეუმი. სოფელი, წლის ბოლომდე, ფაქტობრივად, მოასფალტებული იქნება. ახლა მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები. თამამად ვიტყვი, რაც გაკეთდა, ამ სოფლებში, 20 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა.

ყოველივე ამის გარკვევა და დადასტურება დაინტერესებულთათვის ძნელი არ იქნება. შეგვიძლია მეტრობით და კილომეტრებით დავთვალოთ, წინა მთავრობის, იმის წინა მთავრობის დაგებული გზების რაიონდენობა ერთად შეგვირიბოთ და შევადაროთ „ქართული ოცნების“ პერიოდში დაგებული გზების რაიონდენობას. მათემატიკა ყველამ ვიცით და მეტს და ნაკლებს ყველა ვარჩევთ.

„ქართული ოცნების“ მმართველობის ორ წელიწადში უფრო მეტი გააკეთეთ, ვიდრე ბოლო 20 წლის განმავლობაში გაკეთდა!

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, პიარზე არ ვმუშაობთ. ჩვენ საქმეს ვაკეთებთ.

ჩვენს გაკეთებულ საქმეებს ხედავს მოსახლეობა, ხედავენ ტურისტები.

რად უნდა ამას ყვირილი და ლენტების ჭრა. მარტვილის რაიონი მთლიანად ხარაჩოებშია.

მიმდინარეობს ძველი, მიტოვებული ყოფილი I სკოლის შენობის რეაბილიტაცია. წლების განმავლობაში ამ შენობისთვის არავის მიუხედავია.

ვალამაზებთ ქალაქს, რაიონს. გათავისუფლდა ბიზნესი ყოველგვარი წინეხსიდან.

დღესაც მყავდა სტუმრად ბიზნესმენი, რომელსაც ჩემოდნით ფულს კი არ ვთხოვთ, ვეზმარებით საბუთების შეგროვებაში, რომ დროულად დაიწყო საქმიანობა.

სახელებს და გვარებს ჩამოგივლით იმ ადამიანებისა, რომლებიც დაბრუნდნენ მარტვილში და მშობლიურ კუთხეში აპირებენ საქმიანობის გაშლას.

მაგალითად, ბატონი **ალექსანდრე ახვლედიანი**, იგი მუშაობდა უკრაინაში, ჩამოვიდა და რაიონში აპირებს საქმიანობა დაიწყო. მისი დამსახურებაა

სოფელ სალხინოში საბავშვო ბაღის საფუძვლიანი რემონტი.

ასევე, ბატონი **ალექსანდრე ხურცილავა**, რომელიც მარტვილის კერძო სკოლას შენობას უშენებს და გაარემონტებს კიდევ. იქვე აკეთებს გასართობ ცენტრს და ა.შ. ეს ადამიანი მანამდე ცხოვრობდა მარტვილში.

მილიონიან პროექტს ახორციელებს ბატონი ალექსანდრე ახვლედიანი სოფელ სალხინოში.

სალხინოელია თვითონ და ცდილობს სასიკეთო საქმეები გააკეთოს ამ სოფლისთვის. სალხინო ტურისტებისთვის ისედაც საინტერესოა, რადგან იგი მდებარეობს მდინარე წაჩხურუს და მდინარე ტეხურის შესართავთან. აქ გასართობი ცენტრის მშენებლობა უკვე დაწყებულია.

გვეხმარებიან ადგილობრივი ბიზნესმენები – მაგალითად, **პასა კვიციანი**, რომელიც თხილის რეალიზაციის საქმით არის დაკავებული, მისი ინიციატივით არის აშენებული კერძო სამედიცინო დაწესებულება, რომელიც, როგორც ვიცი, ერთ-ერთი შესანიშნავი კლინიკაა საქართველოში. დასაქმებული ჰყავს რამდენიმე ათეული მარტვილი, რომლებსაც მაღალ ხელფასებს უხდის. ბატონი **პასა კვიციანი** ამჟამად, შესანიშნავი შენობას აშენებს რაიონის ცენტრში.

ადგილობრივი ბიზნესმენი გახლავთ ბატონი **გვილაშვილი**, რომელსაც მექსიკის ბიზნესი აქვს და თვითონაც აპირებს რა-



იონს აუშენოს ერთი კარგი და საჭირო ახალი შენობა. ამ ადამიანს სურს თავისი ბიზნესი გააფართოვოს მეღორეობის და მეცხოველეობის კუთხითაც. ბიზნესმენმა იცის, რომ ჩვენი მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობა ექნება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბატონი ფრიდონ ინჯიას წვლილიც რაიონის განვითარებაში, მან შესანიშნავი სასტუმრო შემატა რაიონს.

ვისაც მარტვილი ადრე უნახავს, ახლა, შეიძლება ითქვას, ვეღარ იცნობს.

საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მარტვილის რაიონში მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობა. მარტვილის ცენტრალური სტადიონის გახონის მშენებლობა მთლიანად ხელი-სუფლების მიერ არის დაფინანსებული. ეს სტადიონიც ერთ-ერთი საუკეთესო საქართველოში.

მაქსიმალურად ვცდილობთ რაიონი გავალამაზოთ. ძირითადი სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყებთ გაზონების, სავალი ბილიკების, სკვერების კეთილმოწყობას. ამ კუთხით ტენდერი გამოცხადებული იყო და ძალიან მალე სრულიად შეიცვალის სახეს მარტვილი.

ერთი წელიწადი არ არის ისეთი დიდი დრო, რომ უფრო მეტი გაკეთებულიყო, ჩვენ ყვე-

ლაფერს ფუნდამენტურად ვაკეთებთ და არა ზერეულად და საჩვენებლად.

რასაც დავპირდით მოსახლეობას, ვაკეთებთ.

ყველა თანხა რაიონს და მოსახლეობას მოხმარდება, ერთი თეთრიც არ დაიკარგება უმიზნოდ.

ერთი მთავარი ოცნება მაქვს, როგორმე მსურს **პურორტ ლეზარდისკენ** გზის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. ეს არის უნიკალური ადრილი და თუ ლეზარდზე თანამედროვე გაშენდა, მარტვილი სულ სხვა იერს შეიძენს.

მარტვილის კანიონი ცალკე საუბრის თემაა.

ხშირად გვიწვევს იქ ჩასვლა, რადგან, მიუხედავად იმისა, ადგილები დაცული ტერიტორიების სააგენტოსი და კერძო პირებისა, მაინც ჩვენ გვიწვევს გარკვეული სამუშაოების ჩატარება, მაგალითად, დაცვა-დასუფთავების და ა. შ. და უნდა ითქვას, რომ წელიწადის ნებისმიერ დროს იქ უამრავი დამთვალიერებელია.

იმედი გვაქვს, რომ წელს უკვე დაიწყებს დაცული ტერიტორიების სააგენტო ამ ადგილების კეთილმოწყობას.

ახლო მომავალში ვაპირებთ ტეხურის პირას ჯომარდობის ცენტრი გავხსნათ. ბატონ დავით ქაცარავასთან ერთად ერთობლივ პროექტს ვახორციელებთ. რაიონში გვაქვს საქართველოშიც და რეგიონშიც ერთ-ერთი წარმატებული საფეხბურთო სკოლა. ამ სკოლაში გაზრდილი ბავშვები დღეს უმაღლეს ლიგაში თამაშობენ.

მე, საკუთარი სახსრებით, რაიონში დავიწვე და უფასოდ ვავარჯიშებდი ახალგაზრდებს რაგბიში. ჩემს აღზრდილებს დღეს რაიონში რაგბის კერძო გუნდები აქვთ გახსნილი.


მე და ჩემმა თანამოაზრემ, ბატონმა **დავით კილასონიამ** მოვახერხეთ და დავაარსეთ „**ლელოს**“ ფედერაცია. ალვად-გინეთ და გადავარჩინეთ სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობა. სოფელ დიდი ჭყონში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა იწყება.

ჩვენი საუბრიდან ერთ კვირაში მე ისეთ მონაცემებს დავებ, რომ ჩემს მიერ გაკეთებული საქმეების შედეგად გვემის 96%-იანი შესრულება მექნება. ეს საქართველოშიც კი რეკორდია



მარტვილის კანიონი





ნინო კარტავა

15 gv.

(ივინის.) დამრჩა მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია, თორემ 100% შესრულება მექნებოდა. წლის ბოლომდე ყველაფერს შევძლებო. ამიტომ, მგონია, რომ შრომას დამიფასებს მთავრობა და ერთ საჭირო პროექტს კიდევ დაგვიფინანსებს რაიონში.

„ქართული ოცნების“ ხელი-სუფლებების ეფექტურობაში ვისაც ეჭვი ეპარება, არის კალკულატორი, ვიცით მათემატიკა, ნახეთ, რა გააკეთა სხვა, რას აკეთებს ჩვენი მთავრობა.

ნინო კარტავა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის დირექტორი: ახალი ცხოვრება მოვიდა. მოსახლეობამ იგრძნო ეს, როცა სამუშაოებს ვატარებთ, დავდივართ სოფლებში, მოსახლეობა გაკვირვებულია და ამბობს: აქ მხოლოდ არჩევნების წინ მოდიოდნენ, როგორ მოხდა, რომ აკეთებთ საქმეს?!

ყველაფერს ვაკეთებთ სოფლებში — სანიაღვრე არხების აღდგენა, შეღებვა, გზების გაწმენდა, მოთიბვა, განათების მოწყობა ჩვენი პრიორიტეტებია. ვლუბავთ გზის გასწვრივ ბოძებს. მაგალითად, ერთ თვეში 5 000 ბოძი შევლუბეთ ჩვენმა თანამშრომლებმა. შეუსვენებლად ვმუშაობთ, მაგრამ ასეა ადამიანის გული, ყოველთვის ყველა კმაყოფილი არ იქნება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა ვაკეთოთ საქმე.

მაგალითად, **ჯინსაპარში** თარჩია ჯებირებში ჩავსვით ისე, რომ წვიმების დროს ვეღარ გადმოვა ნაპირს და ვეღარ დააზარალებს მოსახლეობას.

გეგმა გვაქვს შედგენილი მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად და იმის მიხედვით ვმოქმედებთ, გვყავს მობილური

ჯგუფიც, რომელიც დადის და ამოწმებს, სოფლებში სად რა საჭიროებაა.

ძირითად ყურადღებას ვუთმობთ ქუჩის განათებებს.

ბოლოს **დარჩალო** დავამონტაჟეთ გარე განათების ქსელი. სოფელ ტელმანაძე მივიყვანეთ ქუჩის განათების ნათურები.

ანაკლია-ზუგდიდამდე ეს საკითხი მოგვარებულია.

თვენახევარი მოვუნდით რუხში ეკალბარდების გაჩეხვას, წლების განმავლობაში კაცოშვილი არ იყო იქ ნამყოფი, რომ მზრუნველი ხელი მოეკიდა იქაურობისთვის, ახლა სხვა სამუშაოები გვაქვს დაგეგმილი რუხში.

მოკლედ, რაც შეგვიძლია ვაკეთებთ და ეს ყველაფერი ეტყობა რაიონს და სოფლებს.

გომა გულორდავა, წალენჯიხის გამგებელი: პრობლემები უამრავი დამხვდა. პირველი, რაც აუცილებლად უნდა აღვნიშნო, ეს იყო საბიუჯეტო კრიზისი,

დელი აღზრდის დაწესებულებები. ახლა მიმდინარეობს ამ პრობლემების მოგვარება, თუმცა, სამწუხაროდ, დაახლოებით სამი წლის განმავლობაში ეს პრობლემები ვერ მოგვარდება.

წყალმომარაგების სისტემა კომუნისტური რეჟიმის შემდეგ უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

წალენჯიხა მთავორიანი რაიონია წყალუხვი მდინარეებით და საგზაო ინფრასტრუქტურასაც შესაბამისს საჭიროებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა შარშან და წელსაც გრძელდება მუშაობა. ნაპირსამაგრი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

მოსახლეობის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს თხილი.

ამ ორი წლის განმავლობაში, ყველა ის სახელმწიფო თუ სხვა პროგრამები, ტენდერები, რაც რაიონში განხორციელდა, ყველა მათგანში ჩართული იყო ადგილობრივი მოსახლეობა, 70-80% წალენჯიხელები დასაქმდნენ ყველგან, სადაც არ იყო სპეციფიკური სამუშაოები და საქმე არ ითხოვდა სპეციალისტს.

თანხების შემოღინება რაიონში სოციალურ ფონზეც აისახა.

უძლია გადაადგილება როგორც ფეხით მოსიარულეს, ასევე ტრანსპორტით მოსარგებლესაც. იგეგმება რაიონში ქუჩების რეაბილიტაცია, ორი საბავშვო ბაღის მშენებლობა, სკოლის რეაბილიტაცია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობას გამოეყოფა თანხა, მილიონობაში 190 000 ლარი.

მოსახლეობის დაკვეთით, დაახლოებით, 185 პროექტია დაგეგმილი. ეს არის მათ მიერ შეტანილი, მათი ინიციატივით გამოკვეთილი პრობლემები. კერძოდ, შიდა გზები, წყალმომარაგება, სკოლაშენი დაწესებულებებისთვის გარკვეული ტიპის კონსტრუქციური რემონტი, ინვენტარის შექმნა და ა. შ.

გაზიფიკაციის პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას რაიონში. გუბერნატორის ინიციატივა გახლდათ, გაგვეკეთებინა გაზმომარაგების მარშრუტები, შევისწავლეთ შესაძლო, ალტერნატიული გზები, აბონენტთა საგარეულო რაოდენობა დავადგინეთ, მიმდინარეობს მუშაობა, ჩართულია ენერგეტიკის სამინისტრო და დაახლოებით, ორ წელიწადში

შეიძლება განხორციელდეს ეს პროექტიც.

ელექტროენერჯის კუთხით უამრავი პრობლემა დავგვხვდა. რაიონი სრულად არ იყო გამრიცხველიანებული. ნაკიფუ, მუყავა და



გომა გულორდავა

სხვა სოფლები თვითნებურად მიიმარდნენ ელექტროენერჯიას. ეს საკითხიც მოგვარებულია.

წლეულს რაიონი გადავიდა სასახნიო მომსახურებაზე, სადაც პროგრამულად არის გაწერილი ყველა მოსალოდნელი ხარჯი, რაც ჩვენი ბიუჯეტის სინამდვილეში შეიძლება რეალური იყოს. მაქსიმალურად შევცვავეთ, ბიუჯეტი მეტად ორიენტირებული ყოფილიყო მოსახლეობის ინტერესებზე.

რაიონში 10 000-ზე მეტი ბუნეფიცარია და 9 000-ზე მეტი რეგისტრირებული დევნილი. ეს უკანასკნელნი საცხოვრებლით ყველანი არ არიან დაკმაყოფილებულნი. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად მიმდინარეობს მათი დაკმაყოფილება.

რაც უნდა წარმატებებზე ვისაუბროთ, სოციალური ფონი რაიონში მაინც მძიმე რჩება.

თვითშეფასებებში, ზოგადად, კრიტიკული ვარ, მაგრამ, მიმანინია, რომ მოსახლეობას იმედი დავუბრუნეთ. განსხვავება იგრძნო ხალხმა. თავისუფლად შეუძლიათ აზრის გამოხატვა. 2013 წელს, როცა 2014 წლის ბიუჯეტს ვგეგმავდით და 2014 წელსაც, როცა 2015 წლის ბიუჯეტს ვაყალიბებდით, მთელი რაიონი შემოვიარეთ, შევხვდით მოსახლეობას და ამის მიხედვით დავგეგმეთ პრიორიტეტები. ხალხის ინტერესები არის ჩვენთვის მთავარი.

ასე რომ, ტყუილად ნუ პროვოცირებენ ჩვენი ოპონენტები. „ქართული ოცნება“ მუშაობს!

ირანდა კალანდაძე



წალენჯიხა

სი, ინფრასტრუქტურული პრობლემები და მძიმე სოციალური ფონი.

ინფრასტრუქტურული პრობლემები ძალიან აწუხებდა მოსახლეობას — გზები, მოუწყვსრიგებელი წყალმომარაგება, სკოლაშენი

მდინარე ჭანისწყლის მიდამოებში კუნძულივით ტერიტორიაზე მოსახლეობა ამინდის გაუარესების გამო რაიონს სრულად წყდებოდა, ჩვენ გავაკეთეთ თანამედროვე ხიდი, სადაც ნებისმიერ დროს თავისუფლად შე-

რავების მარშრუტები, შევისწავლეთ შესაძლო, ალტერნატიული გზები, აბონენტთა საგარეულო რაოდენობა დავადგინეთ, მიმდინარეობს მუშაობა, ჩართულია ენერგეტიკის სამინისტრო და დაახლოებით, ორ წელიწადში



კახა რუსინა



კახათა ლაბვილავა



ლაშა გვასალია

„საერთო გაზეთის“ რედაქცია მადლობას უხდის სამერელოზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილეს, ბატონ **კახა რუსინას**, გუბერნატორის პრესსამსახურის უფროსს **კახათა ლაბვილავას**, მწერალ **ლაშა გვასალიას** რეგიონის საქმიანობის ამსახველი მასალების მოძიებაში დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.



რად ადანაშაულავს ლალი მიქავა სააღსრულებო ბიუროს ყოფილ ხელმძღვანელს გიგლა აბულაშვილს?

გორდელის მეუღლე ლალი მიქავა გახლდათ. ორგანიზაციის წესდებაში ხაზგასმით არის მითითებული, რომ: „საზოგადოება პასუხს არ აგებს მისი დამფუძნებლის კერძო ვალდებულებებზე“. რატომ დაგვირგა ამის ციტირება, ამაზე შემდეგ გვექნება საუბარი.

1999 წლის ბოლოს, ტურისტული ფირმა „გლორია-2000“-ის დამფუძნებელმა ინგა ბაბუაძემ (ტრაგიკულად მოკლული) ხარკიანის ყოფილი მეუღლე) თხოვნით მიმართა, დახმარებოდა საზღვარგარეთ ტურისტების გაყვანაში. ლალი მიქავამ ტურისტებისგან აღებული თანხა ნოტარიალური წესით ინგა ბაბუაძეს ჩააბარა. თუმცა „გლორია-2000“-ის დამფუძნებელმა პირობა არ შეასრულა, ტურისტები უცხოეთში არ გაიყვანა და საერთოდ გაიქცა საქართველოდან. კრედიტორებმა კი ბრალი ლალი მიქავას დასდეს და სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა.

– მე მართალი რომ არ ვიყო, ასე თამამად თქვენს წინ არ ვიჯდებოდი და ვერც თვალს გაგიწორებდით! – გვითხრა ლალი მიქავამ. მას ჩვევად აქვს საბუთების წესრიგში მოყვანა, ნებისმიერ ოფიციალურ ქაღალდს ინახავს.

თუმცა სხვაგვარად ფიქრობდა ჩვენი სააღმსრულებლო ბიურო, რომელსაც იმ პერიოდში, სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობისას გიგლა აბულაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელსაც დღეს გარემოს დაცვის მინისტრის პოსტი უკავია. აღძრული

დოლარად შეიძინა და ხარახურად მიიჩნევდა.

რით გაიმართლებს თავს ყოფილი აღმასრულებელი და ახლანდელი გარემოს დაცვის მინისტრი ახლა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაზტი მოხდა – როიალი, რომელზეც „დაისი“ შეიქმნა, გასხვისებულია. ამასთან, ყადაღა დაადეს ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე ლალი მიქავას სახლსაც, რომელიც მას შემკვიდრებით აქვს მიღებული.

2001 წელს სასამართლო გადაწყვეტილებით, ყადაღის აქტი ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა ქონება პატრონისთვის არ დაუბრუნებიათ. უფრო მეტიც, 2002 წელს ლალი მიქავას ქონებას ახალი ყადაღა დაედო. ამის გარდა, ლალი მიქავას ქონება კვლავ ბაღდასაროვის სახლში ინახებოდა მიუხედავად იმისა, რომ ქონების შენახვის ვალდებულება გაუქმებული ჰქონდა.

აი, რას გვიამბობს ამ საქმეზე თავად ლალი მიქავა:

– აგერ უკვე რამდენი წელია უფლებამართებული, დევნილი და დაზარალებული ვარ. ჩემმა მეუღლემ ოთარ გორდელი-ფალიაშვილმა მიანდერდა სახლი, რომელიც ძალადობით და კანონდარღვევით, ფაქტობრივად, წაართვეს. ამის გამო განადგურდა მისი სახელობის სახლ-მუხუხუმი, დაიკარგა ოთარ გორდელის და ჩემი ნოტების მდიდარი ბიბლიოთეკა. როგორც მითხრეს, მაკულატურაში ჩააბარესო. დაკარგულია ჩემი დისკები და კომპოზიციები. ვინც ხელისუფლებას იცნობს, კარგად გამოგებს, რა დიდი დანაკლისია ეს ჩემთვის.

ნადგურება სურდა და რა იყო, თქვენი აზრით, ამის მიზეზი?

– რადგან 2001 წლის მიწურულს მოვიგე სასამართლო პროცესი, წამოვიდა მუქარები – გაგანადგურებო. პირდაპირ გეტყვით, ჩემი ლიკვიდაცია ბაღდასაროვს სურდა, რომელმაც ჩემი სახლიდან ის როიალი წაიღო, რომელზეც ოპერა „დაისი“

– როგორც ვითხარით, მე გავხდი თაღლითური სქემის მსხვერპლი, რომელიც ოთარ გორდელის ისტორიული ნივთების ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად. ამის გარდა, კულტურის სამინისტრომ (საკაშვილის პერიოდში) ინტელექტუალური საკუთრება „ვაზის საგალობელი“-ს ფესტივალი მომპარა. 2008



გიგლა აბულაშვილი

შეიქმნა. თუმცა ამას იგი მარტო ვერ გააკეთებდა. მას გიგლა აბულაშვილი მფარველობდა და იგი ხელმძღვანელობდა ნივთების სახლიდან გატანას.

– დღეს გიგლა აბულაშვილი გარემოს დაცვის მინისტრია.

– დიას, თუმცა მაშინ, სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობისას სააღმსრულებლო ბიუროს ხელმძღვანელობდა. მის ოჯახს, განსაკუთრებით ბებიას, კარგად ვიცნობდი. რას წარმოვიდგენდი, რომ ასე მომექცეოდა, თუმცა... მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქონების დაყადაღების აქტი სასამართლომ ბათილად ცნო, გიგლა აბულაშვილმა მოსამართლის გადაწყვეტილება არ შეასრულა. უარესსაც გეტყვით. 2004 წელს სააღმსრულებლო ფურცელი მქორედ მივიტანე. სამწუხაროდ, ჩემი საქმის დოკუმენტაცია განადგურებული აღმოჩნდა. წარმოუდგენელია, ვინმეს აბულაშვილის გარეშე გაეხდებოდა დოკუმენტაციის განადგურება. დღემდე ეს საქმე ბურუსით არის მოცული.

– ახლა თუ იცით თქვენი ნივთების ადგილსამყოფელი?

– გარკვეული ნაწილის კი. როიალი აღვოკატ გოქსაძის, ანტიკვარული ჭადი და მე-19 საუკუნის ბუფეტი დალი ბოჯგუას სახლშია. გიმეორებთ, ჩემი ქონების წართმევა გიგლა აბულაშვილის და ნიკა მელიას ხელმძღვანელობით მოხდა.

– ნიკა მელია როდის ჩაერთო საქმეში?

წელს სააკაშვილის სასამართლოში მოუგე ამ უწყებას საქმე, რომელსაც ჩემთვის 81 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა. იმ პერიოდში სააღმსრულებლო ბიუროს ნიკა მელია ხელმძღვანელობდა. 81 ათასი დოლარის ნაცვლად ორი ათასი დარი შემომთავაზეს! ამის გამო ჩემმა ადვოკატმა გიორგი ბარამიძემ, რომელიც ახლა იუსტიციის მინისტრის მოადგილეა, სტრასბურგში გაგზავნა ჩემი საქმე. იცით, რაზე მწყდება გული? მაშინ, როდესაც პარლამენტი და ხელისუფლება ანტი-დისკრიმინაციულ კანონს იღებს და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვით არის დაკავებული, დანარჩენი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე არავინ ფიქრობს.

– ახლა რას აპირებთ, გააგრძელებთ ბრძოლას თუ გაჩუმდებით?

– არავითარ შემთხვევაში არ გაჩუმდები! პირიქით, უფრო მეტი შემართებით გავაგრძელებ ბრძოლას. საჩივრით მიმართე მთავარ პროკურატურასთან არსებულ საპროკურორის ადვოკატის კომისიას. საჩივარი საკმაოდ ვრცელია, სადაც ვითხოვ საპროკურორის ადვოკატს და ჩემი ქონების დაბრუნებას. ვთხოვ, გამოიძიონ ყველა მომხდარი ფაქტი, მათ შორის, ჩემი გატაცება და ტყვეობაში ყოფნა, რომელიც ჩაიდინა ბაღდასაროვმა თავის მეუღლესთან ერთად.

გიან ბურდული
551 71 27 07

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ გასაჩივრების სტადიაში იყო, როდესაც აღმასრულებელმა, ვინმე დავით ტაბიძემ „შემოქმედების“ ქონება დააყადაღა და რატომღაც შესანახად ერთ-ერთი მომჩივანის და კრედიტორის, ვინმე ვეიზარ ბაღდასაროვის ბინაში გადაიტანა. მაშინ გიგლა აბულაშვილი იქაინებოდა, რომ თუ შეძლებდა, შეისყიდდა ზაქარია ფალიაშვილის ნაქონ როიალს და გადასცემდა მის სახლ-მუხუხუმს, მაგრამ კრედიტორმა ბაღდასაროვმა ისტორიული ინსტრუმენტი 200 აშშ

ვის. ისტორიული როიალის დაყადაღების და გაყიდვის უფლებაც არ ჰქონდათ, თუნდაც იმის გამო, რომ პროფესიით პიანისტი ვარ და როიალი ჩემი შემოსავლის წყაროდ ითვლება. ამის გარდა, სისხლის სამართლის საქმის დასრულებამდე ჩემი ანტიკვარული ქონება გაყიდეს. ყველაფერთან ერთად, ჩემი ფინანსურად განადგურებაც ჰქონდათ განზრახული. 2002 წელს მოსაკლავად დამესხნენ თავს, მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადავრჩი.

– ვინ იყო, ვისაც თქვენი გა-

თანასწორობა მეგობრობა... რანგების მიღმა

ეს უფრო შენაზა, ვიდრე ეგვიპტე პრემიერ-მინისტრის როლშიც შენა იყო. ასე აეწყო ჩვენი ურთიერთობა. მეგობრობაში თანასწორნი ვიყავით. ნამდვილ მეგობრობაში კი რანგების ტაბელი არ არსებობს. მე, როგორც უფრო მჭევრმეტყველ თამადას, შენა გზას მითმობდა ხოლმე.

ჩემს მეხსიერებას ის შემორჩება მეგობრების იმ მთავრობის პრემიერად, რომლის პრეზიდენტი მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დიდებული ქირურგი ვლადიმერ ბურაკოვსკი იყო. ჩვენი კომპაქტური მთავრობა სავესებით ეტეოდა ჩემი ძმისშვილის დავით (დათუ-ლი) იოსელიანის ბინაში, რომლის კედლებზე ეკიდა ჯერ კიდევ უცნობი მხატვრის ზვერვის ნახატები. ვლადიმერი (ვოვა) იყო მოწაფე დათულის პაპის — აკადემიკოს იოსელიანისა და შემდგომში პროფესორისა და მოსკოვის მთავარი კარდიოლოგის დავით იოსელიანის მასწავლებელი.

მთავრობაში შედიოდნენ აგრეთვე „პერესტროიკის“ ყაიდის სკკპ ცკ-ის ორი პასუხისმგებელი თანამშრომელი — ნიკოლაი (კოლია) შიშლინი და ლეონ (ლიოვა) ონიკოვი. ამ უკანასკნელის ბედ-იბაბი განსაკვირვებელია. მან, შეიძლება ითქვას, საქმიანობა დაიწყო როგორც თბილისელმა სტაჟიანმა სისხლის სამართლის დამნაშავემ! სხვათა შორის, ჩვენი მთავრობაც თბილისური „გადახრით“ გამოირჩეოდა. ვოვა, შენა, ლიოვა, დათულიც და მეც წარსულში „თბილისელი ბიჭები“ გახლდით. „პერესტროიკის“ სამუშაოთა მწარმოებლები კოლია და ლიოვა ხმის ჩახლეჩამდე კამათობდნენ იმის შესახებ, თუ ვინ არის რუსული ჟურნალისტიკის „პირველი კალამი“ — სტანისლავ კონდრაშოვი (სტასიკი) თუ მე. კოლია სტასიკის გულშემატკივარი იყო, ლიოვა — ჩემი. მათს სასტიკ შერკინებებს სამანს დაუდებდა ხოლმე შენა, რომელიც პირველობის გვირგვინს მანიჭებდა მე, როგორც თბილისელ ბიჭს.

აი ასეთი მთავრობა გვყავდა. დრო დამიზნებით ხსნიდა



შენა დედანთან

ცეცხლს ჩვენი მიმართულებით. ერთიმეორის მიყოლებით წავიდნენ მეგობრები, ახლახან კი შენაც წავიდა.

მას ხშირად აღარებდნენ პენრი კისინჯერს. მაგრამ მათ ცოტა რამ თუ ჰქონდათ საერთო — შესაძლოა, ასაკი და ერთგვარი სიღინჯე, ლაპარაკის დროს აუჩქარებლობაც კი. ერთიცა და მეორეც ბრძენთა არეობაც მიეკუთვნებოდა და წყვეტდნენ იმაზე უფრო რთულ საკითხებს, ვიდრე ვინ არის პირველი — სტასიკი თუ მე. კისინჯერი ვერასოდეს განდებოდა პრემიერი ან პრეზიდენტი. პრემიერი იმიტომ, რომ ამერიკაში ამ თანამდებობას პრეზიდენტი იკავებს, ხოლო პრეზიდენტი — იმიტომ, რომ პენრი გერმანიაში დაიბადა (აშშ-ის კონსტიტუციით კი, არამერიკულ მიწაზე დაბადებული ამერიკის პრეზიდენტი ვერ გახდება).

შენა რუსეთის პრემიერ-მინისტრი იყო და შეეძლო გამხდარიყო მისი პრეზიდენტიც, „სემბანკირშინის“ „ტალახთან“ და ტელევილისმწამებლებთან ბრძოლა რომ შეძლებოდა. მახსოვს, მოსკოვში გახურებული წინასაარჩევნო ბრძოლის დროს ჩავიდა. შენამ იცოდა ჩემი გატაცება ფეხბურთით და მი-

მიპატიყა რომელიღაც საერთაშორისო მატჩზე და მის შემდგომ მიღებაზეც.

არასოდეს დამავიწყდება ეს სცენა. შენა და მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, გრძელ პალტოებში გამოწყობილნი, სამთავრობო ლოჟასა და საბანკეტო დარბაზს შორის მიმოდინდნენ. პუბლიკა — მოსკოვისა და რუსეთის პოლიტიკური ბომონდი კედლებს აკრული გზას უთმობს...

იმ დღეებში ქვეყნის გუბერნატორთა უმეტესობამ მოასწრო და ისინი პრემიერ-ლუჟკოვის საარჩევნო ბლოკს მიემხრნენ. მის გაარჯვებაში ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა. და მოულოდნელად ყველაფერი დაინგრა. მასშტაბურ წინააღმდეგობას მიჩვეულნი, შენა და ლუჟკოვი გაუგონარი ცილისწამების წინაშე დაიბნენ და ბრძოლის ველი მიატოვეს.

ერთხელ მწერალთა სახლის რესტორანში ვსადილობდით. თვალებს არ ვუჯერებდი: შენას მრჩეველთა წინასაარჩევნო შტაბი — სწორედ იგი წარმო-

ადგენდა სუფრის წვერთა უმრავლესობას — გამოიყურებოდა როგორც საიდუმლო სერობა, სადაც ყველა მოციქული იუდა იყო. გამოაუნა პრემიერის სიბრძვემ და ოდნავ მოგვიანებით ეს ლუჟკოვსაც ვუთხარი. არც მან დამიჯერა.

ვიდრე გოლიათები ტელემწერებთან საქმეებს არჩევდნენ, ბანკირებმა ქვეყანა იყიდეს და ცისფერარშიან ლანგარზე „მეფე ბორისს“ მიაბრუნეს...

შენა არასოდეს ყოფილა „პერესტროიკის“ სამუშაოთა მწარმოებელი. ეს არც მიესადაგებოდა მას. მაგრამ მარტო ეს არ იყო მიზეზი. მისი ეკონომიკური შეხედულებები უფრო ფართო იყო და არა იმწამიერი... გორბაჩოვმა ლონდონში მრჩევლად მაინც ის წაიყვანა. შენა მეტისმეტად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას უნდა ვე-

თხელ მოსკოვიდან მირეკავს ამერიკაში და მასთან ერთად მალაიზიაში წასვლას მთავაზობს, რომ ჩანაცვლოს არატრანსპორტაბელურ მდგომარეობაში მყოფი „მეფე ბორისი“. ასეთ წინადადებებზე უარს არ ამბობენ და მეც გაფერინდი.

სამიტის დასასრულს შენამ ვრცელი ინტერვიუ მომცა. ახლა მინდა გაამბოთ ის, რაც ინტერვიუს მიღმა დარჩა. საუბარი შენო ლეფოლტს, რომელმაც მალაიზია არანაკლებ მოცელა, თუ მეტად არა, ვიდრე რუსეთი. „ხომ ხედავ, აქ რა ხდება, — მე უნებნა შენა. — ყველაფერი, რაც მალაიზიაში სესხად აიღო, აითვისა. ცათამბჯენები კუალალუმპურში, ახალი გზატკეცილები, შეიარაღებული ძალებისთვის განკუთვნილი ყაზარმები... ეს, შეიძლება ითქვას, პოზიტიური ლეფოლტი იყო. რა მოხდა



კონტროლებინეთ ჩვენ, ჟურნალისტები, რომელთა შორის მისი უახლოესი მეგობრები ვიყავით; მაგალითად — ტომას კოლესნიჩენკო (ტომი) და მე, რომლებსაც თავისზე უფრო დიდ პროფესიონალებად მივაჩნდი.

სწორედ ლონდონში გაჩნდა ჩვენი პირველი და ერთადერთი უთანხმოება. ბი-ბი-სი-მ გამართა „მრგვალი მაგიდა“, რომლის დროსაც გორბაჩოვისგან მოვითხოვდი ლამის კომუნისმის უარყოფას (სხვათა შორის, მიხეილ გორბაჩოვს, მას შემდეგ, რაც კომუნისტობაზე უარი თქვა, ჩემი შეკითხვებით გაბუდმებით გულს ვუწყალებდი). შენამ, როგორც ამბობენ ხოლმე, ხალიჩაზე გამიწვია. მაგრამ არა საჭიდაო, არამედ ბუხარის ხალიჩაზე. ვადაიარებ — ძნელი და მტკივნეული იყო იმის თვალყურის დევნება, როგორ ურტყამდა ის თავისიანებს და როგორ ასრულებდა ცეცხლის გენერალური მომთხინიერების ნებას.

ვის არ ახსოვს, როგორ ამოათრია შენამ დედა-რუსეთი ლეფოლტის ჭაობიდან. ერ-

რუსეთში? ჩვენც ავიღეთ დიდი ვალები, მაგრამ...“ „მოიპარეს?“ — ჩავურთე მე. „კი არ მოიპარეს, გაანიავეს“, — შენას არ უყვარდა კატეგორიული სიტყვები.

ახლა ხანდახან ვეფიქრობ ხოლმე — იცოდა კი მან, რომ პრემიერობიდან მის გადადგომაში სწორედ ამ ვალებმა ითამაშა მთავარი როლი? რამდენის ქურდობაც შეიძლებოდა, მოიპარეს და „ოჯახმა“ იმაზე ფიქრი დაიწყო, როგორ შეენარჩუნებინა ნამარცხი „მამამთავრის“ წასვლის შემდეგ. საეჭვოა, რომ პრემიერსა და საგარეო დაზვერვის ყოფილ უფროსს არ სცოდნოდა ფაქტები და თუნდაც ძირითადი ციფრები. მაგრამ მას არ შეეძლო, არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ფული ქვეყნის ხელმძღვანელის იდეოლოგიად იქცა. ის სხვა ემპირიებში დაფრინავდა, სხვა კატეგორიებით აზროვნებდა...

შენა ცდილობდა გაეგო „ოჯახისთვის“, მაგრამ მას ბინების, სახლების, მით უმეტეს — მთლიანად სახელმწიფოს მმართველთა ჩვეულებრივ ხროვად



ელუარდ შევარდნაძესთან



კოფი ანანათაძე

მის ემოციას. პირველი მე-
უღლის გარდაცვალება.
შვილის – საშას სიკვდი-
ლი... საშა ნიჭიერი ფურნა-
ლისტი იყო. მამის კვალს
მიჰყვებოდა, შუა აღმოსავ-
ლეთში ფურნალისტად მუ-
შაობდა. საშა ფსევდონიმით
წერდა. ვაჟის სიკვდილზე
ჟენიამ მითხრა:

– შენ, ორი ვაჟის მა-
მამ, კარგად იცი, რომ მა-
მები კი არ უნდა მარხავდ-
ნენ თავიანთ ვაჟებს, არა-
მედ შვილები – მამებს.

საშას ამქვეყნიდან წას-
ვლა ჟენიას შეუხორცებელ
ჭრილობად დარჩა.

ჟენია შეუდრეკელი და შეუ-
ვალი იყო, თუმცა... მახსენდება
საქართველოს ერთ-ერთი დიდი
პარტიული მუშაკის ისტორია.
გვარს არ დავასახელებ. მას თავს
დაატყდა ელუარდ შევარდნაძის
რისხვა, რომელიც იმ დროს საბ-

არ აღიქვამდა! არ შეეძლო წარ-
მოედგინა სახელმწიფოს იდეო-
ლოგია, ფილოსოფია და მისი
არსი როგორც ნამარცვი სიკეთე,
რომელიც უნდა გადაძალად. სტა-
ლინი, რა თქმა უნდა, ტირანი
იყო, მაგრამ მას სულ ორი კი-
ტელი ჰქონდა – ყოველდღიური
და საზეიმო. ბრეჟნევი კომუნის-
ტური შრომის სიბარიტი იყო.
მისი ქალიშვილი მოსკოვის დი-
დი უნივერსიტეტის სპეციალურ
სექციაში იაფად ყიდულობდა
ქურქებს და გადაყიდვების
მეშვეობით სპეკულანტობდა. სამ-
კილოგრამიანი ხიზილალის ქი-
ლისთვის შეიძლება მაქსიმალ-
ური სასჯელი გამოეტანათ. სა-
ეჭვოა, რომ ბრეჟნევი და მის
ოჯახს (ამჯერად ბრჭყალების
გარეშე) ესიზმრებოდათ სიმაღ-
ლეები ლაჟვარდოვან სანაპიროზე
ან მაიაში, არარსებული კუნძუ-
ლების ზესაიდუმლო ანგარიშებ-
ზე გადარცხული მილიარდები
ან თავისი შვილიშვილები ოქს-
ფორდსა და კემბრიჯში. კუტუ-
ზოვის პროსპექტზე ან კუნცეკო-
ში მღებარე ბრეჟნევის ბინა ახ-
ლა საშუალო მილიონერსაც კი
არ დააკმაყოფილებს. მილიარდე-
რებზე რომ არაფერი ვთქვათ.
ყველანი ლონდონში ან ნიუ-იორ-
კში არიან. მაგრამ ლეონიდ
ილიჩსაც კი სჯეროდა ძნელად-
წარმოსათქმელი სიტყვის – კო-
მუნიზმის, ისევე როგორც მის-
გან ჩამოგდებულ ზრუნოვს -
„სოციალიზმის“. ესენი კი...

ჟენიას არ სურდა, ყოფილიყო
ორმოცი ყაჩაღის გამოქვაბულის
საერთო სალაროს გასაღების
მცველი. „ოჯახი“ ამას მალევე

ნისტრობის დროს დათულისთან
ან რომელიმე ჩვენგანთან მოდიო-
და როგორც კონსპირაციულ ბი-
ნაში. როცა სავაჭრო-სამრეწვე-
ლო პალატის თავმჯდომარე გახ-
და, ჟენია თითქოს ხელახლა და-
იბადა. ნელ-ნელა გამოიცემოდა
მისი წიგნები. მასთან სტუმრობ-

დნენ ძველი მეგობრები...
ვინც შორიდან აკვირდებოდა
პრიმაკოვის ცხოვრებას, შესაძ-
ლოა მოსჩვენებოდა, რომ... ატ-
ლანტის ოკეანეზე თვითმფრინა-
ვის უკან მობრუნება უკვე საერ-
თაშორისო ურთიერთობების ის-
ტორიის კუთვნილებაა. რუსე-
თის პრემიერ-მინისტრმა გადაწყ-
ვიტა, რომ არ შეეძლო მალაპა-
რაკები გაემართა ამერიკის
პრეზიდენტთან, რომელმაც კო-
სოვოს უმოწყალოდ დაბომბვის
ბრძანება გასცა. იმ თვითმფრინ-
ავში მე არ ვყოფილვარ. რამ-
დენჯერმე ვცადე, წარმოემდგინა
ჟენიას განრისხებული სახე, მაგ-

ბილ კლინტონთან



ჭოთა კავშირის საგარეო საქმე-
თა ყოვლისშემძლე მინისტრი
იყო. პრიმაკოვმა და ბურაკოვსკიმ
მართლაც რომ გამოჰკლიჯეს
თბილისის სამართალდამცავ ორ-
განობებს და დიდხანს მოსკოვის
საავადმყოფოებში მალავდნენ.
როცა შევარდნაძემ ეს ამბავი იყ-
ნოსა, წარმოუდგენლად განრისხ-
და. აკადემიკოსებმა ძლიერ გადა-
იჩინეს თავი. ასეც ხდებოდა...

ჩემს ყველა დაბადების დღეზე
ჟენია თამაშობდა. უკანასკნელად
ეს იყო შარშან, აპრილში. რეს-
ტორანში შევიკრიბეთ. ჟენია
მხიარულობდა და ჩვენ შორის
ერთადერთი იყო, ვინც არაფს
სვამდა. ჩემი შვილთაშვილი ნი-
კიტა დაუფარავი შიშით შეჭყუ-
რებდა რესტორნის კედლებს,
რომლებიც ძლიერი ველური მხე-
ცების თავებით იყო „მორთული“.
ჟენიამ შეამჩნია ნიკიტას შეშფო-
თება და მისთვის დამახასიათებ-
ელი ოდნავ დამცინავი ინტონაცი-
ით უთხრა:

– ეს ჯერ კიდევ ყველაფერი
როდია. წარმოიდგინე, რა მოხდე-
ბა, თუკი ყველა მხეცი აქ შე-
მოცვივდება.
– სულაც არ მეშინია მათი,
მაგრამ კედლების „მორთვა“ მხე-
ცების თავებით არ შეიძლება, –
უპასუხა ნიკიტამ.

ყველანი გავხვედით, ჟენიამ
კი თქვა:
– მართალს ამბობ, ნიკიტა.
ბრეჟნევისა და ელცინისგან
განსხვავებით, პრიმაკოვს ნადი-
რობა არ უყვარდა, მით უმეტეს
– ორფეხიან მხეცზე, რომელსაც
აღამიანის სახე აქვს.

ჟენიამ
კი თქვა:
– მართალს ამბობ, ნიკიტა.
ბრეჟნევისა და ელცინისგან
განსხვავებით, პრიმაკოვს ნადი-
რობა არ უყვარდა, მით უმეტეს
– ორფეხიან მხეცზე, რომელსაც
აღამიანის სახე აქვს.

ყველანი გავხვედით, ჟენიამ
კი თქვა:
– მართალს ამბობ, ნიკიტა.
ბრეჟნევისა და ელცინისგან
განსხვავებით, პრიმაკოვს ნადი-
რობა არ უყვარდა, მით უმეტეს
– ორფეხიან მხეცზე, რომელსაც
აღამიანის სახე აქვს.

ჟენიამ
კი თქვა:
– მართალს ამბობ, ნიკიტა.
ბრეჟნევისა და ელცინისგან
განსხვავებით, პრიმაკოვს ნადი-
რობა არ უყვარდა, მით უმეტეს
– ორფეხიან მხეცზე, რომელსაც
აღამიანის სახე აქვს.

ჟენიამ
კი თქვა:
– მართალს ამბობ, ნიკიტა.
ბრეჟნევისა და ელცინისგან
განსხვავებით, პრიმაკოვს ნადი-
რობა არ უყვარდა, მით უმეტეს
– ორფეხიან მხეცზე, რომელსაც
აღამიანის სახე აქვს.



მიხვდა და არასაიმედო გასაღე-
ბის მცველი თავიდან მოიცილა.
ამას საკუთარი, ანუ ჩვენი
უპირატესობებიც ჰქონდა. რაც
უფრო შორდებოდა კრემლის ხე-
ლისუფლების სათავეს, მით უფ-
რო უახლოვდებოდა დათული
იოსელიანის ბინას. პრემიერ-მი-

რამ არ გამოვიდა. ერთხელ ჩე-
მი წარუმატებელი მცდელობების
ამბავი ვუთხარი. ჩაიცინა და მი-
პასუხა:
– მაჩვენე მეორე კოსოვო და
გაჩვენებ ჩემს რისხვით სავსე სა-
ხეს...
უდიდესი ნებისყოფა აკაუბდა

saerTo gazeTis- iuridiul i konsul tacia



„საერთო გაზეთის“ მკითხ-
ველთა შეკითხვებს პასუხობს
გაზეთის იურიდიული კონსულ-
ტანტი, ადვოკატი
მთხარისა
კველიძევილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

-გთხოვთ, გავაცნოთ ჩამო-
ნათვალი იმ საჯარო ინფორმა-
ციებისა, რომელთა გასაიდუმ-
ლოება დაუშვებელია.

-საქართველოს ზოგადი ად-
მინისტრაციული კოდექსის 42-ე
მუხლის მიხედვით, ყველას აქვს
უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შე-
სახებ, აგრეთვე მონაცემები იმ
საშიშროების თაობაზე, რომე-
ლიც ემუქრება მათ სიცოცხლეს
ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების
საქმიანობის ძირითადი პრინცი-
პები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების
სტრუქტურის აღწერა, მოსამსა-
ხურეთა ფუნქციების განსაზღვ-
რისა და განაწილების, აგრეთვე
გადაწყვეტილებათა მიღების წე-
სი;

დ) საჯარო დაწესებულების
იმ საჯარო მოსამსახურეთა ვი-
ნაობა და სამსახურებრივი მისა-
მართი, რომელთაც უკავიათ თა-
ნამდებობა ან ევალებათ საჯარო
ინფორმაციის გასაიდუმლოება
ან საზოგადოებასთან ურთიერ-
ობა და მოქალაქეთათვის ინ-
ფორმაციის მიწოდება;

ე) კოლექტიურ საჯარო და-
წესებულებებში გადაწყვეტილე-
ბის მისაღებად გამართული ღია
კენჭისყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე
პირის არჩევასთან დაკავშირებუ-
ლი ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების
საქმიანობის შესახებ აუდიტო-
რული დასკვნებისა და რევიზიე-
ბის შედეგები, აგრეთვე, სასა-
მართლოს მასალები იმ საქმეებ-
ზე, რომელშიც საჯარო დაწესე-
ბულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების
გამგებლობაში არსებული საჯა-
რო მონაცემთა ბაზის სახელწო-
ლება და ადგილსამყოფელი, აგ-
რეთვე საჯარო მონაცემთა ბაზი-
სათვის პასუხისმგებელი პირის
თან ერთად.

ავეჯის
ბალაზილვა
593 20 46 87

რა სარგებლობა მოაქვს მაშალს, ვიხით, მაგრამ რა სარგებლობა მოაქვს ნატოს, ჯერ უხეობია



ვისაც ნანა მჭედლიძის მიერ 1979 წელს გადაღებული კომედიური ფილმი „იმერული ესკიზები“ აქვს ნანახი, აუცილებლად გაახსენდება გასულ კვირას. მესამე წელია, ფაქტობრივად, მდუმარე პარლამენტარმა, ბევრისთვის საყვარელმა რეჟისორმა და მსახიობმა, ბატონმა გოგი ქავთარაძემ ისეთი რამ თქვა სესიაზე, რაც ფილმის პერსონაჟის, ასევე წლების მანძილზე მდუმარე ბავშვის პასუხის ტოლფასია და შესაბამისად, ისეთივე მძაფრი რეაქცია მოჰყვა, როგორც ფილმშია. არადა, ან მასწავლებელი რატომ გადაირია (ფილმში) როცა ბავშვმა შეულამაზებელი სიმართლე თქვა, ან ქართველი ე.წ. პოლიტიკოსები, გაუგებარია.

მასწავლებლის დასმულ შეკითხვაზე „რა სარგებლობა მოაქვს მაშალს?“ ბავშვმა უპასუხა, რომ „მამალი ჩინჩლაკს“ – ცამდე მართალი იყო ბავშვი! ბატონმა გოგომ რაღა თქვა ტყუილი? კაცმა აბსოლუტურად სამართლიანი განცხადება გაახმაურა საქვეყნოდ და სურვილი გამოთქვა, როგორმე მიეწოდოს ეს განცხადება NATO-საც: – „რას გვახვეწინებ ამ NATO-ში შესვლას?! დავიჯერო, NATO-ს წევრი ქვეყნიდან ზოგი უფრო მეტად იმსახურებს წევრობას ვიდრე ჩვენ?! შეხედეთ, როგორ იბრძვიან ჩვენი ბიჭები NATO-ს ჯარისკაცების მხარდამხარ... თუ გვიფიქრია იმაზე, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნებში ჩუმ-ჩუმად ქირქილებენ როცა ვიხვეწებით NATO-ში გაწევრიანებაზე და ისინი არ გვიღებენ. როგორც ამბობენ, აღამიანის მსგავსად, ქვეყანასაც აქვს თავმოყვარეობა – ეს უნდა

გვახსოვდეს! იქნებ, ჩვენი გზავნილი NATO-ში მივაწოდოთ ჩვენს მეგობრებს და გავაგებინოთ ის, რასაც ვამბობ.“

მხოლოდ მეზობელი ქვეყნებში კი არა, მეგობარი ქვეყნის საუნაშიც კი ქირქილებენ ამავე თემაზე ქართველი ძებნილები



და ჩვენსავე ქვეყანაშიც, ვისაც თავში ჩალა არ უყვია ტვინის ნაცვლად – არ არის საქირქილო თუ?!

კონკრეტულად საბრალო



კადრი ფილმიდან „იმერული ესკიზები“

საქართველომ რა დააშავა თორემ, როდესაც ქვეყანა თავმოყვარეობას დაკარგავს, სწორედაც რომ საქირქილოა იმ ქვეყნის ყველა პოლიტიკანი რომელიც პოლიტიკოსობას იბრძვებს...

„ამ განცხადების მთავარი არსი ის არის, რომ დეპუტატი NATO-სკენ სწრაფვას უთავმოყვარეობას უწოდებს. მსგავსი ანტიდასავლური განცხადება უკვე მესამეა, რომელსაც აკეთებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. ამ შემთხვევაში ჩემთვის ცალსახაა, რომ ამ ყველაფრის უკან დგას „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა ივანიშვილის ჩათვლით. ეს ყველაფერი კავშირშია ბურჯანაძის მოგზაურობასთან მოსკოვში“, – განაცხადა ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ „ჭუჭყვიან შოპოლად“ შერაცხულმა დავით დარჩიაშვილმა.

ბატონი გოგის განცხადებას სასწრაფოდ გაემიჯნა „რესპუბლიკური პარტია“ ასევე ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ „ენაგადმოვლებულ ვარანად“ შერაცხული დავით ბერძენიშვილის სახით და კონკრეტულად ამერიკული ვაზელინით გაპოხილი ე.წ. პოლიტიკოსები.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბატონი ქავთარაძის მიერ გამოთქმულს აზრს ისეთი რეაქცია მოჰყვა მავანთა მხრიდან, თითქოს იმ ბავშვივით ეთქვას, NATO-ს ის სარგებლობა მოაქვს, რომ გვჩინილავსო... ან, როგორც ქართული ანდაზა ამბობს „ბებური მოტ...ეს და კარი მიუხურესო“... არადა, მართლაც რომ მოგვიხურეს, თან მჭიდროდ?

საქირქილოა, აბა, რა არის, როცა საქართველოს ერთი თავდაცვის მინისტრი (ყოფილი), ირაკლი ალასანია უკვე NATO-ში იყო ოლონდ NATO-ს გარეთ, მეორე, მოქმედი მინისტრი კი იმ NATO-ში შესასვლელად „მაპ-ზე უკეთესით“ ხელ-

ში მიდის მარტო, რომლის კარსაც მინისტრისხელა ბოქლომი ჩამოჰკიდეს.

საქართველო მასხრადაღებული მაშინ აღმოჩნდა, როცა ყველას ნაცვლად კარნევის ცენტრის ექსპერტმა კავკასიის საკითხებში თომას დე ვალმა საჯაროდ თქვა: – „მართალია, NATO-ს წევრობის პერსექტივა არ ჩანს, თუმცა მათ გადაწყვეტეს რომ თუაკეთონ ყველაფერი, რათა იყვნენ NATO-ში NATO-ს გარეთო.“ ახლა კი სამართლიანი საყვედური ეჩვენებათ ზოგიერთებს სამარცხვინოდ...

ლიად გვითხრა გერმანიის ელჩმა ორთვინ ჰენიგომ: – „საქართველომ უნდა გააცნობიეროს ორი რამ: პირველი – II მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთთან ჩამოყალიბებული სტატუს-ქვო და პოლიტიკური ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ გერმანიისთვის, არამედ მთელი დასავლეთი ევროპისთვის. ეს ურთიერთობა მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტია დასავლეთ ევროპაში და მას ევროპის პოლიტიკური ელიტა თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიიჩნევს.



„საქართველო ყველაზე შორს არის იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც სურთ NATO-ს წევრები გახდნენ; ბევრად ადვილი იქნებოდა, საქართველო ევროპის ცენტრში რომ ყოფილიყო, ალიანსის წევრებით გარშემორტყმული“... არის სხვა პრობლემაც – ტერიტორიული კონფლიქტები როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებთან ახლოს, ვგულისხმობ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს; ასევე, საგულისხმოა საკითხი, რა სტატუსი შეიძლება ჰქონდეთ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს საქართველოს NATO-ში გაწევრიანების შემთხვევაში, როგორ მოერგება მათ NATO-ს მე-5 მუხლი და ა.შ – ჩაგვიგვირისტა NATO-ს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაპიუმ.


ამიტომ, ჩვენ არ ვაპირებთ, ეს ყველაფერი ქარს გავატანოთ. შეხედეთ რუკას დასავლეთ ევროპის გადმოსახედიდან და გაიხსენეთ, რა დაუჯდა დასავლეთ ევროპას ორი მსოფლიო ომი და რუსეთის როლი ამ ომებში. ახლა, როცა ეს ყველაფერი მოგვარდა და ევროპაში სტაბილურობამ დაისადგურა, ბუნებრივია, ამას საქართველოს გამოც კი ვერ შეველევიტო.

გასაოცარი ამბავია, ე.წ. დასავლეთსაც კი მოწყინდა საქართველოსთვის „NATO-ს კარი ღიაა-ს“ ძახილი. დაწვებული აშშ-ის პრეზიდენტიდან დამთავრებული ალიანსის ნებისმიერი წონიანი წევრი ქვეყნის ლიდერისა თუ დიპლომატიური რანგისა, ყველამ სათითაოდ გვითხრა, რომ NATO-ს კარი მჭიდროდ მოგვიხურეს გაურკვეველი ხნით (თან კარგა ხანია, 2008 წლის აგვისტოდან) და ახლა ეს ჩვენი ქართველი ე.წ. პოლიტიკოსები რაღას მიედ-მოედებიან? საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდომ ძალზე პირდაპირ და მეგობრულად განაცხადა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი ვერ გახდება და ესენი რომელი NATO-სკენ სწრაფვას აძლიერებენ? ან სად მიბოდილობს 1%-იანი რეიტინგის მქონე პარტიის და „კაბელეში ჩაკარგული“ მეორე პარტიის ალიანსი“, რომელ კარზე აპირებენ კაკუნის გაგრძელებას, ანუ რას მიედ-მოედებიან?

გიორგი ჩხეიძე

გაბრძენილი. დასაწყისი
იხ. „საერთო გზები“ №22-24

XX საუკუნის დასაწყისამდე მასონ შეთქმულთა მრავალი გეგმა ინგრეოდა უდიდესი მონარქიების – რუსეთის, გერმანიის და ავსტრიის – უნგრეთის არსებობის გამო. 1914 წლამდე ეს მონარქიები ევროპისა და მსოფლიოს ქრისტიანული განვითარებისა და სტაბილურობის საძირკველს წარმოადგენდნენ. მათ შორის ომის პროვოცირებით იულო-მასონურმა ინსპირატორებმა კაცობრიობა ჩააგდეს მსოფლიო სასაკლაოში, რაც იქცა ევროპაში ქრისტიანული ცივილიზაციის დასასრულის დასაწყისად. საფრანგეთის რევოლუციაც ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მასონების ხელშეწყობით მოხდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ საიდუმლო იულო – მასონური ხელისუფლების ცენტრი აშშ-ში გადავიდა. პირველმა მსოფლიო ომმა აშშ-ს დაპრესიდანაც გამოიყვანა და დიდი მოგებაც მოუტანა. სხვის ომში ხეირის ნახვის სურვილი დღემდე მოკვეთათ... სტალინი, რასაკვირველია, მიმდინარე მოვლენების საქმის ყურში იყო. ფლობდა ინფორმაციას, რევოლუციური ჟინით შეპყრობილი თანაპარტიელები საიდან და ვისგან ფინანსდებოდნენ და ვისთან იქნებოდნენ ვალში. ცნობილი ფაქტია, რომ ტროცკი აშშ-დან 10000 დოლარით დაბრუნდა, ეს ის თანხაა, რაც ჯიბეზე ჰქონდა. შეიძლება, რევოლუციის ორგანიზებისთვის დღეს სასაცილო თანხაა თუმცა მაშინ არც აღნიშნული თანხა იყო ცოტა და ბევრად მეტს საიდუმლო შეკავშირებები გადასცემდნენ. სტალინს კი პარტიის დასაფინანსებლად ხან ოლიგარქების დაყარება უწევდა, ხან – საფოსტო დილიჟანსი. ცნობილი ფაქტია, რომ ეს საქმეც მშვენიერად გამოხდოდა. 1908 წლის ივლისის ცხელ დღეს ბაქოს პორტში უკვე რამდენიმე წუთში გასამგზავრებლად გამზადებულ თბომავალს, რომელსაც საკმაოდ სოლიდური დაცვა აცილებდა, რადგან აზერბაიჯანის ბანკის ფული და ოქრო გადაჰქონდათ, ორი ფორმანი კაცი მიუახლოვდა და ბორტზე ასვლა მოითხოვა შემოწმების მიზნით. სანამ პროტესტს გამოთქვამდნენ, დაცვის მისამართით ცეცხლი გაიხსნა და იმ კაიუტაში შევარდნენ, სადაც შევიცარული სეიფი იდგა, რომელიც, წესით, ვერავის უნდა გაეტეხა. სეიფი ახმედმა უმოკლეს დროში გააღო. თანხა, რომელიც მაშინდელ მილიონ ორასიათას და ახლანდელ 30 მილიონ დოლარს უდრის, ტომარებში ჩაყარეს და გემბანზე, სადაც უკვე პოლიციელების აღფა იყო, ხელგაწეული გავიდნენ. პოლიციელები და დაცვა დარწმუნდნენ, რომ დამნაშავეები დახვდნენ და წამით ყურადღება მოაღწეს, თუმცა, მოულოდნელად კატერი მიუახლოვდათ, სადაც შესანიშნავი ნახტომით ორივე დამნაშავე ნადავლთან ერთად გაუჩინარდა. ეს იყო საუკუნის მარცვა პარტიული მიზნებისთვის, ამ კარგად დაგეგმილი ოპერაციის თანამონაწილე შემდგომში აზერბაიჯანის პირველი პირი გახდა. ბაქოში ცნობილი ფაქტია, კობას მიერ ოლიგარქის



სტალინი

სტალინი – გაბია, ოკუპაციური და ლურჯი ზეისა

გატაცება და 70 მილიონი დოლარის გამოძალა. საოცარია, არც ერთ წყაროში არ მოიპოვება ის ფაქტი, რომ თუნდაც ერთხელ ნაყარადი თანხა პირადი მიზნებისთვის მოეხმარებინოს. რევოლუციონერობიდან გარდასახული კრიმინალური ავტორიტეტი მარცვით, ოლიგარქების დატერორებით მოპოვებულ თანხას პარტიის აღორძინებას ახმარდა. საინტერესოა, ყაჩაღობის დროს იყენებდა თუ არა ზებუნებრივ შესაძლებლობებს, შიში რომ მასთან არ მეგობრობდა, ფაქტია. კობა მიზნისკენ მიმავალ ურთულეს გზაზე ექვსჯერ იჯდა ციხეში, ექვსჯერ გადასახლებაში იყო, ოთხჯერ კი გაიქცა. მოსასმენად იოლია, არადა, გადასახლებაში, იმ არანორმალურ ყინვაში, სრულ იზოლაციაში გაძლევა არ იქნებოდა იოლი. როგორც ცნობილია, კობა არც იქ კარგავდა დროს და დაფარულ ცოდნას ეძებდა. ერთ-ერთი გადასახლების წინ ციხის ექიმი საშუალოდ დამშვიდობებია დარწმუნებული, რომ მისი ფილტვები მკაცრ კლიმატს ვერ გაუძლებდა და დაიღუპებოდა. გაუძლო, გაიქცა და თითქმის 50 გრადუსი ყინვაში ოთხი დღე ირბინა, ვიდრე დასახლება არ დაინახა და რამდენიმე საათი ძალაგამოცილილმა ყინულზე არ დაისვენა, შემდეგ კი 24 საათი ეძინა. იქ გაიცნო შამანი კიტ-კაია. ბოლო გადასახლებამ 1913 წლის 25 აგვისტოს მოუწია ტურუხანსკის ოლქში, დაბა კურეიკაში. განსაკუთრებული დაცვის თანხლებით გააცილეს, რადგან ინფორმაციას გამოუსწორებელ დამნაშავეზე არცთუ ცო-

ტას ფლობდნენ. აღნიშნულ ოლქში, ძირითადად, პოლიტ.პატიმრებს ასახლებდნენ. მასთან ერთად იმგზავრა იაკობ სვერდლოვმა. გადაადგილების ერთადერთი საშუალება თბომავალი იყო, რომელიც სამ თვეში ერთხელ დადიოდა მდინარე ენისეიზე, ან ძალღებულებული მარხილი, რო-

ნიჭის რეალიზება და ერთ-ერთ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა, თუმცა მას არც გარეგნობა ჰქონდა და არც ორატორული ნიჭი, ამიტომ ტრიბუნიდან სტვენით გააცილეს, ჰიტლერი განადგურებული იყო თავისი წარუმატებლობით, კენის სამხატვრო აკადემია-



გურჯივენი სანსის დროს

მელიც მათთვის ფუფუნება იყო. სვერდლოვი 200 კილომეტრის დაშორებით იყო გადასახლებული. იგი თავის მოგონებებში იხსენებს, როგორ მოახერხა, ძაღლებშემბული მარხილის შონა, გაეპარა ზედამხედველს და ჩააკითხა ერთ ზამთრის სუსხიან დღეს კობას. მის მასპინძლობას, საოცარი შეგუების და ბრძოლის უნარს მკაცრ პირობებთან იგი დიდი სიყვარულით აღწერს მემუარებში. საოცარია, მაგრამ კურეიკიდან გაქცევა კობას არც უცდია, სამაგიეროდ, ეძებდა ზე-

ში ორჯერ ჩაიჭრა, ომის შემდგომ სცადა, თავის ქვეყნის განვითარების გეგმა ხალხისათვის გაეცნო, არ მოუსმინეს, ის განადგურებული მიუახლოვდა მდინარეს და როცა გადაწყვეტილება მიიღო, დაესრულებინა სიცოცხლე, ნაცნობი ხმა მოესმა. დაფიქრდა, ეს ის ხმა იყო, რომელმაც ომში იმ ადგილის დატოვება უბრძანა, რომელიც ცოტა ხანში დაიბოძა. გადაწყვეტილება მყისიერად შეიცვალა და იმ მშვენიერი აღნაგობის კაცს გამოელაპარაკა. ეს კაცი კი კარლ ჰუსს ხო-

ფერი გახლდათ. გურჯივეის მიერ შექმნილი „ჭეშმარიტების მაძიებელი“ სამხოს წევრი. რომლის ვინაობას, როგორც დანარჩენი წევრებისა, გურჯივეი არასდროს ამხელდა. თუმცა ამ შეხვედრის დროს კარლი უკვე „ტულეს სამხოს“ დამფუძნებელი და აქტიური წევრი გახლდათ. იგი წლების განმავლობაში მოგზაურობდა გურჯივეთან ერთად დაფარული ცოდნის საძიებლად, როგორც ტიბეტში, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში. და თუ გურჯივეის ოცნება ზეადამიანის შექმნა იყო, კარლს არიული რასის აღორძინება სურდა. ჰიტლერი „ტულეს სამხოს“ წევრი გახდა. ორდენი სეიოზული მაგიური პრაქტიკით იყო დაკავებული. ერთ-ერთმა წევრმა ქალბატონმა ჰიტლერში გერმანიის მხსნელი ამოიცნო. ამიტომ მის განვითარებაზე სხვადასხვა კუთხით, სამხოს თითქმის ყველა წევრი მუშაობდა. კარლი ჰიტლერს ასწავლიდა, როგორ უნდა მოეხდინა მასზე ზემოქმედება, შთაგონების ხერხებს, მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა რიტუალებში, მოგზაურობდა. დადგა მისთვის ნანატრი დღეც, როცა სიტყვით უნდა გამოსულიყო, თუმცა იმ წარუმატებელი გამოცდის მწარე მოგონება მოსვენებას არ აძლევდა, ტრიბუნაზე ენერჯის მოზღვაება იგრძნო, თითქოს მასში ჩასახლებული სხვა პიროვნება იყრობდა ათიათასობით მსმენელს, აფიტირებულ ხალხი ოვაციებით და ტაშით აცილებდნენ მომავალ ფიქრებს. მას გამოუვიდა! თავის სიძლიერეში დარწმუნდა და ასე დარჩა 1945 წლის 22 ივნისამდე. ინგლისი და აშშ ყურადღებით აკვირდებოდნენ მის განვითარებას, ხელს უწყობდნენ, რადგან მასში ნაკლებ საშიშროებას ხედავდნენ, ვიდრე სსრ კავშირის განვითარებაში, სსრკ მათთვის უფრო დიდი საფრთხე იყო...

უცნობია, რატომ დაიძაბა ურთიერთობა გურჯივესა და სტალინის შორის, ცნობილია ის ფაქტი, რომ გურჯივეის ყველა გამოქვეყნებულ წიგნს თუ წერილს სტალინი ყურადღებით კითხულობდა. დამოფრულ აზრებს იგებდა და მინიშნებებსაც ხსნიდა. 1949 წელს მას მაგიდაზე ორი წიგნი ელო ბერიასი, რომელშიც ბოლშევიკების ისტორია იყო გადმოცემული, სტალინი კი თავად ნიჟარაძედ იყო მოხსენიებული და გურჯივეის წიგნი “შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან”, იქაც თავად ნიჟარაძე ფიგურირებს, ოღონდ სტალინის ფსევდონიმით. კობას მძიმე გავლილი გზა ახსენდებოდა... ერთ-ერთ გაზეთში კი გურჯივეის წერილის კითხვის დროს, რომელიც მიუარის და ვარსკვლავების ზემოქმედებას შეეხებოდა, ადამიანებზე გამოავნებელი რამ ამოიკითხა: –ადმოქმნილია ვარსკვლავი, რომელიც სამხელ წარუშლულ კვალს დატოვებს ადამიანებზე, ვარსკვლავს კი „ლენტროხამსანი“ ჰქვია. სტალინი მინიშნებას მიხვდა, სიტყვაში ლენინი, ტროცკი და თვითონ მოიხსენიებოდა. გაციოფდა, სასწრაფო ბრძანება გასცა, გურჯივეი მოეტყუნათ და მოეყვანათ, თუმცა მალე აცნობეს, რომ გურჯივეი საფრანგეთში ამერიკულ ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

სიურისის განალოგიური ცენტრის სასაბჭოო დასკვნა:



დასარული. დასაწყისი
ნ.ს. „საერთო გზა“ №8-24

„სიურისისის“ და „სიურისის“ კოლხური დასაბჭოების შესახებ

სტრატონი ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ მეტალოგია და მეტალურგია მზარეული ღვთაებები — კორიანტები (კორიანტები), პელიოსის (მზის) ვაჟები და კოლხეთის მეფის, აიეტის ნახევარძმები კრეტაზე, ებეზე, სამოთრაკზე, ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებსა და ფრიგიამი კოლხეთიდან იყვნენ მისულები;

წმ.კლიმენტ ალექსანდრიელი უძველესი წყაროების მიხედვით, წერს, რომ ქურუმ-ღვთაებმა — დაქტილებმა შექმნეს დამწერლობა და აღმოაჩინეს მუსიკის რიტმი (ზოგიერთი მითის მიხედვით, მათ ჩაუყარეს საფუძველი არითმეტიკასაც). დაქტილებს მიეწერებათ ბრინჯაოს გამოდნობა, რკინის აღმოჩენა და დამუშავება;

თეოპომპე ქოსელის, თეოფრასტე ერესოსელის, აპოლოდორე ათენელის, წმ. ფოტიოსისა და სვიდას ლექსიკონის ცნობათა მიხედვით, კორიანტებს კირების საკრალური, სასულიერო სახის წარწერების შექმნა მიეწერებათ. კრატინეს, ლისიას, პლატონის, ნონუსის, აგათა სქოლასტიკოსის, არისტოტელეს, ტიმეოსის, აპოლონიოს როდოსელის, ძენობოსის, კომეტას ხარტულარიონისა და სხვათა ცნობების მიხედვით, ეს საკრალური წარწერები სრულდებოდა თიხის ან სპილენძის ფირფიტებზე, ხის დაფებზე, სტელებსა და სვეტებზე.

აპოლონიოს როდოსელი: — „... კოლხებმა შემოინახეს თავიანთ მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირებზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს, მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი... კირები იყო ფირფიტები და მათ კოლხები იყენებდნენ“.

ძველი ბერძნული წყაროებიდან ასევე ცნობილია, რომ პელასგ-კოლხთა დედა-ღვთაების რეა-კიბელეს (ფასიანეს) ქურუმებს, კორიანტებს, ძველთაგანვე ჰქონდათ დამწერლობა რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ. ხარაქს პეგასონიელი ამ დამწერლობას „ხრისოგრაფიას“, ანუ „ოქრო-დამწერლობას“ (ოქროთი წერას) უწოდებდა. ამ ცნობას იმეორებს წმ. ევსტათიოს თესალონიკელი „ოქროს საწმისის“ განმარტებისას და წერს „ოქროდამწერლობის მეთოდის გამო „არგოს“ დამწერლობა მოეწყო...“

ჩემი სამეცნიერო კვლევებით მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები: 1. ძვ. წ. VI-III ათასწლეულებ-

ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!

ში ხმელთაშუაზღვისპირეთის, პელოპონესის ანუ პელასგიის ნახევარკუნძულის, ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების, მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის უძველესი ადგილობრივი მოსახლეობა არა ინდოევროპული, არა ქამიტურ-სემიტური და არა ურალურ-ალტაური წარმოშობის იყო. ეს იყო პროტოქართველური (სამხრეთკავკასიური) მოსახლეობა, სანამ ამ ადგილებში ინდოევროპული ტომების (მაგ, ბერძნების) მიგრაცია დაიწყო. ძვ.წ. XX-XV საუკუნეებში ამ არეალში ისევ დომინანტობს პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურა და ენა, სანამ გავრცელდებოდა ინდოევროპული (მაგ, ბერძნული) კულტურა და ენა;

2. პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურის უძველესი წერითი ნიმუშების, კირების — ფესოსის დისკოსა და ? კლასის ხაზოვანი წარწერების ლინგვისტურ-ფილოლოგიური და ისტორიულ-ტიმოლოგიური შესწავლა ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა კონტაქტები პროტოქართველურ, პროტოინდოევროპულ და პროტოქამიტურ-სემიტურ ენებსა და კულტურებს შორის. ამ მასალით შესაძლებელი ხდება უფრო ზუსტად განისაზღვროს საერთოქართველური ენის გავრცელების ტერიტორია;

3. საერთოქართველურმა ენამ შექმნა მნიშვნელოვანი სუბსტრატი ბერძნული დიალექტებისთვის როდესაც ძველბერძნებმა დალაშქრეს პელოპონესის ანუ პელასგიის ნახევარკუნძული. დასტურდება, რომ ბერძნულში გაურკვეველი ეტიმოლოგიის ტომონიმები საერთოქართველური წარმოშობისა;

4. ფესტოს დისკოსა და ? კლასის ხაზოვან ტექსტებში დასტურდება თ. გამერლიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ შედარებითი და შინაგანი კონსტრუქციის გზით აღდგენილი საერთოქართველური ენობრივი სისტემის სტრუქტურული მოდელები;

5. ფესტოს დისკოსა და ხაზოვანი საერთოქართველური ტექსტების ლინგვისტური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, რელიგიური, სასოფლო-სამეურნეო და არიტმეტიკული მასალისა და მრავალი არქეოლოგიური არტეფაქტის შესწავლით ირკვევა, რომ პელასგ-კოლხების (მინოსელების) მიერ შექმნილი ორმოცი საუკუნის წინანდელი საერთოქართველური კულტურა იყო საზირკველი პროტოქართველური ცივილიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ევროპულ ცივილიზაციას.

დროში უფრო ახლოს და ახლო სამეზობლოში

მსოფლიოს გადავწყვით, მაგრამ რა „გვაქვს“ ახლო სამეზობლოში? აღარაფერ ახსენებს, რომ 1921 წლამდე კრასნოდარის მხარეში ინახებოდა რუკა, რომელსაც დაწვებული სინყარის ქვეყნით (ერაყი), დამთავრებული მიმდებარე ტერიტორიებით: ქიმეთი (ეგვიპტე), სურანი (კოლხ-ქალდეის იმპერია), პირინეი, აპენინი, ხმელთაშუა ზღვის აუზი ძველ ლაზიკამდე „მეგრელია“ ეწევა;

თუაფსემდე, მდინარე რამდე (ვოლგა), ყაზანი, რიაზანი — მეგრული სახელებია; აზოვის ზღვა (ზღვა „ლაზოვსკოე“ — ლაზების ზღვა), მთელი ყირიმი, ჩრდილოეთ ინდოეთამდე, როგორც ძველი ბერძნები ამბობენ, მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე კოლხეთი იყო. ეს ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და შესაბამისად, მთელ მის ტერიტორიაზე ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა.

პროლოგე (ძვ.წ. VI ს) და სხვა ძველი ბერძენი სწავლულები აღნიშნულ სივრცეში კოლხების გარდა სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ან სხვა ხალხები ამ ტერიტორიაზე არ არსებობდნენ.

სამეგრელოდან (კოლხეთიდან) დაშორებულ, ასოლოტურად სხვა მხარეში, საინგილოში, დღესაც უამრავი ტომონიმი და გამოთქმებაა მეგრული. „მი რექ“ მეგრულად არის „ვინ ხარ“; ვთქვით, „დაუწერელი“, „გაუკეთებელი“ და ა.შ. ინგილო წრდა ასე „უ-დაუწერელი“, „უ-გაუკეთებელი“ და ა.შ. საიდან მოვიდა „უ“ წინსართი? „უ“ წინსართი კი არ „მოვიდა“, არამედ დარჩა იმ დროიდან, როდესაც საინგილოს ტერიტორიაზე იმავე ენაზე (კოლხურ-

სახელწოდება „აჭარა“ „ა-ბე-დისწერა“, „აი, ბედისწერა“ — „ჭარა“ მეგრულად „ბედი-ა“. აჭარა ტერიტორიულად იყო, მაგრამ როგორც ადმინისტრაციული ერთეული, არ ყოფილა, ვერ იყო ლაზიკასი შემავალი ტერიტორია, შემდეგ თურქეთის იმპერიაში და სარფის აქეთ რაც დარჩა, იმას დაერქვა გურია, რაც მეგრულად „გული-ა“.

თურქებმა რომ შუა საუკუნეებში ბზათუმი და მისი შემოგარენი წაიღეს, მასინ „სანჯაყი“ დაარქვეს და „დიდა-ჭარა“ საიდან „მოვიდა“ — ოღონდ მეგრული (კოლხური) ძირი არ ახსენონ და... „ქობულეთი“ რა არის — „ქობაღეთი“, სახორბლეთი...

„აფხა“ ნეგრულად არის „ბეჭი“ — რუკას რომ დახედავთ, სწორედ ბეჭის ადგილზეა... „გური“ ტრაპეზუნდიან ნიკოფსიამდე გულის ადგილზეა. აფხაზს რომ ზღვის სახელი არ ჰქონეს, „ამორეს“ უწოდებენ, როგორი წარმოსადგენია — ზღვა“ — მეგრულია.

აფხაზეთში მცხოვრებ მეგრულს ერქვა „აფხაზი“; ლაზიკაში მცხოვრებ მეგრულს — ლაზი; ჭანეთში მცხოვრებს — ჭანი; მარგვეთში მცხოვრებს — მარგველი და ა.შ. გვარი „მარგველასვილის“ ფუძე „მარგველ“ ამბობს რომ არის „მარ-

პირდაპირ მეგრული ფუძეები აქეთ ქართულ გვარებს, მაგრამ მაგალითად, „თუთაშვილმა“ არ იცის რომ „მთვარის შვილია“... ყამბარაშვილი — „ყამბარ“ — ყვარა; ხუჯაძე — „ხუჯ“ — ხარი; ტორინჯაძე — „ტორინჯი“; — მტრული და ა.შ. უამრავი, თუმცა, ეს უკვე სხვა თემა...

თუ ერის ერთიანობას განსაზღვრავს ხალხის ისტორიული მესხიერება, მსოფლიოს ბევრ ხალხს შემორჩა კოლხეთის სამეფოს ენოქიდან ბეჭი რამ, რაც მხოლოდ კოლხურია და რატომ არ ვთქვით ხმამაღლა, რომ მსოფლიო ცივილიზაციის სათავე მართლაც კოლხეთია?!

წერილების ავტორისგან

დავასრულეთ საგაზეთო ვერსია თქმაზე „ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?“ რაც ციურისის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნით დაინტერესებას მოჰყვა. საგაზეთო ვერსია მხოლოდ საინფორმაციო-შემეცნებით ხასიათს ატარებდა, შექმნილია დაგვირგვინდა შევეცადეთ შევეყვანებოთ დასკვნის ავტორებს მასალა, რაც ზღვაში წვეთადაც კი ვერ ჩაითვლება. ამდენად, ცალკეულ



რად) საუბრობდნენ რა ენაზეც დღევანდელი სამეგრელოს (კოლხეთის) საუბრობენ. „წერა“ მეგრულად არის „ჭარა“, „დაუწერელი“ — „უ-ჭარ“, „გაუკეთებელი“ — „უ-კეთებ“ და ა.შ. პროფესორი რისმაგ გორდენია-ნი პირდაპირ წერს („ერის ჩამოყალიბების პრობლემა“), რომ კასპიისპირეთში დღესაც უამრავი „აიუტიზმებია“ ე.წ. „მეგრულიზმები“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საინგილო (ჭრეთის ჩრდილოეთი რეგიონი) ყოფილი ალბანეთის რეგიონი იყო, საფუძლიანი ეჭვია, რომ ალბანელები მეგრული იყვნენ...

არსებობს IX საუკუნის „ბიზანტიური ენციკლოპედია“ სადაც ერთმნიშვნელოვნად წერია „ალბანელები მეგრელები არიან“, ამ დროს ბიზანტია მთელ დასავლეთ საქართველოს „ლაზიკას“ უწოდებს, მაგრამ მათ — მეგრელებს. რის საფუძველზე უნდა დაწერილიყო ეს? ერთადერთი ვარაუდია — ენის საფუძველზე.

გვეთიდან, „მარგალდან“ — „მეგრელი“ მოდის ყველა...

ყველაფერს, მათ შორის ქალაქებსაც, იმ ენაზე ერქმევა სახელი, რა ერის ხალხიც ცხოვრობს იქ. მაგალითად, „მანაქალა“ მეგრულად არის „მთონელი“. წალენჯიხის რაიონში არის სოფელი მანაქალა. „მანაქალა“ არის „თონხა“. რადგან მათთან არ იყო, რუსულად „ქ“ გადაკეთდა „კ-დ“ და ასე გამოვიდა. ასევე „განჯა“, მეგრულად — „გაღება“, იქიდან იყო შემოსასვლელი; „ვეჯინი“ — „არ დაუცადო“; „არტანუჯი“ — არტანის ყოფი, „ყუჯი“ — „ყური-ა“ და ა.შ.

კრასნოდარისკენ უამრავი მეგრული სიტყვაა... სოჭის ცოტა მოშორებით პატარა დასახლებაა, სახელად „ბარცხა“, მეგრულად „ფრჩხილი“, ალბათ, ტერიტორიის სიმცირის გამო „ფრჩხილისოდენა“; ტუაფსეს გზაზე „მიტომეჯაჯი“ — „მიტოს ყვერები“ და ა.შ. — უამრავი...

მოსაზრებებს, მტკიცებულებებს, მიგნებებს და ა.შ. არ ჰქონდა მითითებული წყარო. დაინტერესებულ მეთიხველს ამავე თემაზე ვრცელი ინფორმაცია შეუძლია მოიძიოს ინტერნეტსა და ბეჭდური მედიით გავრცელებულ საშუალებებში (ვიტინები, ნაშრომები, ბროშურები და ა.შ.). რუბრიკა განაგრძობს მათი შემკრების თხოვრებას და არა პრეტენზია მოცემული მასალების ავტორობაზე (თუმცა ზოგიერთი ქვეთავის ვერსია კონკრეტულად შემკრებს ეკუთვნის).

ყველა იმ ლიტერატურის ჩამოთვლა, რაც აღნიშნულ თემას ეხება ან მასთან ერთად განსახილველია, ვთქვით, პეროლოტედან დღემდე, მოქმედი მკვლევარების (არქეოლოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, მოგზაურები, გეოგრაფები, ზღვაოსნები და ა.შ.) ჩათვლით, წარმოადგენს და არაფერის მოძიებით შრომა რიგითი ადამიანისთვის, ამდენად, მომთხვეთ თუ ეს შრომა არ გავწიო...



ბაცონო!

(რადაცნარი, მორიდებულად ნათქვამი ლექსი... :)

ჩემს თავს რაღა მოუხერხო არ ვიცი,
 თქვენზე ფიქრმა რომ არასდროს დამტოვოს,
 სიმარტოვეს სულიერად განვიცდი,
 შეიძლება, ჩაგვხუტოთ ბატონო?!

შეიძლება, თქვენს სულს შემოვენიხნო,
 ჩემს ცხოვრებას ღიმილები ათოვოთ?
 შეიძლება თქვენი სუნთქვა შევიგრძნო,
 და თქვენს მკერდზე დავიძნო ბატონო?!

იქნებ შეძლოთ, ჩემი სული იჩუქოთ,
 ანდა თქვენი სითბო ისე მათხოვოთ...
 იქნებ ასე აღარასდროს ვიწუხო,
 მაგ მკერდზე რომ მიმიხუტოთ ბატონო?!

მინდა თქვენი ღიმილები ვხატო და,
 ჩემს ცხოვრებას თქვენი სითბო ათოვოთ,
 გაზაფხული ჩემში ისე გათოვდა,
 იქნებ გულში შემომიშვათ ბატონო?!

მამი!

ჩემი ცხოვრების სულ სხვა რიტმი ხარ,
 ჩემი ზურგი და მხარი...
 ამოუცნობი ინდივიდი ხარ,
 შვილების მყარი ფარი...
 ეგ დაკოყრილი შენი ხელები
 გულს ჩამახუტე წამით,
 ჩემი სუნთქვა და ჩემი ფილტვი ხარ,
 დასაყრდენი ხარ, მამი!

შენი დარდი ვარ, ზოგჯერ ცრემლი ვარ,
 ზოგჯერ ტკივილი, სევდა...
 მაგრამ ყოველთვის შენ ჩემს გვერდით ხარ,
 თვალბრუნვით სითბოს ვხედავ.
 იმდენი წელი მელოდია ლოცვით,
 იმდენი დღე და წამი...
 ჩემი ცხოვრების სულ სხვა ხარ ნოტი,
 ჩემი სუნთქვა ხარ, მამი!

თუ შენს სიყვარულს ვერ გამოვხატავ,
 ან გაწყენინე რამით...
 სანთელს აგინთებ წმინდა ხატებთან,
 პატიებას გთხოვ, მამი!

ჩემი ცხოვრების სულ სხვა რიტმი ხარ,
 ჩემი ზურგი და მხარი...
 ამოუცნობი ინდივიდი ხარ,
 მე შენ გაღმერთებ, მამი!

ღრო დაცანახებს

გაიხედე, როგორ იბანს მთვარე ხელ-პირს,
 თეთრი ღრუბლით როგორ იწმენდს ნაზად სახეს...
 ვიცი, მალე ეს ფიქრები სულ მთლად შემშლის,
 და სიყვარულს ჩემსას ასე დაგანახებს...

ცამ მოიცვა ვარსკვლავების მოსასხამი,
 და ცრემლები ციმციმებენ ჩემს ღრუბლებზე...
 დროს იმდენჯერ მოუწვდია ჩემთვის შხამი,
 მიჭირს, შენთან ვისაუბრო ჩემს განცდებზე...

ფრთებს ვეღარ შლის ჩემი ფიქრი ფრთხილანარი,
 და ეს წვიმა ძველებურად ნამავს სახეს...
 რაღა გინდა, ჩემი სიტყვა ხმამაღალი?
 ღრო ჩემს გრძნობებს თვისთვად დაგანახებს!

ღრო ვურგუნადი

ნების მერე

შემოვიღის ჩემი ფიქრი ფეხით სოფელს,
 გადაწეწავს ქარი სევდით იასამნებს...
 წლების მერე, ვინმე ალბათ მომიგონებს,
 ვიღაც ნაცნობს უცილობლად მიამსგავსებს...
 დამიტირებს გაზაფხულზე ალუჩები,
 მზე იქნება სისხლისფერი, უფრო ბაცი...
 ქართულ მიწას ჩავეკვრები, გავუწირობი...
 ჩემს შვილს ცრემლით დატირებას არ დავაცდი!
 გავაყოლებ მოფარფატე პეპლებს სულს და,
 ჩემს ძველ სახლში ყაყარობს დამირგავენ...
 არავენ არ გაიხსენებს, მე რა მსურდა...
 და მტრელები ფრთებით ზეცად ამიყვანენ!
 შემოვიღის ჩემი სული ფეხით სოფელს,
 გადაწეწავს ამაყად მდგომ იასამნებს...
 წლების მერე, ვინმე მაინც მომიგონებს...
 იმედი მაქვს, ჩემს შვილს დედას მიამსგავსებთ!



* * *

ღღემ დახუჭა შენი თვალებისფერი ზეცა
 და დაიძინა...
 ამ სასრულ ღამეს
 უსასრულო უშენობა შეჰყრია სენად...
 ეს მთვარეც,
 სევდასავით რუხ ღრუბლებში ჩაიძირა...
 ჩემთან არ ხარ,
 თუმცა ვეღარ ვითვლი, მერამდენად მიგულებ შენად...
 ღია ფანჯარაში შემოსული სიო ჩავისუნთქე
 შენი სუნთქვის მსგავსად...
 ახლა ჭრიჭინები მირღვევენ სიმშვიდეს,
 ისევ შემომაკლდი...
 ერთხელ რომ გაბეღო,
 და მოხვიდე სიზმრების მსგავსად?..
 მოხვალ და მიხილავ,
 უშენობას როგორ შემოვკავდი...
 ახლა ამ შავ ღამეს რომ მოუცვამს ჭრელი ხალათი,
 ვარსკვლავები რომ ციმციმებენ ბრილიანტებად...
 გთხოვ, დამიბრუნე ჩემი გული საღ-სალამათი,
 მხოლოდ გულზე ვცვლი, ვერ გავყიდი მილიარდებად!

მე დედამინას ვეთაკილები

ღამემ შეუხსნა ზეცას ღილები,
 და ვარსკვლავების მოსჩანს მინდორი...
 მე დედამინას ვეთაკილები,
 თორემ ზეცისკენ არ წავიდოდი...

აქა-იქ ბუუტავს ციციანთელა,
 მკერდმოღეღილი ჰკიდა მთვარე...
 არ მიყვარს სევდის მიჩუმათება,
 თითქოს სიცოცხლე აქ დავამთავრე!

და კვლავ შეიხსნა ზეცამ ღილები,
 ცაზე შიშველი მთვარე ჰკიდა...
 თუ დედამინას ვეთაკილები,
 მე ეს სამყარო ფეხზე მკიდა!

თურქი მღერის „ღიღოულო ნანას“

სული მეკერის, გული მიცემს სწრაფად,
 თურქი ბიჭი მღერის მეგრულ „ნანას“...
 წამოვდექი, მსურს მივიდე მასთან,
 კკითხო, ვინ შვა ნეტავ ამისთანა?!
 ამ „ნანანამ“ ძვლებში ისე გასცრა,
 მამელუკთა გამახსენდა ხანა...
 აღარ ვიცი, აღარ ვიცი რა ვთქვა...
 თურქი მღერის „ღიღოულო ნანას“...
 ბიჭო, იქნებ ქართული გაქვს ძირი,
 ისე ტკბილად გალობ მეგრულ „ნანას“...
 სულს ჩასწვდი და დამიკარგე ძილი...
 აქ არავენ არის შენისთანა!
 პირზე როგორ დაგთამაშებს ღიმი,
 ქართულია გამოხედვა შენი...
 მოდი, მკერდზე შეიხსენი ღილი,
 დაკარგული იქნებ მძა ხარ ჩემი?!

შენმა „ნანამ“ გაიარა ძვლებში,
 მამელუკთა გამახსენდა ხანა...
 სამუდამოდ ამოტვიფრე ჩემში
 შენეული „ღიღოულო ნანა“!

ცხოვრება

ცხოვრება ჭადრაკის დაფის მსგავსია,
 მე კი პაიკი ვყოფილვარ თურმე...
 შორს საფლავეზე მწვანე ხავსია,
 ქუჩაში ნაკვით ავსებენ ურნებს...
 ჩვენი ცხოვრება წარმავალია...
 ქარს წაფრჩხულე მე ჩემად წუხელ.
 ამქვეყნად ყოფნა მხოლოდ ვალია...
 სულის ტკივილებს ვერავის ვუმხელ!..
 ცხოვრება ერთი წამია საათის,
 წუთში სამოცჯერ რომ მეორდება;
 მაგრამ თუ მოკვდი, თუნდაც საათით,
 სიცოცხლე აღარ განმეორდება!
 მოვა სხვა სიცოცხლე, მაგრამ ის სხვისია,
 შენსაზე ძვირფასი და უფრო ძვირიც...
 სიცოცხლე მინდა, თუნდაც ნისიად,
 მაგრამ მთელი ხმით ამოღ ვყვირი...
 ღმერთო, გაიღე შენ მოწყალეობა,
 გამოიმეტე სიცოცხლე ჩემთვის;
 რადგანაც სულის ძლიერ წამებას
 ჩემი სიცოცხლის სურვილი ერთვის!

ლალა ბებლარაშვილის ხსოვნას



მარტის ყველაზე ქარიან და ცივ დღეს, დიდგორის ველზე, ხევის ნაპირიდან ცაში აფრინდა მისი სული და ლექსებად დატოვა ის საშინელი წინათგრძნობა, რასაც ქვეცნობიერი გამუდმებით კარნახობდა, მაგრამ ვერავინ კითხულობდა პნკარებსშუა... ლალა დღეს 28 წლის გახდებოდა...

მემატრევეა, მესოტრევეა ღვინა...

მე მიყვარს სიცოცხლე თქვენს თვლებში...
 არ მინდა წასვლა, მაგრამ მივდივარ...
 არ მინდა დავრჩე - არასდროს დავრჩენილვარ...
 დღეს ტრანსპორტში მეძინა კისერ-მოდრეცილს. ერთი ფუმფულა ქალი არ მეგდა გვერდზე რომ თავი მიმელო...
 გათენებამდე უძილობა მინდა მოვასწრო...
 განა ვენიდან, გულიდან მიღებენ სისხლს, პულსს თვალებში მითვლიან და მე რე მიდიან...
 მომიტევეთ, გამატარეთ, აქ ჩემი გულის გაჩერებაა - ჩავდივარ...

* * *
 დაბადებიდან ბრმა -
 გეხები ხელებით...
 დაბადებიდან ყრუ - მიმიკა, ჟესტები...
 დაბადებიდან მუნჯი -
 თვალები მეტყველი...
 დაბადებიდან სუსტი -
 დაგვეყრდნო? ვერ ვხვდები!
 დავხატე ფერები,
 მოვკარგე ბგერები,
 მიწაზე ცვარივით
 გავფანტე ლექსები -
 ცას აწვდენილი
 შემომრჩა ხელები...
 დაბადებიდან სინუქს,
 დაბადებიდან სიბნელეს,
 დაბადებიდან სიკვდილსაც
 ვეჩქვევი...

* * *
 შუბლზე სიკვდილის წერტილი -
 მე სიბერემდე ვერ ვივლი!
 ამ ცხოვრებისთვის - შეშლილი,
 იმ ცხოვრებისთვის - დებილი!

ეკონომიკური ფორუმი ასტანაში

ორი დღის განმავლობაში ყაზახეთის დედაქალაქი იქცა აზიურ დავოსად. 21-22 მაისს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ნაზარბაევის, ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, დედაქალაქში გაიმართა ასტანის ეკონომიკური ფორუმი.
 ინფრასტრუქტურა, ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ, გახლდათ ფორუმის მთავარი თემა.
 ასტანაში, ფორუმზე, თავი მოიყარა 90 ქვეყნის 3000-მა დელეგაციის წევრმა.
 ორი დღის განმავლობაში გადატვირთული იყო დისკუსიებითა და მსჯელობებით, რომლებშიც მონაწილეებს იღებდნენ ცნობილი პოლიტიკოსები, მეცნიერები და ეკონომისტები.
 ფორუმის ფარგლებში, განიხილეს

მსოფლიოს ეკონომიკის მომავალი, სტაბილურობის უზრუნველყოფა და განვითარების ახალი გზები.
 რიგი სესიები მიემდგვნა საერთაშორისო, კონტინენტალური დონის პროექტს, "აბრეშუმის გზის" ხელახალ დაბადებას.
 ახალი აბრეშუმის გზის პოტენციული განიხილება ეკონომიკური და გეოპოლიტიკური რაკურსით.
 აბრეშუმის გზის დაბადება - უბრალოდ, სატრანსპორტო პროცესი არ გახლავთ, ეს არის მრავალმხრივი ეკონომიკური სტრატეგია, ქვეყნების განვითარების-



თვის, რომლებიც ამ დიდებული კორიდორის მარშრუტზე განლაგებულია. აბრეშუმის გზის პროექტი მიაშროთლია ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ, ვაჭრობისკენ და ეკონომიკური თანამშრომლობისკენ.
 ასევე ფორუმზე განიხილეს, ვითარება მსოფლიოს ნავთობის ბაზარზე. ექსპერტები ამ დარგში ნსჯელობენ "შავი ოქროს" ფასების კლებაზე. მიუხედავად ნავთობის ფასების კლებისა ექსპერტები, ქროგნოზირებენ ყაზახეთის ეკონომიკურ ზრდას.
 ერთერთ მთავარ თემას კი წარმოადგენდა ინვესტიციური ფორუმი „Invest in Kazakhstan“ სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ქვეყანაში ახალი ინვესტიციების მოზიდვას, მსხვილი კონტრაქტებისა და ხელშეკრულებების გაფორმებას.
 საბოლოოდ ფორუმის იდეა გახლდათ. საერთაშორისო ეკონომიკის განვითარების ვექტორების გამოუმუშავება.
ზაზა მუხომბილი



ასტანის ეკონომიკური ფორუმი

- მმრძი** - ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა თქვენს კარიერაზე დადებით ზეგავლენას მოახდენს. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ.
- კუმო** - ეს პერიოდი, საერთო ჯამში, პოზიტიური მოვლენებით ხასიათდება. იყავით ინიციატივიანი, რათა სასურველ შედეგებს ადვილად მიადწიოთ.
- ტშუპაპი** - თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა. წარმატება გელთ როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში. პარტნიორებთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.
- მირჩხი** - საქმიან პარტნიორებთან და ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.
- ლომი** - წარმატება გელთ ყველგან და ყველაფერში. პირად ცხოვრებაში რომანტიკული თავგადასავლებია მოსალოდნელი. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ.
- ქალწული** - პლანეტათა განლაგება მნიშვნელოვანს არაფერს გპირდებათ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. კარგი იქნება, თუ პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ. წარმატება გელთ ფინანსურ ოპერაციებში.
- საწმინდე** - ადვილად ნურავის ენდობთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას. თქვენი მოტყუების ალბათობა დიდია.
- მორიელი** - იღბალი თქვენს მხარესაა, წარმატებას მიაღწევთ როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში. გელთ რომანტიკული თავგადასავლები. ფინანსური ოპერაციებთან მნიშვნელოვან მოგებას მიიღებთ.
- მშვილდოსანი** - საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალ ნაცნობებთან ურთიერთობისას. ადვილად ნურავის ენდობთ.
- თხის რქა** - ეს პერიოდი კარგი პირადი ურთიერთობების მოსაგვარებლად. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.
- მმრწყული** - გაგიმართლებთ ფინანსურ ოპერაციებში. კარიერაში მნიშვნელოვანი წინსვლა გელთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. იყავით ინიციატივიანი და აქტიური.
- თმუპაპი** - თქვენს ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დადგა. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოთ. გელთ რომანტიკული თავგადასავლები.

ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი

ფარავთი ყველა მოგილური ოპერატორიდან **თიბისი ბანკი**

0 901 500 540 № GE88TB117236080100001

ჩვენს მეგობარს, ისტორიკოსსა და ჟურნალისტს, საბავშვო ჟურნალ „ბაჩაჩას“ გამომცემელს **კობა ბედოიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს.

ირანდა კალანდაძე
გია ბურდული